გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

ქართველობის გადასარჩენად

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№257 (316) 18-25 თებერვალი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საიდან მოვდივართ, საით მივექანებით?..

ეს შეკითხვა განსაკუთრებით ჩემი თაობის – 70 წლის ასაკს გადაცილებულ ადამიანებს აწუხებთ, რადგან სწორედაც რომ ჩვენ ვიცით ძალიან კარგად, თუ საიდან მოვდივართ და საით მივექანებით!

დიახ, ჩვენ იმ თაობას ვეკუთვნით, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ვსწავლობდით კარლ მარქსის **“კაპიტალს”**, ფრიდრიხ ენგელსის **“ანტიდიურინგს”**, ლენინისა და სტალინის ნაშრომებს, რომლებშიც გაანალიზებული გახლდათ ორი ერთმანეთს დაპირისპირებულ ფორმაციათა არსი, სოციალისტურ და კაპიტალისტურ პოლიტეკონომიას, ისტორიულ და დიალექტიკურ მატერიალიზმს და სხვა საგნებს, რომელშიც გადმოცემული იყო სოციალისტური და კაპიტალისტური ყოფიერების შიგთავსი, ამ ორი სამყაროს წარმოებითი ურთიერთობები, საზოგადოებრივი განვითარების მიმართულებები და სხვა ასპექტები.

და თუ მთელი ეს საგნები მიუთითებდნენ სოციალისტური წყობის უპირობო უპირატესობას კაპიტალისტურ წყობაზე, ეს აზრობრივი მიმართულება გამყარებული გახლდათ არა მხოლოდ თეორიული სენტენციებით, არამედ საბჭოთა ხალხის პრაქტიკული ყოფითაც. თუნდაც მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ღრმა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გავიხსენოთ, რომლის გამოისობით გამოწვეულმა კოლაფსმა ლამის ყირაზე დააყენა მთელი კაპიტალისტური სამყარო – ერთმანეთში აიზილა მატერიალური ხვავი და საქონლის დეფიციტი. გასაღების ბაზრის პარალიზების გამო მრეწველები იძულებული იყვნენ რომ ორთქლმავლებში საწვავად ის ხორბალი გამოეყენებინათ, რომელსაც უკვე მოგების მოტანა არ შეეძლო მათთვის, გადასაყრელად კი არ ემეტებოდათ. და ეს მაშინ, როცა ხალხის ძირითადი მასა შიმშილობდა და მათთვის ეს ხორბალი სულზე მისწრება იქნებოდა. მაგრამ კაპიტალისტური ცხოვრების წესი გამორიცხავდა ამგვარ ტოლერანტობას, რადგან დამშეული მასის თუნდაც ელემენტარულ მოთხოვნათა უანგაროდ დაკმაყოფილება უფრო დიდ მორალურ და მატერიალურ ზარალს მიაყენებდა კაპიტალისტს, ვიდრე ორთქლმავლის ტენდერს შეკეთებული ათასობით ტონა ხორბალი. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა უმუშევრობამ წალეკა დასავლეთის სამყარო, შიმშილისაგან დაოსებულ ხალხს დაეკარგა მომავლის რწმენა, კატასტროფულად იყო გაზრდილი თვითმკვლელობათა რიცხვი...

დაუჯერებელია, მაგრამ, ნამდვილად ასე იყო ყველაფერი!

კაპიტალიზმისათვის ასეთ მძიმე ჟამს სულ სხვა მოვლენები ვითარდებოდა იმ საბჭოთა კავშირში, რომელსაც სათავეში ედგა ჟიდო-მასონებისა და ნაციონალებისაგან ესოდენ მოძულებული იოსებ სტალინი. დღეს, როცა სხვების ლანძღვაში გაწაფული ყბაამოგდებული ლიბერალები გაჰკივიან საბჭოთა კავშირში ოცდაათიან წლებში ჩატარებულ რეპრესიებზე (რომელიც არც ისე მასშტაბური გახლდათ, როგორადაც დღეს წარმოაჩენენ საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტრები), რატომღაც თავს არიდებენ ამ რეპრესიათა გამომწვევ მიზეზებზე საუბარს. ფაქტია, რომ დასავლეთი კვლავაც ცდილობდა ფეხზე წამომდგარი საბჭოთა კავშირის ღირსებათა დაკნინებას და საბოტაჟს საბოტაჟზე აწყობდა, რაც მნიშვნელოვნად ამუხრუჭებდა ჩვენი ქვეყნის წინსვლას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სტალინურ ხუთწლედებში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმების წყალობით, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრულს საბჭოთა კავშირის სამეცნიერო პოტენციალმა, კულტურამ, განთლებამ, მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ არნახული წარმატებებს მიაღწია და ქვეყანამ საბოლოოდ გადაჭრა სურსათისა და სხვა სამომხმარებლო პროდუქციის წარმოების საქმეში არსებული პრობლემები. მთელი საბჭოთა კავშირი იყო ჩაბმული აღმშენებლობით საქმიანობაში, საკმარისი არ გახლდათ მუშახელი, ანაზღაურება კი იმდენად მაღალი იყო, რომ ადამიანებს დაავიწყდათ, თუ რა იყო ტოტალური შიმშილი და გრძელი რიგები კვების პროდუქტებზე. ეს ყველაფერი ხდებოდა მეოცე საუკუნის ოცდათიანი წლების მიწურულს და რომ არა დიდი სამამულო ომი, ალბათ ქვეყანა ბევრად უფრო ადრე შეაბიჯებდა კომუნიზმში, ვიდრე ეს განსაზღვრული გახლდათ იგივე ხუთწლიანი გეგმებით.

და ყველაფერი ეს კეთდებოდა ერთი ადამიანის – იოსებ სტალინის გენიით, კეთდებოდა კლასობრივი თუ უკიდეგანო საბჭოთა კავშირის ტერიტორიებსა და წიაღისეულ სიმდიდრეებს დახარბებული დაუძინებელი მტრების გარემოცვაში, კეთდებოდა დღისით და ღამით, ქარსა და ყინვაში...

სწორედ ამას არ პატიობენ ჟიდო-მასონები იოსებ სტალინს და ყოველნაირად ცდილობენ მისი სახელის წაშლას ადამიანთა მეხსიერებიდან. მათ მკვდარი სტალინისაც კი ეშინიათ!

დიდმა სამამულო ომმა მნიშვნელოვნად დახია უკან ჩვენი ქვეყანა, მაგრამ აღმშენებლობითი პროცესები ჩვეული შემართებით გაგრძელდა, 1947 წელს ჩატარდა ფულის რეფორმა და ორი წლის შემდეგ უკვე აღარსად იყო რიგები პურზე, ნავთსა და სხვა პროდუქციაზე, გაუქმდა პროდუქტების ტალონებით გაცემის სისტემა, ყოველი წლის აპრილის თვეში იაფდებოდა პირველადი მოხმარების საგნები, უკვე სიმბოლური ფასები ედოთ ასანთს, ნავთს, პურს, საპონს და სხვა აუცილებელ პოზიციებს. კარგად მახსოვს, 1952 წელს, როცა 11 წლის ვიყავი, დედას ვთხოვე ტილოს ფეხსაცმელები მიყიდე-მეთქი, რომელიც მაშინ 34 მანეთი (ხრუშჩოვის მიერ 1961 წელს ჩატარებული ფულადი რეფორმის შემდეგ 3 მანეთად და 40 კაპიკად რომ იქცა) ღირდა, რაზედაც დედამ მითხრა:

– მოვიცადოთ, შვილო, ცოტა ხანი, პირველ აპრილს ყველაფერი გაიაფდება, მათ შორის ფეხსაცმელებიც და მერე აუცილებლად გიყიდიო.

დიახ, ამგვარი მომავლის რწმენით ცხოვრობდა საბჭოთა ხალხი – იყო ხვალინდელი დღის იმედი, რა თქმა უნდა, იყო გარკვეული ყოფითი პრობლემები, მაგრამ ასევე იყო დიდი იმედი...

დავასწრებ მოვლენებს და წინასწარ ვიტყვი – სოციალისტური სისტემის წარმატება გარანტირებული გახლდათ იმით, რომ ხალხის მასა ორიენტირებული იყო შრომასა და წინსვლაზე, რომლის დანამატად ქცეული გახლდათ ფულადი ანაზღაურება. ეს იგი, პიროვნების ინტერესში წარმმართველი გახლდათ საქმის ფაქტორი, ხოლო შემოსავალი იმდენად ადექვატური გახლდათ გაწეული შრომისა, რომ მას ადამიანები მეორეხარისხოვან საქმედ თვლიდნენ. ხოლო, ის, რომ კაპიტალისტურ სამყაროში ჯერ ფულის მოხვეჭაა მთავარი და შემდეგ საქმე, არა მგონია, რომ ეს თეზა სადავო იყოს!

საბჭოთა კავშირი საკუთარ რესურსებს გამოავლენდა და მოიხმარდა, მაგრამ იგი სრულიადაც არ იყო ჩაკეტილი საკუთარ ნაჭუჭში, ვითარდებოდა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, მაგრამ ეს კეთდებოდა არა ერთი ან ორი ადამიანის გასამდიდრებლად, არამედ კეთილსინდისიერად, საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. და სწორედ მაშინ, როცა გადამთიელები გვიყიჟინებდნენ, რომ სოციალიზმი საბოლოოდ იყო განწირული დასამარცხებლად, სტალინის მითითებით ინდოეთში სამი ათასი ტონა ხორბალი უანგაროდ გაიგზავნა შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე მდგომი ინდოეთის მშრომელი ხალხის გადასარჩენად. ესეც გაკეთდა არა მშრალი იდეოლოგიური თვალსაზრისით, საბჭოთა ხალხისათვის პირიდან ლუკმის გამორთმევის ხარჯზე, არამედ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის გადასარჩენად, იმ ხუთწლიანი სახელმწიფო რეზერვიდან, რაც საბჭოთა ხალხს შეუქმნა სტალინის სწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. ამ ნაბიჯმა დაარწმუნა საბჭოთა კავშირისადმი მუდამ მტრულად განწყობილი სახელმწიფოები, რომ სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში და მის მძლავრ წინსვლას მომავალში ველარაფერი აღუდგებოდა.

სწორედ ამან დააფრთხო კაპიტალისტური სამყარო და ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში შემუშავებული იქნა ე.წ. **“დალესის დოქტრინა”**, რაც გულისხმობდა საბჭოთა კავშირში გავლენის აგენტების ჩანერგვას და, დივერსიული მეთოდების გატარებით მის გადაგდებას შემდგომი განვითარების რელსებიდან. ერთ-ერთი ამგვარი გავლენის აგენტი გახლდათ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, რომელმაც დასავლეთის მსტოვართა მეშვეობით მოახერხა სტალინის მოწამვლა და თავზე წამოასკუპდა ვეებერთელა სახელმწიფოს.

სწორედ ამ საბედისწერო დღიდან დაიწყო საბჭოთა კავშირის დანგრევა, რომლის პროცესები დიდად დააჩქარა ლეონიდე ბრეჟნევმა, რომელმაც ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ საბჭოთა ხალხს საბოლოოდ აჰყროდა გული სოციალისტურ წყობასა და იდეებზე. სწორედ ბრეჟნევისეულ **“უძრაობის”** პერიოდში პიკს მიაღწია რაიკომის მდივნებისა და მინისტრების თვითნებობამ, ნებისმიერი საქმის სტიმულატორი ქრთამი გახლდათ, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული პარტიული ჩინოვნიკები ფულს იღებდნენ პარტიის წევრად გახდომის მსურველთაგანაც კი. მალე საბჭოთა კავშირის დანგრევის ბერკეტები ხელში ჩაიგდეს საერთაშორისო თაღლითებმა გორბაჩოვმა, იაკოვლევმა და შევარდნაძემ და რამდენიმე მილიარდი დოლარის ქრთამის ფასად გაყიდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, შემდეგ კი საბოლოოდ გამოუყვანეს წირვა საბჭოთა კავშირს, ხოლო მისი აღორძინების ილუზია რომ არავის გასჩენოდა, საბჭოთა ნანგრევებზე ავი ძაღლივით მიაბეს ბორის ელცინი, რომელმაც, როგორც იტყვიან, **“ბოლომდე მიიყვანა საქმე”**!

ასე გაიმარჯვა სიბოროტემ სიკეთეზე და რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაშლილი საბჭოთა კავშირი დამცირებულ და დაწიხლულ დანამატად მიება გლობალისტთა ეკონომიკურ ეშელონს.

დღეს კი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცე მთლიანადაა მიბმული მსოფლიო ეკონომიკას, რომელსაც გლობალისტები საკუთარ ნებაზე მართავენ და სწორედ ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენი ეკონომიკა სრულიად აღარ არის დამოკიდებული ჩვენზე და ზიმბაბვეში ზანგს აყალოზე ფეხი რომ აუცურდეს და უკანალით დაეხეთქოს მიწას, მეორე დღეს ალვანში თუ კვახჭირში თევზი, შაქარი ან მარილი გაძვირდება.

ჰო, მართლა, პროდუქტების სიძვირესა და სიიაფეზე გამახსენდა. მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა სულგანათლებულ დედაჩემს პენსია სამოცდაათი მანეთი ჰქონდა, ერთი კილოგრამი საქონლის ხორცი 2 მანეთი ღირდა და, შესაბამისად, ამ ფულით მას 35 კილოგრამი ხორცის ყიდვა შეეძლო. დღეს კი 150-ლარიანი პენსიით მხოლოდ 10 კილოგრამ ხორცს თუ შეიძენ. ასევე, 70 მანეთით ადამიანს შეეძლო ეყიდა 350 კილოგრამი პური, 70 კილოგრამზე მეტი მაღალხარისხიანი თევზი, ათას ცალზე მეტი კონსერვი, თითქმის ერთ ტონამდე ბოსტნეული, სხვა პროდუქტებსა და ტანსაცმელ-ფეხსაცმელზე აღარაფერს ვამბობ.

დღეს რომ დარჩიაშვილები და ბოკერიები ცინიკურად გვაყვედრიან – დიახ, თბილისიდან მოსკოვამდე თვითმფრინავის ბილეთი 27 მანეთი ღირდა, მე კი სტუდბილეთით 11 მანეთად ვმგზავრობდი ხოლმე.

ვინმემ მითხრას, რომ ეს ასე არ იყო!

ასევე აღარაფერს ვამბობ უფასო ჯანდაცვაზე, განათლებაზე და სხვა სიკეთეებზე!

ამიტომაც, ჩემი თაობის ადამიანები, რომლებიც, არ დავმალავ და ვიტყვი, რომ გამოუცდელ ახალგაზრდებზე არანაკლებ ახუნტრუცებულები ვიყავით კაპიტალისტური ყოფის ხიბლით, მხოლოდ ახლა ხვდებიან, თუ, თურმე, როგორი ბედნიერება გაგვიშვია ხელიდან!

მართლაც კომუნიზმში ვყოფილვართ და ვერ გაგვიგია!..

ვერც ის გამიგია, რას შეიძლებოდა ერთმანეთისათვის ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებინა ერთ დროს ერთ სახელმწიფოში მეგობრულად მცხოვრები ხალხები.

ესეც რომ დიდ ფულს დახარბებულმა არაკაცებმა გააკეთეს, არც ამაში ეპარება ეჭვი ვინმეს!

ამბობენ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ჩვენ ურემი გადავაბრუნეთ, სამშობლოც ყირაზე დავაყენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის გზა მაინც არ გამოჩნდა.

ვიღაცეები რომ ამბობენ – ჩვენი გზა ევროპისაკენ მიდისო, იმას რატომ არ უფიქრდებიან, რომ ჩვენს თავს დატეხილი ყველა უბედურება სწორედაც რომ ევროპიდან არის მოსული?

ამ წამხდარ საქმეს სამომავლოდ რომ აღარაფერი ეშველება, უდავოა, რადგან საეჭვოა, რომ ოდესმე კიდევ ერთი იოსებ სტალინი დაიბადოს, რომელიც საერთოსახალხო სახელმწიფოს აგვიგებს და ხალხს იმ ნაჯაფს დაუბრუნებს, რომელიც უზნეოდ მიითვისეს ბენდუქიძისნაირმა ზვიგენებმა. უბრალოდ, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს ის დროთა განმავლობაში მინავლებული გულისტკივილი გავანდე, რომელიც ზოგჯერ ამეკვიატება ხოლმე, როცა არც ისე შორეული წარსულის მართლაც რომ ტკბილ დღეებს ვიხსენებ!

ეჰ, თურმე, მართლა კომუნიზმში ვცხოვრობდით და ვერ შეგვიგნია!

აფსუს!

**როლანდ ჯალაღანია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

აფხაზეთის ღირსეული შვილები

# გიორგი ალექსის ძე ძიძარია

***ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს ცნობილი მეცნიერის არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი – "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.***

***რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.***

ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი-კავკასიოლოგი გიორგი ალექსის ძე ძიძარია (რომელსაც მალე დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდება) სავსებით სამართლიანად ითვლება აფხაზეთის მეცნიერების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად. მან, ასევე, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქვეყნის მეცნიერების განვითარების საქმეში როგორც მეცნიერების ორგანიზატორმა და დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, რომელმაც დიდი ძალისხმევა მოახმარა სამეცნიერო და პედაგოგიური სფეროს კადრების მომზადების მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

გიორგი ძიძარია დაიბადა 1914 წლის 23 აპრილს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, გლეხის ოჯახში. გიორგის მამა – ალექსი აჯგერის ძე ძიძარია – მთელ ბზიფის ხეობაში ცნობილი იყო როგორც სოციალური თანასწორუფლებიანობისათვის თავგამოდებული მებრძოლი. იგი გახლდათ გლეხთა რაზმ **"კიარაზის"** წევრი და განმანთავისუფლებელი მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის არაერთგზის იქნა დაპატიმრებული ცარიზმის **"ოხრანკის"** მიერ. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეარყია ალექსის ჯანმრთელობა და იგი 1918 წელს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობით. გიორგი მაშინ მხოლოდ 4 წლისა იყო.

1924-29 წლებში გიორგი სწავლობდა ჯერ გუდაუთის, შემდეგ კი სოხუმის სკოლა-ინტერნატებში, 1934 წელს კი ნიჭიერი ყმაწვილი მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მისი თანაკურსელები და მეგობრები იყვნენ შემდგომში მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მეცნიერი-ისტორიკოსები ი. გოტიე, ე. კოსმინსკი, მ. ტიხომიროვი, ს. ბახრუშინი, ი. მინცი და სხვები.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გიორგი ძიძარია აფხაზეთში დაბრუნდა და სამეცნიერო-პედაგოგიური შრომის ფერხულში ჩაება. 1953-57 წლებში იგი აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში, 1966 წლიდან გარდაცვალებამდე კი (1988 წელი) ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. პარალელურად იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა და ლექციების კურსს კითხულობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც 1957-1966 წლებში შეთავსებით რექტორობდა კიდეც.

გიორგი ძიძარიამ საკანდიდატო დისერტაცია 1946 წელს დაიცვა, 1958 წელს კი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გახდა და 1960 წელს პროფესორად დაამტკიცეს. 1974 წელს გიორგი ძიძარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.

გიორგი ძიძარიამ მთელი თავისი ძალისხმევა მოახმარა აფხაზეთის ისტორიის კვლევებს და სავსებით სამართლიანადაა აღიარებული **"ზუსტ ისტორიკოსად"**, რამდენადაც მას ამ პრინციპის დაცვა შეეძლო პოლიტიზირებული საზოგადოების პირობებში. იგი სკრუპულოზურად იკვლევდა თითოეულ დოკუმენტს და მისხალ-მისხალ ავსებდა უტყუარი დოკუმენტებით ქვეყნის საარქივო საცავებს.

გიორგი ძიძარიას კვლევები ეფუძნებიან არა მხოლოდ საიმედო ისტორიულ წყაროებს, არამედ უბრალო ადამიანების ცხოვრების წესებს, ქვეყნის მეურნეობის განვითარების ეტაპებს, აფხაზი გლეხის ხასიათს, ეროვნულ თავისებურებებს, ფსიქოლოგიასა და ტრადიციებს, რის შედეგადაც ძიძარია ჩამოყალიბდა წმინდა ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელ მეცნიერად. ამდენად, დიდია გიორგი ძიძარიას როლი აფხაზი ხალხის ეროვნული თვითგამორკვევის პროცესებში.

გიორგი ძიძარიას შორს გაუთქვა სახელი, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსს, მისმა კაპიტალურმა მონოგრაფიებმა: **"აფხაზეთის სახალხო მეურნეობა და მე-19 საუკუნის სოციალური ურთიერთობები", "მუჰაჯირობა – მე-19 საუკუნის აფხაზეთის ისტორიის პრობლემა", "რევოლუციამდელი აფხაზი ინტელიგენციის ფორმირება", "აფხაზეთის 1866 წლის აჯანყება"** და სხვა.

ეს უკანასკნელი ნაშრომიც თვალნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გიორგი ძიძარიამ დიდი როლი ითამაშა აფხაზეთის 1866 წლის აჯანყების გამოკვლევის საქმეში. თავის მონოგრაფიაში მეცნიერი ყოველმხრივ აანალიზებს აფხაზეთის ამ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას, გლეხთა მძლავრი მოძრაობის პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტებს. იგი აანალიზებს აჯანყების მოტივებს და მამოძრავებელ ძალებს, ფართოდ აშუქებს აჯანყების მომზადებისა და მიმდინარეობის ეტაპებს, აჯანყების დამარცხების მიზეზებს. ამ ნაშრომში ძიძარიამ არგუმენტირებულად დაადასტურა, რომ 1866 წლის აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ ადგილობრივი აფხაზი გლეხები, თავად მასიური აჯანყება კი გამსჭვალული იყო ანტიფეოდალური და ანტიკოლონიალური სულისკვეთებით.

გიორგი ძიძარიას უკვდავ ნაშრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ვრცელ მონოგრაფიას, რომელიც მთლიანად ეძღვნება აფხაზეთში მუჰაჯირობის პრობლემებსა და გამომწვევ მიზეზებს.

ეს გახლდათ აფხაზეთის მე-19 საუკუნის დიდი ტრაგედია, რამაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მრავალ აფხაზს კი სამუდამოდ დაატოვებინა სამშობლო. წიგნის საფუძველს წარმოადგენს ფაქტოლოგიური ზღვა მასალა, რომელსაც მონოგრაფიის ავტორი წლების განმავლობაში აგროვებდა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კრასნოდარის და სოხუმის არქივებში, პოულობდა მათ პუბლიკაციებში, მემუარულ ნაწარმოებებში, პერიოდულ პრესაში და სხვა წყაროებში.

როგორც ძიძარიას ნაშრომები გვაუწყებენ, მუჰაჯირობა აფხაზეთსა და მთლიანად კავკასიაში თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა, ამ კამპანიას ჰქონდა ეტაპები, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ საერთაშორისო მოვლენებზე. მაგალითად, 1867 და 1877 წლებში მომძლავრებული მუჰაჯირობის ტალღა მოდიოდა რუსეთისა და თურქეთის შიდა პოლიტიკისაგან. აქვე, გარკვეულ როლს თამაშობდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებიც, რომელიც მაშინ კავკასიაში ფეხის მოკიდებას ცდილობდა. რუსეთიც დაინტერესებული იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაუფლებით, რაც მას საშუალებას მისცემდა, რომ შეემცირებინა თურქეთის გავლენა ჩრდილოკავკასიის ქვეყნებზე. მონოგრაფიაში ასევე ფართოდაა გაშუქებული აფხაზთა მოღვაწეობა მათი სამშობლოს საზღვრებს გარეთ.

გიორგი ძიძარია, თავის ნაწარმოებებში ვრცლად გადმოგვცემს აფხაზი ინტელიგენციის დიდ როლს აფხაზური კულტურის, მეცნიერების, განათლების სისტემის, დამწერლობის, სასწავლო ლიტერატურის გამოცემისა და სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების საქმეში.

გიორგი ძიძარიამ გამოაქვეყნა რიგი ნაშრომებისა, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ბევრად სცილდება აფხაზეთის ისტორიის ფარგლებს. მაგალითად, 1976 წელს მოსკოვის გამომცემლობა **"მეცნიერებამ"** დასტამბა გიორგის წიგნი **"თ.თ. ტორნაუ და მისი კავკასიური მასალები"**, რომელშიც გაშუქებულია ამ პროგრესული აზროვნების მქონე რუსი ოფიცრის ლიტერატურული, სამხედრო და დიპლომატიური შემოქმედება აფხაზეთის რუსეთთან შეერთების ჟამს. წიგნში ასევე გამომზიურებულია ტორნაუს მიერ შექმნილი ნაშრომები, რომლებიც მოიცავენ დასავლეთ კავკასიის ეთნოგრაფიას, ისტორიას, ტოპონიმიკას, კავკასიელი ხალხების ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. გიორგიმ ასევე შეაგროვა ტორნაუს ბიოგრაფიული მონაცემები, საინტერესოდ დაახასიათა ამ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები.

გიორგი ძიძარია გახლდათ ერთ-ერთი ავტორიტეტული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. 1957-1959 წლებში იგი იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, 1975 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი ხელმძღვანელობდა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს. იგი სამჯერ იქნა არჩეული სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XVIII-XXVI ყრილობების დელეგატად, 1958 წლიდან 1988 წლამდე გახლდათ აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის წევრი.

გიორგი ძიძარია გარდაიცვალა 1988 წლის 3 მაისს. დაკრძალულია ლიხნაშტეს ისტორიულ მინდორზე, რომელსაც ხალხი მოფერებით **"აფხაზეთის გულს"** უწოდებს.

ეს თავისებური უკვდავების ძეგლი გახლავთ, რომელიც მას მადლიერმა აფხაზმა ხალხმა დაუდგა.

## როგორ გეგმავდა სააკაშვილი აფხაზეთში ომის დაწყებას – 2008 წლის საიდუმლო თათბირის დეტალები

**"დემოკრატიული მოძრაობის"** ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, 2008 წლის გაზაფხულზე მას თავდაცვის სამინისტროში, ღამის 01:00 საათზე, სოხუმამდე მისვლის გეგმა გააცნეს. მისივე თქმით, სამინისტროში გამართულ თათბირს გენერალური შტაბის თითქმის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა და ამ ფაქტს არაერთი მოწმე ოფიცერი ჰყავს.

2008 წლის აპრილში აფხაზეთის მიმართულებით საომარი მოქმედებების დაწყების გეგმაზე ბურჯანაძემ **"ტელეიმედის"** გადაცემაში **"პოლიტიკის დრო"** ისაუბრა.

ბურჯანაძე ასეთი გადაწყვეტილების მოწმეთა შორის ქვეყნის მაშინდელ პირველ პირებს სააკაშვილს, მერაბიშვილს, ბოკერიას, ტყეშელაშვილს, ლომაიას, ვაშაძეს და კეზერაშვილს ასახელებს.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ის და ბეჟუაშვილი ომის დაწყების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, გიგა ბოკერია კი, **"ბოლო ხმაზე აღფთოვანებული გაყვიროდა: "კარტა ბელე გვაქვს და აუცილებლად უნდა დავიწყოთ ომი აფხაზეთშიო".**

**"ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთმა აფხაზეთში სარკინიგზო ჯარები შეიყვანა და აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა დაიწყეს. ეს ფაქტი არ მომიყოლია მანამ, სანამ ამაზე საუბარი თავისი სიბრიყვით სააკაშვილმა არ დაიწყო. წინა ხელისუფლებამ ყველანაირი იარლიყი მომაწერა და სამშობლოს მოღალატე მიწოდა, მაგრამ არ მინდოდა ქვეყანა დაგვეზარალებინა და ვინმესთვის იმის თქმის საფუძველი მიმეცა, რომ საქართველო აპრილშიც კი ომისთვის ემზადებოდა. ეს თავად მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში და ამის შემდეგ, ბუნებრივია, გამეხსნა ხელი, დავადასტურე და უფრო გახსნილად შემიძლია ვილაპარაკო, რომ დიახ, ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა. არსებობდა კონკრეტული გეგმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროში ღამის პირველ საათზე გამაცნეს. ეს იყო სოხუმამდე მისვლის გეგმა. ამას ესწრებოდა გენერალური შტაბის შემადგენლობა, მაგრამ სოხუმს იქით დანარჩენი აფხაზეთი სააკაშვილს და მის მეგობრებს არ აინტერესებდათ. სწორედ მაშინ შედგა სატელეფონო საუბარი სააკაშვილსა და პუტინს შორის, რომელიც ასევე პირველად სააკაშვილმა გაახმოვანა და არა მე. ამ სატელეფონო საუბარს ვესწრებოდი და ის ჩემი ინიციატივით შედგა. სააკაშვილმა გაიხსენა კიდეც, რომ სწორედ მაშინ უთხრა პუტინმა, რომ თუ შენ ომს დაიწყებ, იქ დგანან ჩვენი სამშვიდობო ძალები, დავამარცხებ შენს ჯარს, ვცნობ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს და დაგიშლი ქვეყანასო",** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**"დემოკრატიული მოძრაობის"** ლიდერმა აღნიშნა ისიც, რომ პროკურატურას ამ თემაზე გამოძიების დაწყება შეუძლია, რათა საბოლოოდ დადგინდეს ჭეშმარიტება და ნაციონალებმა საბოლოოდ შეწყვიტონ სპეკულირება ამ საკითხზე.

## რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია "ერთიანი აფხაზეთის" განცხადება

რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია კიდევ ერთხელ აფიქსირებს საკუთარ აზრს იმის თაობაზე, რომ არ ემხრობა აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გატარებულ კურსს. სახელმწიფოს მართვის სტილმა, მეთოდებმა და პრინციპებმა ქვეყანა მიიყვანა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გაუარესებამდე.

უკვე ნათელია, რომ ქვეყნის ხელისუფლებას არ ძალუძს არსებულ პრობლემებთან გამკლავება, რაც საგრძნობ სიძნელეებს უქმნის მოსახლეობას. ხელისუფლების საქმიანობა სრულად მოკლებულია გამჭვირვალეობას, აღარ არსებობს ნდობა საზოგადოებასა და უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებს შორის.

ნიშანდობლივია, რომ მოვლენათა განვითარების საწყის ეტაპზე ხელისუფლება უხეშად ერეოდა პარტიის შიდა საქმეებში, ცდილობდა წაერთმია მისთვის ინიციატივა და უშედეგოდ ცდილობდა პარტიის ხელმძღვანელი კადრების მიმხრობას!

მიხვდნენ რა პარტიის საკუთარ მორჩილებაში მოქცევის უპერსპექტივობას, ცენტრალური და ადგილობრივი მართვის ორგანოებმა უარი თქვეს პარტიის რაიონული ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობაზე, რასაც შედეგად პარტიის პარალიზება უნდა გამოეწვია. ყრილობის წინა პერიოდში გამართულ საანგარიშო კონფერენციებზე არ დასმულა არც ერთი პრობლემური საკითხი, პარტიის პოლიტსაბჭოსთან დიალოგის გამართვის ნაცვლად კი ხელისუფლებამ საგანგებოდ მიაგულისყურა პარტიული მშენებლობის სპექტრთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა.

მიუხედავად ამისა, პარტიის მეხუთე ყრილობა გაიმართა ყველა პარტიის წესდების ყველა პუნქტისა და პარტიული რეგლამენტაციის სრული დაცვით.

ამ დროისათვის არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ფორუმის მთავარ საკითხად იქცეოდა პარტიასა და ხელისუფლებას შორის არსებული პრობლემა.

საბედნიეროდ, ყრილობის მონაწილე დელეგატებს ამის საშუალება მიეცათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ მოისურვა ამ საკითხზე დისკუსიის გამართვა პარტიის ხელმძღვანელობასთან. ამიტომ იქნა მიღებული ერთხმად გადაწყვეტილება პარტიის ოპოზიციაში გადასვლის თაობაზე.

ნაცვლად საკითხის განხილვაში მშვიდად მონაწილეობისა, სახელისუფლებო ჩინოვნიკები ისტერიული განწყობით შეხვდნენ ამ ამბავს! ყველა ხელმძღვანელ მუშაკს გაეგზავნა ცირკულარი პარტია **"ერთიანი აფხაზეთის"** რიგების დატოვების კატეგორიული მოთხოვნით. ამან კი გამოიწვია პარტიის წესდების მოთხოვნათა დარღვევა, რადგან პარტიაში გაწევრიანებაცა და წევრობიდან გასვლაც პერსონალური წესით ხდება, პარტიაში კი შემოდიოდა კოლექტიური განაცხადები მისი რიგების დატოვებაზე. გულრიფშის რაიონმა კი ამგვარი ამგვარი განცხადების სპეციალური ბლანკები დასტამბა, რათა პროცესები დაჩქარებულიყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია **"ერთიანი აფხაზეთი"** აცხადებს:

– საჭიროა გაერთიანდნენ პროგრესული ძალები, რათა ერთობლივად ვიბრძოლოთ ქვეყანაში პოლიტიკურ-სოციალური სიტუაციის დასალაგებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ალექსანდრე ჭაჭია საპატიო ორდენით დააჯილდოვა



2014 წლის 13 თებერვალს, 18:00 საათზე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვ. ვ. პუტინის №76 ბრძანებით: **"რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოებით უცხოელი მოქალაქეების დაჯილდოების შესახებ"** ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარე, ჟურნალ **"ისტორიული მემკვიდრეობის"**, გაზეთების **"ილორისა"** და **"საქართველო და მსოფლიოს"** დამფუძნებელი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჭაჭია დაჯილდოვდა საპატიო ორდენით **(ОРДЕН ПОЧЕТА) "რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, სამეცნიერო და კულტურული კავშირების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის".**

**ცნობისათვის:** დაარსების დღიდან (რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 1994 წლის 2 მარტის ბრძანება №442) რუსეთის სახელმწიფო ჯილდოთი **"საპატიო ორდენით"** მხოლოდ ოცამდე უცხოეთის მოქალაქე დაჯილდოვდა. ეს ფაქტი კი თავისთავად მეტყველებს აღნიშნული ჯილდოს მაღალ ღირსებებსა და მის ექსკლუზიურობაზე.

გულითადად ვულოცავთ ჩვენს თანამემამულეს დამსახურებულ მაღალ ჯილდოს და შეხახსენებთ მკითხველს, რომ რამდენიმე წლის წინ ალექსანდრე ჭაჭიას რუსეთის ფედერაციის სხვა სახელმწიფო ჯილდოც – **"მეგობრობის ორდენი"** გადაეცა.

დარწმუნებული ვართ, ავისმსურველები ყარყაშს ატეხენ და ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დასდებენ ბრალს ბატონ ალექსანდრეს, რადგან, მიუხედავად ხელისუფლების ცვლისა, საქართველოში მხოლოდ მცირედ თუ არის შენელებული ნაციონალების მიერ დათესილი ბრმა სიძულვილი და შეურაცხმყოფელი ფრაზების სროლა რუსეთისა და ყოველივე რუსულის მიმართ. სადამდეც მიგვიყვანა ამ გაუაზრებელმა პოლიტიკამ, დღესავით ნათელია და მიუხედავად **"მეოცნებეთა"** ხელისუფლების მიერ უკანასკნელ ხანს გატარებული ზომიერი პოლიტიკისა, ჯერჯერობით მაინც იგრძნობა რუსეთის მიმართ უნდობლობის ძლიერი მუხტი, რაც უპირველესად იმ პოლიტიკურ ძალებზე ვრცელდება, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ რუსებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას და დიალოგის გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ვინც ბატონ ალექსანდრესა და მის პოლიტიკურ ორიენტაციას გაცნობილია, კარგად იციან, რომ სწორედ იგი გახლდათ წინააღმდეგი რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულებების გაუარესებისა, რასაც ზედმეტი გულმოდგინებით ნერგავდნენ ავადსახსენებელი **"ნაციონალები"** და მათი თავქარქაშა **"ბელადი"**, დაშნაკთა ინტერესების ერთგული დამცველი მიხეილ სააკაშვილი. სწორედ მათ მიერ 2008 წელს შეგნებულად წამოწყებული პროვოკაციული ომის შედეგად მოხდა საქართველოს ძირძველი ტერიტორიების იძულებითი აღიარება რუსეთის მიერ, რამაც გაურკვეველი ვადით გადასწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი.

დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა არ არის საჭირო, რათა დაინახო ინტერესთა კონფლიქტი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მსოფლმხედველობასა და ნაციონალთა პოლიტიკურ პოზიციებს შორის. სააკაშვილმა და მისმა ბანდამ მილიონობით დოლარი ქრთამი აიღეს სომხური წარმოშობის ამერიკელ მილიარდერ კირკორიანისაგან, რათა საქართველოს დედაქალაქი გადაეტანათ ქუთაისში და მოეწყვიტათ ერთმანეთისაგან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, რაც ჩვენი სამშობლოს საბოლოოდ დაშლა-განადგურებას ნიშნავდა. საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება კი, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ცხოვრებისეული კრედო გახლავთ ბატონი ალექსანდრესათვის, რადგან იგი წარმოშობით აფხაზეთიდანაა და სწორედ აფხაზეთში განისვენებენ მისი წინაპრები თუ ღირსეული ნათესავ-მეგობრები, იქ ცხოვრობენ მისი ახლობლები, რომელთა მონახულების საშუალება დღეს ამ პიროვნებას არ გააჩნია.

განა ეს ინტერესთა კონფლიქტი არ მიანიშნებს იმაზე, თუ ვინ საქართველოს მტერია და ვინ – მოყვარე?!

**სწორედ ამიტომ აღვითქვათ დიდ გამარჯვებად ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას დამსახურების სათანადოდ დაფასებას რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მიერ და ვიმედოვნებთ, რომ ეს ფაქტი კიდევ უფრო დააჩქარებს, ჩვენთვის ესოდენ სასურველ, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა ნორმალიზებას, რადგან რუსეთის კეთილი ნების გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემების ჩვენს სასარგებლოდ მოგვარება.**

სავსებით გასაგებია დღევანდელ ხელისუფალთა კრთომაც ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას, როგორც შეუმცდარი პოლიტიკოსის, ამგვარი აღიარებისა და საერთაშორისო დონეზე მისი დიდი ავტორიტეტის წინაშე – მისი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემობიჯება ნიშნავს იმას, რომ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, რომლის ქარიზმას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მილიარდები და მისი არალეგალური მხარდაჭერა წარმოადგენს, ერთი ნაბიჯით მოუწევთ უკან **"ჩაჩოჩება"**. სწორედ ამას ვერ ეგუებიან პოლიტიკური ოპონენტები და ყოველი საშუალების გამოყენებით ცდილობენ ამ უმწიკვლო და ძლიერი პოლიტიკოსის სახელის შებღალვას.

განა სწორედ ამის დასტური არ გახლავთ ის აღმაშფოთებელი ფაქტი, რომ რამდენიმე დღის უკან სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ოფისში აღმოჩენილი იქნა სრულიად უკანონოდ დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა, რის თაობაზე მასალას აქვე ვბეჭდავთ.

**გაზეთი "ილორი"**

# სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს!

ზუგდიდში, სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** ოფისში, რომელიც რუსთაველის ქ. 68-ში მდებარეობს, ელექტროენერგიის წყაროსთან დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა იქნა აღმოჩენილი.

საქინფორმის ჟურნალისტთან საუბრისას სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზურაბ კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ დღემდე ამ ფაქტის გახმაურებას შიდა მოკვლევის გამო არ ახდენდნენ:

**ზურაბ კვარაცხელია:** რამდენიმე დღის წინ ჩემს სამუშაო კაბინეტში, მაგიდიდან დაახლოებით ნახევარი მეტრის მანძილზე ელექტროენერგიის წყაროსთან აღმოვაჩინეთ მოსასმენი აპარატურა, რომელიც კალმით დანომრილია კიდევაც.

**– როგორ ფიქრობთ, როდის და ვის შეიძლებოდა დაემონტაჟებინა აღნიშნული მოსასმენი აპარატურა?**

– შეიძლება მსგავსი რამ ძველი ხელისუფლების დროსაც იყო სხვა ოთახებშიც დამონტაჟებული, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ახალი ხელისუფლების პირობებშია გაკეთებული, თუმცა ამას ჯერჯერობით ვერ დავამტკიცებ.

**– რა მიზეზით ან მიზნით შეიძლება სჭირდებოდეს ხელისუფლებას თქვენი საქმიანობის ფარული მოსმენა?**

– საქართველოს ყველა ხელისუფლება, ზვიად გამსახურდიას მთავრობის გამოკლებით, თავისი იდეოლოგიით წყლის ერთი წვეთივით ჰგავს ერთმანეთს – ყველაფერი ეროვნული ჭირივით ეზიზღებათ!

ჩვენი ორგანიზაცია კი ჭეშმარიტად ეროვნულ, ქართულ საქმეს აკეთებს, ეს ეხება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებას, ენგურსმიღმა დარჩენილ ქართველებთან და აფხაზებთან ურთიერთობის დამყარების პროცესის ხელშეწყობას თუ სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას.

გარდა ამისა, ჩვენს ორგანიზაციას არასოდეს დაუმალავს, რომ ევროპაზე საგარეო ორიენტირის აღება საქართველოს კი არ გაამთლიანებს, არამედ კიდევ უფრო დააქუცმაცებს. ჩვენ ყოველივე ქართულის, ქართველურის დაცვისათვის და შენარჩუნებისთვის ვიბრძვით – როგორც ჩანს, ეს და სხვა ფაქტორები წინა და ახლანდელ ხელისუფლებას ძალიან აღიზიანებს და ამიტომაც გადაწყვიტეს ჩვენი ფარული მოსმენა.

**– ბატონო ზურაბ, აღნიშნულთან დაკავშირებით თუ მიმართეთ სამართალდამცავ ორგანოებს?**

– ჯერჯერობით არ მიგვიმართავს, მაგრამ ვაპირებთ, რომ შესაბამის უწყებებს დავუკავშირდეთ და ვთხოვოთ აღნიშნული ფაქტის გამოძიება.

**საქინფორმი**

# სამეგრელოში „ნაციონალების" თარეში არ დასრულდება, ადგილობრივ არჩევნებშიც დიდ შედეგს დადებენ, ისინი, სულ ცოტა, 40%-ს აიღებენ.

ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების შესახებ მის პოლიტიკაში მოსვლამდეც ბევრი რამ ცნობილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთი ფოტოც კი არ გაგვაჩნდა და ფიზიკურად ვერ ვცნობდით, მაინც ყველაფერი ვიცოდით. მასზე ლეგენდები დადიოდა. როგორც კი ხელისუფლებაში მოსვლა გადაწყვიტა, მთელი დავთარი გამოქვეყნდა იმის შესახებ, თუ სად, **რომელ კუთხეში რა გააკეთა. გურულები მის მზეს ფიცულობდნენ, აჭარლებიც, აღარაფერს ვამბობთ, თავად საჩხერეზე და საკუთარ სოფელ ჭორვილაზე, წინასაარჩევნოდ დიდი პატივი სცა სტიქიით დაზარალებულ კახელებსაც, რამაც 2012 წლის არჩევნებზე გარკვეული გავლენა იქონია.**

**ერთ-ერთი კუთხე, რომელიც ყველა ყოფილი ხელისუფლებისგან და თავად ბიძინა ივანიშვილისგანაც მიტოვებული იყო და ასეთად დარჩა კიდეც, სამეგრელოა. ივანიშვილის ქველმოქმედების ნუსხაში სამეგრელო არ ფიგურირებს და საპარლამენტო არჩევნების შედეგიც ასეთი დადგა, „ქართული ოცნების" მაჟორიტარმა მხოლოდ ერთ ქალაქში – ფოთში გაიმარჯვა.**

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" დაინტერესდა, თუ რა ვითარებაა სამეგრელოს რეგიონულ ცენტრში – ზუგდიდში: რა შეიცვალა ახალი ხელისუფლების პირობებში სასიკეთოდ, როგორ ცხოვრობენ ადგილობრივები და გაჩნდა თუ არა რეგიონში დაპირებული საწარმოები?**

**ომარ სიჭინავა, ზუგდიდის მკვიდრი, პედაგოგი, „ქართული ოცნების" მხარდამჭერი:**

**– ბატონო ომარ, რა ვითარებაა ზუგდიდში? როგორი განწყობა აქვს ხალხს? თვლიან, რომ მათი ყოფა გაუმჯობესდა?**

– ახალი ხელისუფლების მოსვლას ზუგდიდში ვერავინ გრძნობს, შეგრძნება გვაქვს ისეთი, რომ მთავრობა საერთოდ არ გვყავს ან ზუგდიდისთვის არ სცალია. ადგილი აქვს უსამართლობას, ზუსტად ისე, როგორც წინა მთავრობის დროს.

**– რა სახის უსამართლობაზეა საუბარი?**

– ძირითადად, სოციალურად დაუცველი ხალხი ჩივის, მათ ისევ უჭიანურდებათ ის პროცესი, რომ დახმარება მიიღონ, ისევ თბილისისკენ იშვერს ყველა ხელს და ამბობენ, რომ დედაქალაში უნდა მოგვარდეს კონკრეტული გაჭირვებული ოჯახის პრობლემა, რაც გასაკვირია. ისევ ბიუროკრატიაა და სიმართლის პოვნა ძნელია. საპასუხისმგებლო სამსახურებში ისევ **„ნაციონალები"** სხედან.

ყველაზე მეტად ხალხის წყრომას იწვევს ის, რომ სამეგრელოში ეკონომიკური მდგომარეობა კი არ გამოსწორდა, უარესობისკენ წავიდა. გაზაფხულზე ყველა რაიონს უჭირს, მაგრამ ზუგდიდს – განსაკუთრებით. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი თხილია და გაზაფხულზე თითქმის ყველა ოჯახი უშემოსავლოდ რჩება. ჩვენთან არ არის სამუშაო ადგილები, გაჩერებულია ყველანაირი მშენებლობა, პროექტები, რომლებიც ანაკლიაში ხორციელდებოდა და საკმაოდ ბევრი ხალხიც იყო დასაქმებული. თავად ანაკლიაში მცხოვრები მცირე ბიზნესმენებიც გაგიჟებულნი არიან, მათი ერთადერთი შემოსავალი ის პატარა მაღაზიები და ჯიხურები იყო, რომელთაც აქამდე მეტ-ნაკლებად ამუშავებდნენ. მათთან გასაუბრება პრობლემა არ არის, თქვენც შეგიძლიათ ჰკითხოთ და გეტყვიან, რა მდგომარეობაა.

ანაკლიაში მას შემდეგ, რაც მშენებლობები დაიწყო, ხალხმა ცოტა ამოისუნთქა. მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ბევრი დამსვენებელი ყოფილიყო, სასტუმროებში სტუმარი ჩასულიყო, ამით მაღაზიის მეპატრონეები ოჯახის რჩენას ახერხებდნენ. ერთ-ერთმა მეწარმემ თქვა, რომ დღეში 2 ათას ბოთლ მინერალურ წყალს ყიდდა და ახლა ათ ბოთლს ძლივს ყიდის. თითქოს მცირე ნიუანსია, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთს ემატება და ხალხის უკმაყოფილებაც მძაფრდება.

**– რა ვითარებაა საკრებულოებში და გამგეობაში?**

– გამგეობა „ქართული ოცნების" წევრებით დაკომპლექტდა, საკრებულოში ისევ „ნაციონალები" არიან.

**– ძალიან ბევრ რაიონში ახალ ხელისუფლებას უჩივიან, რომ „ნაცებიდან" შეგზავლინი ხალხიაო, ამ მხრივ რა ვითარებაა ზუგდიდიში?**

– ამის ფაქტები არ მაქვს, მაგრამ ყველაფერი **„ნაციონალებთან"** შეთანხმებით რომ ხდება, ეს ნათლად ჩანს. **„ნაცები"** და **„ოცნება"** ერთმანეთთან შეხმატკბილებულები მუშაობენ. საპრეზიდენტო არჩევნებში ეს აშკარად გამოჩნდა, ისინი პროცენტებზეც შეთანხმებულები იყვნენ.

სამეგრელოში **„ნაციონალების"** თარეში არ დასრულდება, ადგილობრივ არჩევნებშიც დიდ შედეგს დადებენ, ისინი, სულ ცოტა, 40%-ს აიღებენ.

**– რა იწვევს ამას, რომ ხალხს „ნაციონალების" მეტი იმედი აქვს?**

– ზუგდიდში საქმე არ კეთდება. სამართალდამცავები, როგორც ადრე, ისევ დაგეშილები არიან, მგონი, ამ მხრივ დაწყევლილები ვართ. ისინი თავის უფლებამოსილებას ამეტებენ. არჩევნებისთვის ფულს აგროვებენ და ჯარიმებს, როგორც გაუხარდებათ, ისე უწერენ ხალხს.

გზების მშენებლობა შეჩერებულია, დენი ითიშება, ამის კი აქაურ მოსახლეობას ძალიან ეშინია, ყველას ახსოვს დრო, როდესაც კვირაობით შუქი არ ჰქონდათ, იმ დროში დაბრუნება არავის სურს. ზუგდიდი უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია და ამას როდემდე გაუძლებენ ან მოითმენენ, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილება დღითიდღე მატულობს.

**ირაკლი დარასელია, „ქართული ოცნების" მხარდამჭერი: –** ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა, ამას ვინ ელოდა? ჩვენ, ვინც როლანდ ახალიასა და მისი ნაძირალა შვილების პირობებშიც კი ვახერხებდით, რომ სიმართლე გვეთქვა და გვებრძოლა, ძალიან იმადგაცრუებულები ვართ. რამდენი რამე გადავიტანეთ და ახლაც კი, როდესაც ბოლოსდაბოლოს **„ნაცები"** ხელისუფლებაში აღარ არიან, მაინც ზუგდიდელების საშველი არ არის. **„ოცნების"** წევრები **„ნაცებს"** გაურიგდნენ, თანამდებობებს მშვენივრად ინაწილებენ და ცხოვრობენ შეხმატკბილებულები. ეს კი იმიტომ ხდება, რომ **„ოცნებამ"** ისეთი ხალხი წამოსწია წინ, რომელსაც არც ცოდნა აქვს და არც გამოცდილება, **„ნაციონალების"** გამოცდილების იმედადაა.

მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ყველაფერი ძალიან ცუდად არის. შეგრძნება გვაქვს, რომ არც გამოსწორდება, რადგან ამ სურვილს ვერავისგან ვხედავთ. ეს კი კარგი ნამდვილად არ არის. რაც ყველაზე მთავარია, მიშას სიტყვები მართლდება, ძველ დროში დაბრუნდებით, დენი და გზა რომ რომ არ გქონდათო. ასეც არის, შუქი ისეთი ინტენსივობით ითიშება, რომ ხალხს უკვე მართლა აქვს შეგრძნება, რომ ძველ დროში ვბრუნდებით.

**ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასუხად ბატონ თენგიზ კუბლაშვილს

დიდად პატივცემულო და, ამიერიდან, ჩემთვის სათაყვანებელო თენგიზ კუბლაშვილო!

მინდა ბოდიში მოგიხადოთ და გულწრფელი სინანული გამოვთქვა იმის გამო, რომ არ მცოდნია ჩემნაირი სეპარატისტის და ჩემთვის სანუკვარი თანამოაზრის არსებობა, როგორიც, თურმე, თქვენ ბრძანდებით.

ამის დასტურია გაზეთი **"ილორი"** (104 (165) 25 იანვარი-1 თებერვალი 2011 წ.), რომლის მეათე გვერდზე თქვენ წერთ:

**"...დღეს არავინ კამათობს იმის შესახებ, რომ ქართული ენების ფუძეენა ლაზურ-მეგრულია. ვეკითხები მათ, ვინც მეგრულ ენას ქართული ენის დიალექტად მიიჩნევს: როგორ შეიძლება ფუძე ენა დიალექტი იყოს?..."**

**...მეგრული, სვანური, ქართული პრეისტორიული ჭყონის ფესვიდან ამოზრდილი სამი ტოტია რომელთაგან ერთ–ერთს ბედისწერამ და ისტორიის ქარტეხილებმა ქართული ენა დაარქვა, და სახელმწიფო ენის შესრულება დაავალა..."'**

**"...კატეგორიულად მოვითხოვთ სკოლებში მეგრული და სვანური ენების სწავლა იმგვარი პროგრამით, რათა ნებისმიერი კუთხის ქართველმა იცოდეს: ლიხსიქითაც ქართველები ცხოვრობენ, რომ მეგრული და სვანურის არსებობა არ ნიშნავს მათ არაქართველობას..."**

ჩემს აღტაცებას და თანაზიარ სინანულსაც (რატომ აქამდე არ გიცნობდით) საზღვარი არა აქვს. ბრავო!!!

თუმცა აქვე უნდა შევნიშნო, იმედია გამიგებთ: იმისათვის რათა ეთნოსი არ გადაშენდეს საკმარისი არაა ხალხმა თავისი ენა მხოლოდ იცოდეს. ოპტიმიზმი კარგია, ოღონდ ამ ოპტიმიზმს თუ საყრდენი არა აქვს, პესიმიზმზე უარესია. ენა რომ გადარჩეს მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაცვის ინსტიტუტებით უნდა იყოს აღჭურვილი. რაც უმთავრესია, ხალხი თავის ენაზე თუ მეტყველებას თაკილობს და მოზარდები კი უკვე, თითქმის უმრავლესობა, ამ ენაზე აღარ მეტყველებს ეს ენა დაიღუპება და ძალიანაც სწრაფად, რა თქმა უნდა, თუ დროულად გონს არ მოვეგეთ. ენის გადასარჩენად, აუცილებელია **კათა** (ხალხი – ბ-ნო რედაქტორო, რატომ ვიხმარო უცხო სიტყვა, თუ მშვენიერი ჩვენებური გამაჩნია?...) ამ ენაზე მეტყველებდეს და აზროვნებდეს, ანუ ენა ფუნქციონირებდეს.

მე უმაღლესი რუსულ ენაზე დავამთავრე. ვიცი რუსული, მაგრამ ვაზროვნებ მეგრულად ანუ ჩემი ცნობიერება მეგრულია. მაშასადამე, მე რუსი არა ვარ. მაგრამ, დავუშვათ და, მთლიანად მეგრელ კათას (ხალხს) არა თუ რუსული ეცოდინება, არამედ რუსულ აზროვნებაზეც გადავა – ანუ ცნობიერება ექნება რუსული, ამ შემთხვევაში, იგი გარუსებული იქნება.

თუ რამდენიმეწლიანი დაწყებითი განათლება სამეგრელოში მეგრული არ იქნა, მეგრულის სწავლება სკოლაში ბავშვებში მეგრულ აზროვნებას ვერ დანერგავს. ბავშვს მეგრული კი ეცოდინება, როგორც საგანი, მაგრამ მისი ფსიქოლოგია-აზროვნება-მეტყველება იქნება ქართული.

მეგრული ეთნოსი, როგორც მეგრული სულიერი ფენომენი, გადაშენდება.

აი, რა არ უნდა დაუშვათ თქვენ და თქვენნაირმა პროგრესულმა მოაზროვნეებმა.

ძალიან კარგად ვიცი ბევრ **"მაროს"** სწორედ ეგა სურს – მეგრული მალე გადაშენდეს, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ კარგად დავიმახსოვროთ:

**"მე ვარ ქართველი, მაშასადამე – ვარ ევროპელი"** და მე ვარ მეგრელი მაშასადამე – ვარ ქართველი.

ის ვინც მეგრული ცნობიერების და მეგრულენოვან მეგრელს თვლის ეროვნებით ქართველად და იმავდროულად მეგრულ ენას ართმევს არა თუ ეროვნული ენის, არამედ ნებისმიერ სხვა სტატუსს, ის თავად არაა ეროვნებით ქართველი.

მეგრელი, რომელიც უარყოფს თავის ენას და მეგრელობას, არა თუ ეროვნებით ქართველი არაა, არამედ საერთოდ არ განეკუთვნება მოდგმას კაცობრიობისა, რადგან დღევანდელი ადამიანის მთავარი, ადამიანობაზე მიმანიშნებელი სიმპტომი ღირსებაა:

მართლაც, ადამიანი დღეს გაბატონებული საყოველთაო აღიარებით ხომ მორალური ფენომენია – ჰომო მორალისია...

შემდგომი ტექსტი მეათე გვერდისა არ მომყავს რადგან მათს კონტექსტების ჭეშმარიტებაში თითის შეტანაც კი შეუძლებელია. (უმნიშვნელო შენიშვნა – მეგრულად წყევლა არის არა **ჭყოლა** არამედ **ჭყალა**).

მადლიერება და კვლავ და კვლავ უსაზღვრო მადლიერება...

ახლა კი გადავიდეთ ამავე წერილის იმ მონაკვეთზე, რომელიც მე-8 გვერდზეა დაბეჭდილი, სადაც, საუბედუროდ, თქვენ კვლავ, ჯიუტად, ცდილობთ ჩამომსვათ თეთრი ცხენიდან და თქვენი – შავის გაათეთრებას რომ ცდილობთ, მასზე გადამსვათ. ბუნებრივია, ამას აღფრთოვანებით ვერ შევხვდები.

თქვენ, ბატონო თენგიზ, მოგყავთ ციტატა ჩემი წერილიდან, სადაც ვამბობ, რომ **"...მეგრელებს უკვე აქვთ პოლიტიკური ავტონომია..."**

დიახ, ბატონებო, აფხაზეთიდან ლტოლვილ ათეული ათასობით მეგრელს აქვს **„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა"**, რომელიც ერთ–ერთი უმაღლესი სახელმწიფო ადმინისტრაციული ერთეულია საქართველოში. პარადოქსი ისაა, რომ წითლებიდან დაწყებული, მეგრელთათვის ყოველგვარი ავტონომიის საშიშროებად (ფობიად) გადაქცევის ათეული წლების აგიტაცია-პროპაგანდას იმდაგვარი ზომბირება გამოუწვევია, რომ არა თუ უბრალო მოსახლეობა, არამედ თვით ნაცადი პოლიტიკოსებიც კი, როცა მათ შავ პიარს – მეგრელთაგან ავტონომიის მოთხოვნა სეპარატიზმიაო, პირში ვახლი – მეგრელებს აქვთ ავტონომია, მარა მას მეგრელები არ გაუგიჟებია-თქო, შოკში ვარდებიან. საიდან სადაო, კვირობენ.

არადა, ვიმეორებ, ფაქტია: აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის საქართველოში არის მათთვის განკუთვნილი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

ლტოლვილი მოსახლეობა მეგრულია, ღმერთო დიდებული, მაშ ვისია ეს ავტონომიური რესპუბლიკა თუ არა მეგრელებისა?...

მაგრამ მოდით ერთი ვიკითხოთ – რა, აუმხედრდნენ ამ ავტონომიის მეგრელები საქართველოს?!, გამოჩნდა კი თუნდაც რამენაირი სეპარატიზმი ამ მეგრელთა მხრიდან? მაშ, რატომ ვქმნით მეგრული ავტონომიის ფობიას?!...

იმიტომ ხომ არა, რომ გვსურს მეგრული სამეგრელოს გადაშენება?...

უფრო მეტიც, რატომ არ ვიგულისხმო რომ თავად სახელმწიფოა სეპარატისტი, რადგან ექცევა ამ ავტონომიას არასწორად, როცა არავითარ სტატუსს არ აძლევს ამ ავტონომიის მფლობელი **კათას** (ხალხის) ენას, რომელი **კათაც** კერასაა მოწყვეტილი და, რა თქმა უნდა, როგორც ეთნოსი, გადაშენების პირასაა.

დარწმუნებული ვარ, მსოფლიოში ერთადერთია პრეცენდენტი, როცა ერთიან სახელმწიფოში **კათას** (ხალხს) აქვს უმაღლესი პოლიტიკური სტატუსი, ხოლო მათი ენა აბსოლუტურად უფუნქციო და უუფლებოა...

ამ შემთხვევისთვის მახსენდება ინტერნეტში ლევან ბერძენიშვილის მიერ გავრცელებული დაახლოებით ასეთი შინაარსის ნათქვამი – მეგრული ენა კი არიო, მარა **კათა** (ხალხი) არაფერს არ ითხოვს და ჩვენ რა ვიმოქმედოთო...

აფერუმ, შენს ვაჟკაცობას ბატონო ლევან. აფსუს, როგორ უგებ შენს ხალხს (კათას)?!.

ახლა დავიჯერო იმ დონის ინტელექტუალმა როგორიც ლევანია, არ იცის, რომ ყველაზე მთავარი, ყველაზე მბრძანებლური მოთხოვნა ეს ენის დაუცველობაა. რომ თუ **კათა** (ხალხი) ჯერაც თავის ენაზე მეტყველებს ესაა ყველაზე უკიდურესად რადიკალური მოთხოვნა.

აბა, რაზე მიგვანიშნებთ, ბატონო ლევან, – კეტი-ქვა ავიღოთ, თავში დავცხოთ ვისაც ჯერ არს და მერე გვიშველით თუ რა?...

ბატონო თენგიზ, ამას თქვენგან არ მოველოდი, ბრძანებთ: **"...კულტურულ ავტონომიასაც სეპარატიზმის სუნი ასდისო..."** და იქვე, ჰაიჰარად, ჩვენი კუთხეების კულტურულ ღირებულებათა მსგავსება-განსხვავებაზე აკეთებთ აქცენტს – აქაოდა ნებისმიერი კუთხე გარკვეულწილ განსხვავებულობას ხომ შეიცავს და, მაშასადამე, კულტავტონომიის უფლებებს მათზეც ხომ ვერ განვავრცობთო.

დიდად პატივცემულო, თქვენ რომ ხუბუას პასკვილზე ჩემი პასუხი წაგეკითხათ ამას არ დაწერდით. იქ ვამბობ: **„...მეგრული და სვანური ენების საწინააღმდეგოდ ქართიზატორებს გააჩნიათ განსხვავებული მიდგომაც: როგორც კი ამ ენათა სამოგებო რამ სადმე გაიჟღერებს – იმწუთშივე ქართული ენის დიალექტებს მეგრულ და სვანურ ენებს გაუტოლებენ. აქაოდა ამდენ ენებად ხომ არ დავქუცმაცდებითო..."**

მიუხედავად მეგრულ ენაზე თქვენი სწორი შეხედულებებისა, პარადოქსია, მაგრამ აქვე, ზემოთ, თქმულისმაგვარივე მიდგომას ავლენთ, ოღონდ კულტურულ ასპექტში: მეგრული ენის უშუალო წინაპრის – კოლხური ენის მიერ შექმნილი მსოფლიოში სახელგანთქმული კოლხური ცივილიზაცია (რომლის ფიზიკური ანუ გენეტიკური მემკვიდრე სრულიად საქართველოს ქართველობაა, რამეთუ წინათ კოლხები იყვნენ) აგყავთ ქართული ენისა და მის დიალექტთა მიერ შექმნილ კულტურათა რანგში...

აქ სასაუბრო ბევრია, მაგრამ ერთი ცხადია – ყველაზე დიდი და განუმეორებელი კულტურა ეთნოსისა ენაა, იგი ქმნის ყველაფერს, რადგან არ არსებობს გასაკეთებელი, რომელიც წინდაწინ აზროვნება-მეტყველებით რომ არ კეთდებოდეს. მეგრული ენა და მისი დიალექტები კი, ქართულთან და მის დიალექტებთან მიმართებით, სრულფასოვანი და რანგით განსხვავებული ენობრივი მონაცემები არიან.

საქართველოს ყველა კუთხის ნებისმიერი კულტურული გამოვლინება აბსოლუტურად იდენტური რომც იყოს, მეგრულენოვან ეთნოსს ქართულის დიალექტებზე არსებულ ეთნოსებს რანგით ვერ გავუტოლებთ. ეს აბსურდია...

იქვე სვამთ რიტორიკულ კითხვას – მეგრელებს ავტონომია რომ მივცეთ სომხებს, აზერბაიჯანლებს და ა. შ. რა ვუთხრათო.

ჩემო კეთილო, გულწრფელად გეუბნებით, მე უბრალოდ სამართლიანობის ჭრილში განვიხილავ საკითხს თორემ, (მივმართავ მთავრობას, პარლამენტს) მოგვეცით ყველაფერი ის რაც სომხებსა და აზერბაიჯანლებსა გააჩნიათ – სკოლა, ტელევიზია, რადიო, პრესა თეატრი და რა ვიცი, რა არა აქვთ და ეს ავტონომიები თუნდაც დევის ცხრაკიტულში შეინახეთ. ხმის ამომღები არავინ იქნება და თუ ვინმე გამოჩნდება პირველი მე შევეწინააღმდეგები...

ან ამ სომხებს რაში ჭირდებათ ეს ავტონომიები – ისედაც ხომ აქვთ ყველაფერი.

**...ისტორიას ახსოვს მეგრული სეპარატიზმის მქადაგებელთა ჯგუფი**-ო კი ამბობთ, მაგრამ თუ მეგრელისთვის არავითარი ავტონომია (კულტურული თუ პოლიტიკური) არ გემეტება, სეპარატისტად ჩამთვლი, აბა რა იქნება, ჩემო კარგო. ოღონდ, რბილად ვამბობ – ასეთ პიროვნებას და ასეთ სახელმწიფოს დემოკრატიულობაზე პრეტენზიები არ უნდა გააჩნდეს... წითელი შოვინიზმის ეპოქაში, კი ბატონო – ცამდე მართალი იქნებოდით.

თუმცა იმასაც, რაც თქვენ ზემოთ მეგრულის სამოგებოდ რომ ბრძანეთ, ხუბუა და მისნაირები სეპარატიზმად რომ თვლიან?... ამას რა ვუყოთ?... ასე რომ თქვენც ჩემნაირი **„სეპარატისტი"** ბრძანდებით... მოგწონთ ეს აბსურდის თეატრი?.. ვფიქრობ არა, მაგრამ ვისი ბრალია?..

რაც შეეხება სულმნათ ზვიად გამსახურდიას ნაშრომს – **"სამეგრელოს საკითხი"** – წაკითხული მაქვს. ბევრ რამეში ვერ დავეთანხმე, მაგრამ ახლა ვფიქრობ, მაშინ ეს იმიტომ თქვა თავად მისთვის სეპარატიზმი არ დაებრალებინათ. არაფერიც, მაინც დააბრალეს...

მაფალუისტებზე ამბობთ – **"მათ მხილებას... საგაზეთო წერილი არ ეყოფაო"** – გეთანხმებით, ბატონო, მეგრული ენის დაცვა-განვითარება სურდათ, მეტი არაფერი. ესაა სეპარატიზმი?... კაცო, ზვიად გამსახურდიაც კი გახადეს სეპარატისტი და, ამის მერე სხვაზე რა უნდა ვთქვათ...

თქვენ სწორი ბრძანდებით, როცა ამბობთ, რომ თქვენთვის მშობლიური ქართულია და ამიტომაც ქართული ცნობიერება გაგაჩნიათ, მაგრამ იგივეა მეგრელისთვის მეგრული ენა და მისივე ცნობიერება. მე კი ის ვთქვი, რომ საქართველოში ქართველურ ენებს თუ თანაბარი განვითარების საშუალება მიეცემათ ისინი, დიდ დროში, დაახლოვდებიან და შეიძლება, პერსპექტივაში გადაიქცნენ ერთ ენად-თქო. ვიოცნებე, ჩემო კარგო. ოცნება ხომ არ ვნებს... თორემ, რა თანაბარი განვითარება. სულს ღაფავს მეგრული.

დიდი მადლობა ჩემი ნაშრომისთვისაც რომ მოიცალეთ. საქმე ეხება 1991 წლისთვის 20 წლიან ნამუშევარს, ხოლო დღეისათვის კი უკვე 40 – წლისას. 1991 წლის საგაზეთო ინტერვიუში რამდენიმე წინადადებით გადმოცემულია დედააზრი ამ ნაშრომისა და არა **"...ის კანონზომერება"**, რომელიც (მე) ქართველურ ენებზე (იმ დროისთვის) ორი ათეული წლის დაკვირვების შედეგად დავადგინე. მაშინდელი დაკვირვების შედეგები 1997 წლის 162 გვერდზე სასიგნალო პუბლიკაციაშია გადმოცემული და მოიცავს ათეულობით სისტემების ათასობით ტერმინებს. მას შემდეგ ორი ათეული წელი კიდევ მიილია, რაც შეუსვენებლივ ვმუშაობ. ასე რომ სანამ რამეს იტყოდით, სასურველი იქნებოდა, რომ ეს მასალა უნდა დაგემუშავებინათ, ჩემო ბატონო... მაგრამ, სამწუხაროდ წიგნი სერიულად არაა გამოცემული, არც ბოლო წლების ნამუშევრებია წიგნად გამოცემული, ინსტიტუტები კი დუმან...

თუ დაბეჭდვის საშუალება იქნება, ამ წერილს გავაყოლებ აქაურ **"ათინათის"** რადიოზე მიცემულ ინტერვიუს, ამ საკითხზე. ვფიქრობ ცოტა რამ გაირკვევა. წინადადება მაქვს ინტერნეტში დავმეგობრდეთ. იქ საიტებში შეხვალთ და ნაშრომს გაეცნობით...

პატივისცემით,

**ედემ იზორია**

***გაზეთ "ილორის" კომენტარი – ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში აუცილებლად დავბეჭდავთ ბატონ ედემ იზორიას მიერ "ათინათის" რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუს.***

## ჯიგარი ხარ, ოხლობისტინ, ანუ – "ჩემი ნება რომ იყოს, ყველა "გეის" ღუმელში ცოცხლად გამოვწვავდი"



პოპულარული რუსი მსახიობის ივან ოხლობისტინის რადიკალურმა განცხადებამ სექსუალური უმცირესობების შესახებ დიდი ალიაქოთი გამოიწვია როგორც მის მშობლიურ რუსეთში, ასევე ევროპაში. ნოვოსიბირსკში სიტყვით გამოსვლისას ერთობ რელიგიურმა მსახიობმა განაცხადა, რომ მისი ნება რომ იყოს, ყველა **"გეის"** ღუმელში გამოწვავდა.

**"ღუმელში ცოცხლად გამოვბუგავდი ყველას. ეს სოდომი და გომორაა და მე, როგორც მორწმუნეს, არ შემიძლია ინდიფერენტული ვიყო ამ საკითხის მიმართ, მაშინ როცა ეს საფრთხეს უქმნის ჩემ შვილებს.**

**არ მინდა, ჩემი შვილები ფიქრობდნენ, რომ იყო პედერასტი, ნორმალურია. თუ კაცს არ შეუძლია აირჩიოს მისთვის მოსაწონი საწინააღმდეგო სქესის ადამიანი ოჯახის შესაქმნელად და გასამრავლებლად – ეს მენტალური გადაგვარების აშკარა ნიშანია და ასეთ ადამიანს არც არის საჭირო, არჩევნის უფლება ჰქონდეს."** – განაცხადა ოხლობისტინმა.

იმის გათვალისწინებით, რომ ივანე ოხლობისტინი რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სერიალის, **"სტაჟიორების"** მთავარი როლის შემსრულებელია, მისი სიტყვები ქსელში საოცარი სისწრაფით გავრცელდა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსახიობი ახლა უფრო პოპულარულია, ვიდრე ის ოდესმე შეძლებდა გამხდარიყო სამსახიობო ოსტატობის ხარჯზე. თუმცა შეიძლება ოხლობისტინს ჰომოფობიური გამონათქვამები **"ძვირად"** დაუჯდეს – **ლგბტ** აქტივისტების განცხადებით, ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა მსახიობს **"ცივილიზებულმა ქვეყნებში მათ ტერიტორიაზე შესვლის ნება არ მისცენ"**.

ან კი რას მისცემს ჭეშმარიტ მამაკაცს ისეთ ქვეყნებში სიარული, სადაც პედერასტების ცხოვრების წესი დომინირებს, ნამდვილ მამაკაცებსა და ქალებს კი არასრულფასოვან ადამიანებად მიიჩნევენ!

## ბავშვებს ფასდაკლებით ყიდიან – ისტორიული ფოტო, 1948 წელი, ჩიკაგო




ჩიკაგოში ღარიბი ოჯახები შემოსავლის არარსებობის გამო ბავშვებს ყიდნენ. ფოტოზე ერთ-ერთი ასეთი ოჯახია ასახული. ჩვენი სირცხვილი კი ის არის, რომ სწორედ ამგვარ ქვეყანას მივიჩნევთ დემოკრატიზმისა და ცივილიზაციის ფორპოსტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ ცხრება განგაში მეგრული სეპარატიზმის საფრთხეზე

რამდენი ეჭვი, რამდენი ვარაუდი და ვერსია გამოთქმულა მეგრული სეპარატიზმის შესახებ. რა კუთხითა და მოცულობით არ წარმოუჩენიათ მოსალოდნელი საშიშროება. რა ისტორიული ფაქტებისთვის არ მოუხმიათ და უმტკიცებიათ, რომ ჰარიქა, სამეგრელოში სეპარატიზმის საფრთხეაო. რამდენი ლაფი და ტალახი უსვრიათ, თითიდან გამოწოვილი რამდენი რამ უთქვამთ და დაუწერიათ, მაგრამ ყოველივე ფუჭი ყოფილა. მე არ ვიცი, რამდენად გამართლდება ქვემოთ მოყვანილი ავტორის ვარაუდი, მაგრამ მსჯელობად ნამდვილად ღირს, რომ მოსახლეობაში პანიკა და შიში არ დაითესოს.

ჟურნალ **„თბილისელებ“**-ში (30.12.2013 წ.) გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბატონი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ პუტინმა გააჟღერა **„კონსერვატიული მოდერნიზმის“** იდეა, რომელიც გულისხმობს ახალი რეგალიების მორგებას იმ ტრადიციული ევრაზიული იდეოლოგიისთვის, რითაც იმართება რუსეთი. უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ-სამხედრო მოდერნიზაცია.

**„აქ ჩაგდებულია ფარული ექსპანსიონიზმი. მეგრული სეპარატიზმის იდეის მორგებით. რუსეთი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია მოაქციოს საკუთარი გავლენის ქვეშ და ასეთი ტერმინიც შეიძლება შემოვიღოთ – „ლატერნული ექსპანსიონიზმი“,** – აცხადებს მაისაია. ამის საფუძველს მას აძლევს გალის რაიონში დაწყებული სამხედრო ბაზებისა და ანტიტერორისტული ცენტრის მოწყობა, რითაც მალე კრემლი შეეცდება გალს მისცეს პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი, მეგრულს გამოაცხადებენ ტიტულოვან ენად და დაუქვემდებარებენ უშუალოდ კრემლს. სვანებს მისცემენ კულტურული ავტონომიას, და რასაც ცარიზმი საკუნეების წინ ცდილობდა სახეშეცვლილი მეთოდებით, ახლა მოახერხებს პუტინი. და ის რაც თითქოს ზვიად გამსახურდიას ეწადა – **„სამეგრელო-აფხაზეთით“** დაპირისპირებოდა დანარჩენ საქართველოს, განმეორდება.

წარმოდგენილი ვერსია ნამდვილად ცუდი მოსასმენია და მეტად საშიში, ეს მაშინ, როცა განგაშის ზარს პოლიტიკოსები და ექსპერტებიც ჩამოკრავენ, რომ ზამთრის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ, კრემლი ეცდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მორიგ ხელყოფას. თუმცა რა ფორმითა და საშუალებით, ეს უცნობია.

ცხადია, გალი დღეს ყველაზე **„არასაიმედო რეგიონია აფხაზეთში“**. აქაური მეგრულენოვანი ქართველები სისტემატიურად ეწინააღმდეგებიან ხელისუფლებას. მათი ნათესავები და ახლობლები ცხოვრობენ სამეგრელოში და მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა და რეჟიმის გამკაცრებისა, გადმოდიან მდინარე ენგურზე და პირიქით. გალში არცერთი ქორწილი და დასაფლავება არ ხდება სამეგრელოში მცხოვრებთა მონაწილეობის გარეშე. მარცვლეულის თესვისა თუ მოსავლის მომკა-დაბინავებაში აქტიურად მონაწილეობენ სამეგრელოს მცხოვრებლები. ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, პირიქით, ის უფრო და უფრო ღრმავდება.

თუ რუსეთის ხელისუფლება, აქედან გამომდინარე, გაბრიყვდება და გალის ქართველებს ცალკე შეუქმნის ავტონომიას და კრემლს დაუქვემდებარებს, როგორც ბატონი მაისაია ვარაუდობს, კრემლი იშოვის მოხალისე ადგილობრივ მცხოვრებს და ჩაუყენებს მას სათავეში. და ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდება, რომ მომავალში დასავლეთ სამეგრელო მიუერთონ **„გალის ავტონომიას“.** ცხადია ეს აუცილებლად გამოიწვევს სეპარატისტული **„სოხუმის“** გაღიზიანებას და ადეკვატურ მოქმედებებს. და არა მხოლოდ მათი.

ეს მიერთება-შეკოწიწება ძეხვის მოჭრა არ არის, ან პურის ჩაკბეჩა. ამგვარი რამ ხალხის ნებაყოფლობით გამორიცხულია. და თუ რუსეთი ამისთვის გამოიყენებს სამხედრო ძალას, დარწმუნებული ვარ, იგი მიიღებს **„მეორე ჩეჩნეთს“**, ანუ უბეში ჩაისვამს მეორე შხამიან გველს. ჩრდილოეთ კავკასიას მიემატება სამხრეთ კავკასია. და ეს იქნება მარადიული სასაფლაო რუსეთისთვის. სამხრეთ კავკასიაში მარტო საქართველო არ მდებარეობს. აქ ასევე ეკონომიკურად წარმატებული აზერბაიჯანია, რომელიც მთლად ვერ არის რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი. გაჩნდება **„ერთიანი კავკასიის“** ფრონტის შექმნის მძლავრი სტიმული. და ამ შხამს ვერ მოინელებს, თუნდაც ისეთი ქვეყანა, როგორიც რუსეთია.

ამგვარი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა სირეგვნე იქნება ჩრდილოელი მეზობლისათვის. ამასთან, ნუ ჩავარდებით პანიკაში და ავტეხთ ვაი-ვიშს, ნუ შემოვიკრათ თავში ხელებს და გოდებად ნუ ვიქცევით, ამის საფუძველი ნამდვილად არ არის.

ვინც სამეგრელოს წარსულსა და ისტორიას ზედაპირულად მაინც იცნობს. მათ იციან, რომ ცარიზმმა რა თანმიმდევრობით მოახერხა საქართველოს მხარეების დამორჩილება. ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა 1801 წელს. იმერეთი 1810 წელს დაიპყრო. გურია ჩვიდმეტი წლის შემდეგ, სვანეთი – 1857 წელს, აფხაზეთი – 1864 წელს და სამეგრელო ყველაზე ბოლოს, მხოლოდ – 1867 წელს. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამის ახსნა შორს წაგვიყვანს. ფაქტია, სამეგრელო ნებისმიერი მტრისთვის ძნელი დასამორჩილებელი და მოსანელებელი იყო და იქნება.

შუა ასაკოვან ადამიანებს ახსოვთ, როცა აფხაზებმა ომი გააჩაღეს და შეტევა დაიწყეს, სამეგრელოს მოსახლეობას დახმარებისთვის ხელისუფლებისთვის არ მიუმართავთ, ტრანსპორტის ყველა საშუალებით, მანქანით, მისაბმელიანი ტრაქტორით, ცხენით, ველოსიპედით, ათასობით შეიარაღებული ადამიანი დადგა მდინარე ღალიძგასთან და მოწინააღმდეგეს არ მისცა გადმოსვლის საშუალება. ეს არის სიმედგრის, მამაცობის უტყუარი მაგალითი. მე მჯერა საკუთარი კუთხის პატრიოტული სულისკვეთებისა. იმისა, რომ რაც ოსმალებს, ყიზილბაშებს, არაბებს, მონღოლებს არ გამოუვიდათ სამეგრელოში, სხვა დამპყრობს არ გამოუვა. გავიხსენოთ თუნდაც ეგრისის სამეფო, ბიზანტიისგან ფორმალური ასიგნებების მიღებაზეც კი თქვა უარი გუბაზ-1-მა და წლების განმავლობაში შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. მე ამაყი ვარ იმითაც, რომ ცარიზმის რუსეთმა საქართველოს კუთხეებს შორის, სწორედ სამეგრელოს დამორჩილება შესძლო ყველაზე მოკლე ხნით.

ამბობენ, ადამიანს წინაპრებისაგან განძი და დოვლათი გადაეცემა, მაგრამ არა იდეებიო. დიახ, ცალკეული ადამიანისაგან განსხვავებით, ხალხს აუცილებლად გადაეცემა სიმედგრისა და თავდადების პათოსი, რაც იძლევა საფუძველს, რომ ცხოვრების წესით ვართ და დავრჩებით ერთგული დედა-სამშობლოსადმი.

რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი თითქოს ცდილობდა სამეგრელოსა და აფხაზეთის გამოყენებით დაპირისპირებოდა დანარჩენ საქართველოს, და ეს იყო სეპარატიზმის მცდელობა – მტკნარი სიცრუეა. სამეგრელო მხარს უჭერდა ხალხის მიერ პრეზიდენტად არჩეულ ზვიად გამსახურდიას სამართლიან ბრძოლაში **„სამხედრო ხუნტის“** წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ვინც სხვა სახელს მიაკერებს და სეპარატისტულ ახსნას მოუძებნის, საკუთარ მრწამსში ჩაიხედოს. დიდი ხანია სამეგრელოს სეპარატიზმზე ენას იქავებენ მავანნი. ცალკეულ უგუნურთა გამოხდომებისთვის თავად ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთ გაუციათ საკადრისი პასუხი. გაზეთები წერენ თითქოს ზუგდიდში არსებული **„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის“** წევრები მსჯელობენ თურმე, სამეგრელოსთვის პოლიტიკური სტატუსისა თუ კულტურული ავტონომიის მინიჭების შესახებ. ეს წყლის ნაყვაა, ერთეულთა სიზმარს აყოლილი ბოდვა, რომელსაც რეალობასთან და სამეგრელოს მოსახლეობის სურვილთან იოტისოდენა თანხვედრა არ აქვს.

ეს იგივეა, ნაწვიმარზე სოკო რომ აღმოცენდება. შემდეგ კი, მზე რომ გამოაცხუნებს, ქრება. მუდამ გაქრობა ემუქრება ამგვარ **„ნისლიან“** იდეებს.

ნამდვილად ვერ გავექცევით იმაზე მსჯელობას, რომ სამხრეთ ოსეთში ყოფნისას ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენლმა და ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარემ, ფილიპ ლეფორმა ცხინვალში გააკეთა განცხადება: **„სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სტატუსი დიდი ხანია, განსაზღვრულია რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ„**-ო.

თუ რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში ისევე დრამატულად წარიმართება, როგორც უკრაინაში, შესაძლებელია რაღაც ცვლილებები გამოიწვიოს სეპარატისტულ აფხაზეთსა და ოსეთში. ექსპერტთა ვარაუდით ეს შეიძლება იყოს ევროკავშირთან მათი დაახლოების მცდელობა. სხვა რადიკალური ღონისძიებების გატარება ავხორცი ალგზნების გამოძახილი იქნება რუსეთის მხრივ, რაც ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის, რადგან ახალი ხელისუფლების ჟამს, რუსეთმა იქნებ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გადმოდგა ნაბიჯი საქართველოსკენ. პერიოდულად ეწყობა პრემიერის წარმომადგენლის – აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კარასინის შეხვედრები. გაიხსნა რუსეთის ბაზარი ჩვენი პროდუქციისთვის. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში იღებს მონაწილეობას ჩვენი მცირერიცხოვანი დელეგაცია. სააკაშვილის ხელისუფლების ცრუ მუქარისა და მჯიღის პოლიტიკა შეიცვალა ურთიერთობის დაბალანსების მცდელობით. სრული უგუნურება იქნება ამ ეტაპზე, როცა უკრაინაში ფართომაშტაბიანი სახალხო გამოსვლები მიმდინარეობს, როცა ამერიკა და ევროკავშირი გააქტიურებულია, სამხრეთ კავკასიაში რუსეთმა შეიქმნას ახალი პრობლემები. არც იმის იმედია, რომ რუსეთი ახლო მომავალში დაიწყებს ტერიტორიების დეოკუპაციას.

2014 წელი არის შესაფერისი დრო, როცა ევროპას შეუძლია საქართველოს საკითხი, ევროკავშირში მიღების თაობაზე დადებითად გადაწყვიტოს. ამის დიდი სურვილი და იმედი აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს უსუფაშვილსაც. სჩანს, ამ სურვილს დიდად არ ეწინააღმდეგება რუსეთი, რადგან მისმა მოკავშირე სომხეთმაც გამოთქვა სურვილი ევროკავშირთან დაახლოებისა.

მაგრამ ნატოსთან დაახლოებისა და **მაპ-ის** მიღებაში არ გვაქვს მცირედი შანსი, რომ ევროპა წავა ამ საკითხში რუსეთის წინააღმდეგ და მოგვცემენ **მაპ-ს**. ამიტომ ევროკავშირში გაწევრიანება და **ნატო-**ში შესვლა ორი სხვადასხვა საკითხია.

საქართველოს ხელისუფლება ხვდება ამას, ამიტომ მიუნჰენში კონფერენციაზე მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და დელეგაციის წევრებს, ევროკავშირში შემავალმა ქვეყნებმა არაორაზროვნად ურჩიეს ჩრდილოელ მეზობელთან მდგომარეობის მოგვარება. ამის გამო ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ **„საქართველო ჩრდილოელ მეზობლებთან დამოკიდებულების გამრავალფეროვნებას ცდილობსო. ასევე განმარტა, წინა ხელისუფლების რადიკალური მიდგომა რუსეთის მიმართებაში აბსოლუტურად დამაზიანებელი იყოო. ევროპელი ლიდერები ამას წუხილით იხსენებენ. მათგან გვაქვს რუსეთთან მიმართებაში ახალი პოლიტიკის სრული მოწონება. ისინი მხარს უჭერენ ჩვენს მოდგომას. რუსეთმა დაიწყო კონსტრუქციული ნაბიჯების გადმოდგმა საქართველოსთან მიმართებაში.“**

**მაპ-**ი ახლა არ იქნება, მაგრამ გვაიმედებენ, რომ იქნება მოგვიანებით. გვინდა თუ არა **მაპ-**ი? რასაკვირველია გვინდა. ამიტომ ეს საკითხი როდის გადაწყდება არავინ უწყის. და თუ საქართველო ძალიან დაუახლოვდება **ნატო-**ში შესვლას, აი მაშინ უნდა ველოდოთ ჩრდილოელი მეზობლის აგრესიას. მანამდე რუსეთის დიპლომატია ათასი თვალით გვაკვირდება და ჩვენს ყოველ ნაბიჯს ჯერ მხოლოდ აკონტროლებს. თუ გავბრიყვდებით, მაშინ რასაკვირველია ამას გამოიყენებს.

ამიტომ, ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ თუ დაიწყება გალის ავტონომიისა და სვანეთის კულტურული ავტონომიის ორგანიზირება, ეს იგივე ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება. ომი სისხლია, ომი სახიფათო გამოწვევაა, გაჩანაგებაა, მსხვერპლია.

ნუ ვიქნებით შიშით შეპყრობილები. ნურც მხოლოდ ევროპისა და ამერიკის იმედზე დავრჩებით. ვიღაცის იმედად ყოფნა ჩვენს დამცირებას ნიშნავს. პლატონი ამბობდა, რომ უპირველესი და უზენაესი სინათლეაო. ჩვენ წინ სამართლიანობის სინათლე მიგვიძღვის, რაც აუცილებლად წარმატებით დასრულდება. რომელიც გამორიცხავს სამეგრელოში სეპარატიზმის საშიშროებას.

**ბორის დავითაია,**

**პროზაიკოსი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

## პოეზიის კუთხე

გიორგი ხულორდავა ყმაწვილი კაცია. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე. თუმცაღა უნდა ვთქვა, საოცრად ერუდირებული, უყვარს ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება. თავადაც წერს ლექსებს, და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივად თარგმნის მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს. მისი შემოქმედება ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში. აქტიურია სოციალურ ქსელებში და მას (მის შემოქმედებას) ხშირად ეხმაურებიან ცნობილი ქართველი პოეტები და მთარგმნელები. ჩვენმა საამაყო მწერალმა რეზო კვესელავამ, სცენარისტმა და ლიტერატორმა, ასეთი წარწერით უძღვნა მას თავისი წიგნი **“საგნები ჩვენთვის”** – **“შესანიშნავ გიორგი ხულორდავას, იმედს! მოსაგონრად რეზო კვესელავასაგან”.** 7 სექტემბერი, 2012 წ.

ბატონმა რეზომ მასში **“იმედი”** რომ დაინახა, თავისთავად მრავლისმეტყველია.

მადლობას მოვახსენებ გაზეთ **“ილორის”** რედაქციას, რომელმაც გიორგის მიერ მეგრულ ენაზე დაწერილი რამდენიმე ლექსი დაბეჭდა. იმ იმედით, რომ ეს ერთგვარი თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება, კვლავ გთავაზობთ მის ნაწარმოებებს.

პატივისცემით,

**ილია კუხალაშვილი,**
**2014 წელი, თებერვლის 2.**
**მარტვილი, სალხინო**

## ზოთონჯიშ სონეტი

**ზოთონჯო მორთი, მარა თოლშე**
**გიჩქუ აფუნი,**
**სქანი სახელი მიდუღალუ**
**ნწალე ბორიას,**
**ვო, უსქანობა, უმენდობა ჯაქვა-**
**ბორიას,**
**თე აყმარწობათ გურქ ხოლო**
**ქიდგელახვნი.**
**არძა ბორჯისვ უთირალი უღუ**
**კანონი**
**დო თეში ვიშო მუთუნ ვარე**
**ჩქინი კორინი,**
**მუზმა ხანი რე, გოლვაფირო, ვა-**
**მაგორინი,**
**ცათე წანეფცვ ქიმკიჭარანც ირი-**
**ათონი.**
**სქან შურიშ ნართის გი-**
**ლაგორუნც ამდღა ცოროფა**
**დო პირელეფი გიშმარწკინვნც**
**სქანი თომაშე,**
**ვაგობაღვნო ჭიროთი დო თეზმა**
**ჭოროფა?**
**ჩქიმი ნარტეფი სქანდ გურიში**
**კორთხოს დინაფე,**
**ცათე თოლეფი ჯვეშებურო გეშ-**
**მოჯვიდაფე,**
**ვარა უჩურცხალდ ზოთონჯდ**
**ხოლო ქუმურც ორთაშე.**

**გიორგი ხულორდავა**

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია და გაზეთი “ილორი” იზიარებენ ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის ბატონ მამანტი ძაძამიას მწუხარებას დისშვილის

# ჯემალ მანიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



*დასაწყისი "ილორი" №171-256*

რადგან მკვლელობა სსრკ-ის უმაღლესმა აღმასრულებლელმა ჩაიდინეს, მათ ქმედებაში კი, მართალია არის ანგარების მოტივები, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ისინი მეორე პლანზე გადადის. სტალინი მოკლეს იმიტომ, რომ მკვლელებს სურდათ, თავიანთი სურვილებისამებრ ემართათ საბჭოთა კავშირი და არა ისე, როგორც უნდოდა სტალინს.

**"1952 წლის სკკპ XIX ყრილობაზე სტალინმა დაიწყო გარდაქმნა, რომელიც ხალხის სასარგებლო გარდაქმნა იყო – სტალინმა დაიწყო არსებული ნომენკლატურის ჩამოცილება სახელმწიფოსაგან... 1953 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა (ოფიციალური ვერსიით) იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. სამი თვის შემდეგ მოკლეს და სიკვდილის შემდეგ შემთქმულებაში დაადანაშაულეს სტალინის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ერთ-ერთი მოადგილე ლავრენტი პავლეს ძე ბერია.**

**1956 წელს XX ყრილობის ბოლოს ხრუშჩოვმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიც სტალინი წარმოადგინა არამზადა ადამიანად, ვინც კლავდა და ხვრეტდა მთელ საბჭოთა ხალხს. ეს ისეთი უაზრობა იყო, რომ ყრილობის დელეგატებს საშუალება არ მისცა, განეხილათ ეს მოხსენება – მოხსენების დამთავრებისთანავე ყრილობა დასრულდა."** (იური მუხინი, სტალინის მკვლელები, გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2009, 9-15 თებერვალი, №6, გვ. 30-31.).

ი. მუხინი თხრობას აგრძელებს: **„პარტიულმა ბოსებმა წარმოუდგენელი გზით სიარული გადაწყვიტეს – ცილი დასწამეს სტალინს და მისი დამსახურება დანაშაულად გამოაცხადეს.**

**რას მეტყველებს ეს ფაქტი? მხოლოდ იმას, რომ პარტიულმა ფუნქციონერებმა სტალინის 30-წლიან მოღვაწეობაში ვერაფერი ნახეს მისი ლიკვიდაციისათვის. შეადარეთ ხელისუფლების სათავეში ხრუშჩოვის 10-წლიანი ყოფნის პერიოდიდან პარტიულმა ხელმძღვანელობამ უპრობლემოდ იპოვეს მიზეზები მის მოსახსნელად, წარედგინა სსრკ-სათვის ზარალის მიყენების ბრალდება ყამირი მიწების უაზროდ გადახვნის, ჩრდილოეთით სიმინდის ნათესების გავრცელების, საკავშირო სამინისტროს სახალხო მეურნეობის საბჭოებად რეორგანიზაციის გზით გარდაქმნა და სხვ.**

**სტალინისათვის, რომელიც 30 წელი მართავდა სახელმწიფოს, საჭირო გახდა მოეგონებინათ ისეთი საზიზღროება, რომელიც მოუცილებელ ლაქად დააჩნდებათ არა მხოლოდ ყრილობის დელეგატებს, არამედ ყველა კომუნისტს."** (იური მუხინი, სტალინის მკვლელები, გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2009, 9-15 თებერვალი, №6, გვ. 30-31., მუხინი წერს: **„სტალინის დროს პოლიტბიუროს წევრი და ხრუშჩოვის თანამებრძოლი სტალინის დისკრედიტაციაში ანასტას მიქოიანი, რომელიც შეეჩვია მშიშარა გარეწარის ამპლუას. ყოველგვარ საზიზღროებაზე მიდიოდა, მას ქამელეონს ეძახდნენ სიცოცხლეშივე.")**

კიდევ ორიოდე საკითხი ი. სტალინისა და ლ. ბერიას უდიდესი დამსახურების შესახებ. ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, სერგეი კრემლიოვი წერს: **„ზენკოვიჩი იტყობინება, რომ 1964 წლის 14 ივლისს უნგრეთის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის სტუმრობის აღსანიშნავ მიტინგზე ხრუშჩოვმა პირდაპირ აღიარა სტალინის მკვლელობა და განაცხადა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ბევრი სასტიკი ტირანი იყო, მაგრამ ყველა მათგანი დაიღუპა იმავე ნაჯახით, რითაც ინარჩუნებდნენ თავიანთ ხელისუფლებას".**

მაგრამ ზენკოვიჩი სტალინის მკვლელობას აბრალებს მთელ პოლიტბიუროს, მათ შორის ბერიასაც. ამის საპასუხოდ სერგეი კრემლიოვი წერს: **„არა, სტალინის სისხლი არ სცხია ყველა მის თანამებრძოლს, ის მხოლოდ ხრუშჩოვის კისერზეა. მაგრამ, აი, ჭუჭყი, სტალინს რომ წააცხეს, ყველა მათგანს სვრის, ლავრენტი ბერიას გარდა. ელენე პრუდნიკოვამ მას „სტალინის უკანასკნელი რაინდი" უწოდა და შემიძლია, მიულოცო მას ასეთი ზუსტი განსაზღვრა."**

ს. კრემლიოვი აგრძელებს: **"მინისტრი იგნატოვი იყო „პარტოკრატების პარტიისა და პირადად ხრუშჩოვის წარმომადგენელი და ფავორიტი", რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ხრუშჩოვს ბერიას განადგურებაში. „ბერიას კი მისი დაჭერა უნდოდა, ალბათ იმიტომ, რომ გამოეკვლია სტალინის სიკვდილი: და უმალვე გადაეყარა ისეთ წინააღმდეგობას, რომ თვით ბერიამაც უკან დაიხია. სამთავრობო დაცვის ერთ-ერთ ხელმძღვანელ კუზმიჩოვზე ს. კრემლიოვი ამბობს: „მან ხომ იცოდა, რომ ბერიას დაცემის შემდეგ სსრ კავშირის დაცემაც მხოლოდ დროის საკითხი იყო".** (სერგეი კრემლიოვი: **"ლავრენტი ბერია XX საუკუნის მენეჯერი, ჯალათი თუ ბინძური პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი?! როცა ქართველობა ერთადერთ მთავარ დანაშაულად იქცა და მადლი როგორ გახდა მატლი"**, გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2008, 23 აგვისტო, №158, გვ. 9.)

მოგვყავს კიდევ ახალი ამონარიდი რუსი მწერლის და მოღვაწის კრემლიოვის შრომიდან (მას ქართველების მიმართ, მიკერძოებას ვერ დასწამებ) ლ. ბერიას შესახებ: **„ბერიას კი ეკუთვნის მართლაც ბევრი ინიციატივა ცხოვრების ყველა სფეროში და ახლა ქვეყნის უმაღლესი მმართველობა ვერსად გაექცეოდა ამ ხელმძღვანელობის ყველაზე საქმიანი წევრის აქტიურობასა და იდეებს. ის ხომ უკვე დიდი ხანია ყველაზე უკეთ აკეთებდა ყველაფერს.**

**ბერიას ჰქონდა თავისი, თანაც საზოგადოებისათვის ოპტიმალური შეხედულებები სამეურნეო პრიორიტეტებზე.**

**ის სხვა თავის კოლეგებთან შედარებით, სწრაფად ერკვეოდა იმ კონკრეტულ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტასთანაც ჰქონდა დამოკიდებულება, თანაც წყვეტდა მათ ზედმეტი ლაყბობის გარეშე.**

**ბერიამ სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა ხელმძღვანელზე მეტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში იცოდა სახალხო-სამეურნეო პრობლემებიც. მან კარგად იცოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიული მიმართულებები, ჰქონდა ზუსტი შეხედულება რაციონალურ საგარეო პოლიტიკაზე და, ამავე დროს, სწორად აფასებდა საშინაო პოლიტიკის არსებითი პრობლემებს.**

**მაგრამ უზარმაზარი მოცულობის სამუშაოს შესრულების დროს იგი სხვებზე ნაკლებად იღვწოდა საზოგადოების წინაშე წარმოჩენისათვის. ვინ იცოდა მაგალითად, ქვეყანაში ატომური იარაღის შესახებ, თუ არა ბერიამ?**

**ბერიას უფრო ნაკლებად იცნობდნენ, ვიდრე კაგანოვიჩს, მოლოტოვს, მიქოიანს, ვოროშილოვს, ხრუშჩოვს... მაგრამ, სამაგიეროდ მან „ძველ გვარდიაზე" უკეთესად იცოდა თავად ქვეყანა, მისი შესაძლებლობანი."** ს. კრემლიოვი ბერიას თანამდებობის შესახებ ამბობს: **სტალინის, „მემკვიდრედ ბერია ხომ ამისათვის უფრო ღირსეული იყო, ვიდრე სხვა რომელიმე"** და აგრძელებს: **„ის ყოველთვის სწრაფი იყო სიტყვითაც და საქმითაც, თანაც სიტყვაც ყოველთვის დროული, საქმეც „საქმიანი" იყო.**

**ბერია პრაგმატიკოსი იყო და დაიწყო კიდეც მოქმედება სტალინის გარდაცვალებისთანავე. შთამბეჭდავი იყო მისი ინიციატივები, როგორც თავისი პოტენციალით, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველობით."**

ს. კრემლიოვს თავის წიგნში აქვს ასეთი ქვესათაური **„ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცენტრალური კომიტეტის წევრის გარეშე და „გამოძიება" გამოძიებაში მყოფის გარეშე"** და მიუთითებს, რომ **„ცოცხალი ბერია სახიფათო იყო, თუნდაც ჩამოგდებული – იგი პიროვნება იყო. აი, დანარჩენები კი..."** რატომ არ წარუდგინეს იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის **„გამჭოლ მზერას" – არსებითად, სახელმწიფოს მეორე პირი? „პასუხი ცხადია: დარბაზში შეკრებილნი, უწინარეს ყოვლისა ცეკას პრეზიდიუმის წევრები, ასე თუ ისე, იცნობდნენ ბერიას ერთად მუშაობით და სულის სიღრმეში არ შეეძლოთ, არ ეღიარებინათ, რომ ყველა მათგანი მუშაობისა თუ კრიზისული სიტუაციის შეფასების დონით ბერიაზე დაბლა იდგა და თუ იგი „ცოცხალი" აღმოჩნდებოდა „საბრალდებო სკამზე", ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდებოდა და სულაც არ იყო გამორიცხული, რომ ამ სკამზე გადაბარგებულიყო პრეზიდიუმიდან რომელიმე"... „სტალინს არ ეშინოდა ხალხის მტრები წარედგინა ხალხისათვის და ეჩვენებინა, რომ ისინი იმსახურებდნენ მსჯავრის დადებას. ბერიასთან დაკავშირებით კი, ყველაფერი სხვაგვარად იყო. მისი სიკვდილით დასჯა დამთავრდა 1953 წლის 8 აგვისტოს... ამასთანავე ქვეყნის დაღუპვის პროცესის დასაწყის სისტემურ წერტილად იქცა 1953 წლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის „ანტიბერიული" პლენუმი. მაშინ, პლენუმზე ხრუშჩოვმა თავის თანამოაზრეებად დანაშაულებებში პირველად გაიხადა მთელი საბჭოთა პარტიული სამეურნეო ელიტა."** (სერგეი კრემლიოვი, **"ლავრენტი ბერია XX საუკუნის..."**, გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2008, 26 აგვისტო, №159. გვ. 7, 9)

საქმე იქამდე მივიდა, რომ 760 ქალმა აღიარა რომ ბერიას საყვარელი იყო. საოცარია. ომის დროს და შემდეგაც ბერია დაზვერვას და კონტრდაზვერვას ედგა სათავეში და მხოლოდ მასთან ჰქონდათ უშუალო კონტაქტი. ყველამ მისი საყვარლობა აღიარა, რა უნდა ექნათ? ეცნოთ თავი დამნაშავეებად აგენტურულ საქმიანობაში?

ბერიას ჩამოშორებისათვის, მიაჩნია კრემლიოვს, – მის კოლეგებს ხელისუფლებაში ბევრი მიზეზი ჰქონდათ, თუმცა ყველაზე უკანასკნელი მათ შორის არ ყოფილა ის, რომ უმაღლესი ხელმძღვანელობის წრეში სტალინის სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ბერია იყო საკმაოდ კომპეტენტური და ზეკომპეტენტურიც იმისათვის, რომ უზრუნველეყო ქვეყნის შემდგომი განვითარების მყარი გზები: და მისი **„იზოლაცია"** შეძლო იმიტომაც, რომ ნომენკლატურას სათავეში ედგა ასეთ მოქმედებებში ბერიას სისტემური ანტიპოდი – ზეარაკომპეტენტური და უმეცარი, სამაგიეროდ ენერგიული ნიკიტა ხრუშჩოვი.

ს. კრემლიოვს ასევე კატეგორიულად სწორად მიაჩნდა ხელისუფლების მთლიანად და თანდათანობით გადაცემა პარტიიდან სახელმწიფოსათვის, მთავრობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისათვის, რასაც ბერია ახორციელებდა (ეს ხომ უმძიმესი დარტყმა იქნებოდა პარტიული პლუტოკრატიისათვის). **„ასეთი გადაწყვეტილება კი უზრუნველყოფდა დიდი გამარჯვების მომპოვებელ საკავშირო საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მყარ, მდგრად დიდი მომავალს. მას ხომ, ბერიასაგან განსხვავებით არაფერი არ შეეძლო, არც არაფერი იცოდა. არა, ბერიასათვის საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვის ადგილი არ იქნებოდა. ამიტომაც გააკეთა ხრუშჩოვმა ყველაფერი, რომ თავიდან მოეშორებინა და მოეხდინა დისკრედიტაცია როგორც სტალინისა, ისე ბერიასი."** (სერგეი კრემლიოვი, **"ლავრენტი ბერია XX საუკუნის..."**, გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2008, 4 სექტემბერი, №165. გვ. 9.)

ს. კრემლიოვს მიაჩნია: ეპოქის მოთხოვნებს კი შეესაბამებოდა ახალი, საერთო საქმისათვის თავდადებული სოციალისტური პროფესიონალების ინიციატივისა და პოტენციალის სრული განთავისუფლება და ამის გაკეთება სტალინის შემდეგ შეეძლო მხოლოდ ლ. ბერიას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერისათვის გაუგებარი იყო თუ როგორ გაიმარჯვა სსრ კავშირმა ფაშიზმზე, როგორ შეძლო ასე სწრაფად შეექმნა ატომური ბომბი და როგორ შეძლო იური გაგარინის კოსმოსში გაყვანა (მსოფლიოს პირველი კოსმონავტი). ს. კრემლიოვის აზრით, ზემოთ ჩამოთვლილ სამ საკითხში **„ბერიას როლი იყო ღირსშესანიშნავი, მისი პირადი წვლილი აღმოჩნდა პირველხარისხოვანი გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეშიც, ურანის პრობლემის გადაჭრაშიც და საბჭოთა სარაკეტო დარგის ჩამოყალიბებაშიც."** (ამ საკითხზე ქვემოთაც გვექნება საუბარი).

ეხლა კი, თავის წიგნის დასასრულს თუ რას ასკვნის ბერიას შესახებ რუსი მოღვაწე: **„ვაცხადებ,** – წერს ს. კრემლიოვი, – **ეს წიგნი დავწერე, რათა გავამართლო, მარტივად რომ ვთქვა, ჩამოვრეცხე ლავრენტი ბერიას მისთვის შესხმული ტალახი. რას იზამ, ისეთ ფიგურებს, როგორიც ლავრენტი ბერიაა, ასამართლებს და რეაბილიტაციას ახდენს არა ხალხის სასამართლო, არამედ ისტორიის სასამართლო... იგი კი, ადრე თუ გვიან, მოახდენს ლავრენტი ბერიას რეაბილიტაციას და მეც იმედი მაქვს, რომ ჩემი წიგნი დაეხმარება, როგორც ბერიას, ასევე მისი ეპოქის სრული რეაბილიტაციის საქმეს... სწორედ ასეთ წარსულზე სწორი შეხედულების შექმნით შევძლებთ უზრუნველვყოთ ჩვენი ისტორიული მომავალი."**

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში ახალი შეტევები იწყება სტალინის წინააღმდეგ, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას მთლიანად დასავლეთის მოკავშირეებს მიაწერენ: **„სტალინის კვლავ და კვლავ მოკვდინებას ცდილობენ „მეცნიერ-ფალსიფიკატორები"** – რუსებიც და უცხოელებიც: მათი ავტორობით 1200-ზე მეტი წიგნი და ნაშრომი გამოიცა (2008 წლის ბოლომდე) და გავრცელდა.

ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი მცდელობაა სამხედრო ისტორიკოსის არსენ მარტიროსიანის ნაშრომი, (ხუთტომეული) „200 მითი სტალინზე (რომლის პირველი ტომის) – **"სტალინი და დიდი სამამულო ომი"**, საგაზეთო ვარიანტს 2008 წლის ოქტომბრიდან აქვეყნებდა (გამოქვეყნება გრძელდებოდა 2009 წლის თებერვალშიც) – გაზეთი **„ასავალ-დასავალი"** (არსენ მარტიროსიანი, 200 მითი სტალინზე. სტალინი და დიდი სამამულო ომი, გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2008, 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი, №43, გვ. 28-29.)

მოგვყავს მხოლოდ ერთი ადგილი ა. ბ. მარტიროსიანის შრომიდან: **„მითი №21. სტალინს თითქოს სჯეროდა ჰიტლერის და მის სიტყვას ენდობოდა. ამ მითის შესაქმნელად თავი გამოიდეს როგორც ხრუშჩოვმა, ასევე ჟუკოვმა და მათი მონაჩმახის ამხსნელებმა, განსაკუთრებით ლევ ბეზიმენსკიმ, კონსტანტინე სიმონოვმა და ვიქტორ ანფილოვმა." ამ ავტორთა ფანტაზიის შესაფერისად ამხელს, ადრე 2006 წელს გამოცემული ა.ბ. მარტიროსიანის წიგნი „ბლიცკრიგი თუ ღალატი. სტალინის სიმართლე".**

ბევრს ჰგონია, რომ ომის დროს ბერიას კომპეტენციაში მხოლოდ უშიშროების საკითხები შედიოდა. ბერია ომის დროს იყო სტალინის – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პასუხისმგებელი იყო ქვეყნისათვის ყველაზე რთულ საკითხებზე: თვითმფრინავების, ტანკების, ძრავების, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების წარმოებაზე, სამხედრო-საჰაერო ძალების ფორმირებაზე; იგი პასუხს აგებდა ქვეყნის უზრუნველყოფაზე ქვანახშირითა და ნავთობით; მას ევალებოდა გზების შეკეთება და გაყვანა. ამავე დროს იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და მის მოვალეობაში შედიოდა დაზვერვის და კონტრდაზვერვის, პარტიზანული მოძრაობის ორგანიზება. მტრის ზურგში დივერსიების მოწყობა, საზღვრების დაცვა. ბერია მეთაურობდა კავკასიის დაცვას; 1942 წელს იგი აგებდა პასუხს მთლიანად ჩვენი ზურგის საკითხებზე. მთავარ სახელმწიფო ორგანოში – თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში – სტალინმა თავის მოადგილედ დანიშნა – **„ოპერატიულ ბიუროს თავმჯდომარეობდა, ანუ თავმჯდომარეობდა სხდომებს, უძღვებოდა მიმდინარე საკითხებს."** გადაუჭარბებლად გეტყვით – წერს თ. მირიანაშვილი – ლავრენტი პავლოვიჩი მეორე კაცი იყო ომის დროს! ყველა საქმეს ბრწყინვალედ ართმევდა თავს. ა. სახაროვმა თქვა: **„ბერია რომ არ ყოფილიყო ჩვენი ხელმძღვანელი, ატომურ ბომბს ვერ შევქმნიდითო."** (თემურ მირიანაშვილი, ჩვენი ტრაგედიის ფესვები... თბ., 2004, გვ. 120-121.)

**აშშ**-მა მშვიდობიან პერიოდშიც 1946 წლის 25 ივლისს ბიკინის ატოლზე პირველი წყალქვეშა ატომური ბომბი ააფეთქეს. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველმა, 1945 წლის 26 ივლისს გამოსცადა ატომური ბომბი. მერე კი სსრკ-ის და მსოფლიოს დასაშინებლად, ატომური ყუმბარები ჩამოყარეს იაპონიაში – ნაგასაკსა და ხიროსიმაში.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლების ძიებაში ჩაკარგულები!

ამ კუთხით ეთოლოგებმა ცდები ჩაატარეს ყვინჩილებზე, ვინაიდან ისინი ფრიად აგრესიულები არიან და შესწევთ იერარქიის სწრაფად დამყარების უნარი. ერთ-ერთ ცდაში ჯგუფის დაჩაგრულ ყვინჩილებს შორის ყველაზე საცოდავს და გაუბედურებულს თავზე პაროლონის უზარმაზარი ბიბილო – მაღალი იერარქიული რანგის სიმბოლო გაუკეთეს და ისევ ჯგუფში გაუშვეს. ყვინჩილამ არ იცოდა რა ეკეთა თავზე და ისევ ძველებურად საწყლად იქცეოდა. ჩასანისკარტებლად მიახლოებული თანამოძმენი უზარმაზარი ბიბილოს დანახვაზე უკან იხევდნენ. ხედავდა რა მათ გაუბედაობას ყვინჩილა თანდათანობით გაიბღინძა, თავი მაღლა ასწია, მკერდი გამოზნიქა და ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ავიდა იერარქიული კიბის თავზე. რამოდენიმე დღის შემდეგ ბიბილო მოხსნეს და იგი ისევ პირამიდის ფსკერზე დაეშვა.

მსგავს ცდაში ბუნებრივ დომინანტს გადაუკრეს ბიბილო და მიუხედავად ყველა სხვა თვისებისა იგი ფსკერზე აღმოჩნდა.

ფსკერიდან წამოსული დომინანტი ყვინჩილები უფრო ულმობელნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ბუნებრივი დომინანტები. ისინი უფრო მხდლები არიან და ქვეშევრდომებს უფრო ავიწროვებენ. დომინანტი მამლის ბიბილოს ზომის შეცვლით შეიძლება დოზირებულად ვცვალოთ მისი ძალაუფლება. აღმოჩნდა, რომ რაც მეტ ძალაუფლებას ღებულობს მით უფრო აგრესიულად იქცევა და ტირანივით ეპყრობა თავის ქვეშევრდომებს. ამბობენ – ძალაუფლება რყვნის ადამიანს, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად რყვნისო.

მიუტევებელი ფუფუნებაა გვჯეროდეს, რომ ვინც ჩვენზე ძალაუფლების მოპოვება განიზრახა, ამას ჩვენს სასარგებლოდ აკეთებს და ვამტკიცოთ, რომ ჩვენთვის სულ ერთია ვინ მოიპოვებს ძალაუფლებას.

ადამიანი რომელმაც შემთხვევით მიიღო ხელმძღვანელი მდგომარეობა და ის ჭკვიანი, ნიჭიერი, წესიერი, კეთილი და მზრუნველია, იგი მთელს ჯგუფს დიდ წარმატებას მოუტანს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დომინანტი შეიძლება გახდეს ძალზე საშიში, ამორალური და ფსიქიკურად დაავადებულიც კი. საკმაოდ ხშირია ბავშვებში სუსტი, დაჩაგრული ყმაწვილი, რომელსაც დაუგროვდა დაუხარჯავი აგრესიულობის მუხტი და **„ზემოთ ყოფნის"** სურვილი. როცა გაიზრდება იწყებს ბრძოლას ინტრიგებით, სხვათა დევნითა და შევიწროებით. თუ მოახერხა ძალაუფლების მოპოვება მას უმსგავსოდ გამოიყენებს. ხშირ შემთხვევაში ამას თან ერთვის პიროვნების არამდგრადი ფსიქიკა. დიდი ძალაუფლებისა და პირველობის შემთხვევაში ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს ნარკოტიკული ნივთიერების მსგავს ნივთიერებას, რომელიც ადამიანს მუდმივად ნარკოტიკულ მდგომარეობაში ამყოფებს. ასე, მაგალითად მოკრივე რომელმაც მოიგო რაიმე შეჯიბრი, მიუხედავად იმისა რომ დამტვრეული აქვს ნეკნები, ვერ გრძნობს ტკივილს. ამბობენ, რომ ძალაუფლებით მოპოვებული სიამოვნება გაცილებით დიდია, ვიდრე სექსითა და ფულით განცდილი. საზოგადოებაში ცხოვრება ნიშნავს დაემორჩილო საზოგადოებრივი ცხოვრების არსებულ წესებს. ძალაუფლება ადამიანს ანიჭებს თავისუფლების დიდ ხარისხს, ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლა პიროვნებისათვის შეიძლება გახდეს სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასი. მიუხედავად ამისა ეს ხალხი მიდის ამ რისკზე, რისი უშუალო მოწმენი ჩვენც ვართ. კაცობრიობა ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ გრძნობდა ამ საფრთხეს და ინსტიქტურ პროგრამებთან ბრძოლაში გონება საზოგადოებაში ყველა ადამიანის თანასწორობას უპირისპირებდა. შედეგად ღებულობდა ანარქიას, რომლის დროსაც ძალაუფლებას **„პახანი"** ეპატრონებოდა. ამიტომ საზოგადოებრივი მართვის ერთად ერთი მისაღები გზა აღმოჩნდა ის, რაზედაც მიღებულია ადამიანთა დაქვემდებარების გარდაუვალობა (როგორც ამას არსებული პროგრამებიდან გამომდინარე ადამიანის ბიოლოგიური არსი მოითხოვს).

ჩვენს სინამდვილეში, არჩევნებში, სადაც მონაწილეობას ღებულობს ორმოცამდე სუბიექტი, არა მგონია ყველა მათგანი მუხლგადატყავებული დღედაღამ სამშობლოზე ლოცვასა და ფიქრში ატარებდეს, ან ხალხზე ზრუნვით არ ეძინოთ. მითუმეტეს, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობა არსებულ ხელისუფლებთან ერთად ერთ ბუდეში არიან დაჩეკილ დაფრთიანებულნი. ყველა ჩატარებული არჩევნები ხალხისათვის უბედურების მომტანი იყო. ორ-სამჯერ ძვირდებოდა ფასები საქონელზე თუ წამალზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მერის უკანასკნელი არჩევნები, როდესაც ხორცზე ფასმა 17 ლარს მიაღწია და პრაქტიკულად მისი შეძენა საზოგადოების 70-80%-ისათვის შეუძლებელი გახდა.

საზოგადოებას თავდაცვის არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. პარლამენტში არჩევის შემდეგ დეპუტატები დაინიშნავენ მაღალ ხელფასებს, სიკვდილამდე პენსიებს, იკანონებენ ხელშეუხებლობას, მოწყდებიან მიწას, ჩამოჯდებიან ღრუბლებში, გადმოკიდებენ ფეხებს, იღებენ კანონებს და ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე გვმოძღვრავენ (არავინ ნამოქმედარზე პასუხს არ აგებს).

ცხოვრებაში დაუწერელი კანონით (და მითუმეტეს ჩვენს ყოფაში) მრავალპარტიული არჩევნების დროს, ცნობილი პირობების გამო, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის მმართველი პარტია. არჩევნების გზით მმართველი პარტიის შეცვლა შესაძლებელია მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე ორპარტიულ ქვეყნებში. ამდენად, რამდენიმე პარტიის გაერთიანება ერთ კოალიციად გარკვეულ პერსპექტივებს ქმნის არჩევნებში ახალი ძალის გამარჯვების თვალსაზრისით. ეს არის ხელისუფლების შეცვლის ერთად-ერთი მშვიდობიანი გზა. მეორე გზა ხელისუფლების შეცვლისა არის რევოლუციური, რასაც ყოველ დღე ვუსმენთ და ჩვენს თვალწინ ხდება. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყანა ამას ვერ გადაიტანს.

ამჟამად მიმდინარეობს წინასაარჩევნო კომპანია დაპირებებით, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ხალხს სამოთხეში აცხოვრებენ. იყო და ალბათ ბევრს გვახსოვს წინა საარჩევნო დაპირებების დროს იყო ასეთი გამოთქმა **„ამაზე უარესი რაღა იქნებაო"**, არა და თურმე შეიძლება იყოს. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი პირამიდის ფსკერზეა მოხვედრილი, ძალიან უჭირთ დეგრადაციისაგან თავის დაცვა.

პირამიდის ფსკერზე მოხვედრილი ცხოველები, ისევე როგორც ადამიანები, სამწუხაროდ, თავისი თვისებებით სულაც არ არიან დომინანტების ზუსტი საპირისპირონი, რომლებიც შურის, გაუბედაობის და დათრგუნვილი აგრესიულობისაგან იტანჯებიან და მისი მიმართვა მხოლოდ უსულო საგნებზე შეუძლიათ.

წარმოდგენა **„სუფთა, გაურყვნელი ქვედა ფენების შესახებ"** ძალიან სახიფათო მითია. ადამიანები რომლებსაც განმუხტვა სჭირდებათ, ასევე მიმართავენ თავის აგრესიას უსულო საგნებზე და **„უაზრო ვანდალიზმის"** აქტებს სჩადიან.

დემაგოგებმა შესანიშნავად იციან რა ადვილია ფსკერზე მოქცეული მასის აგრესიულობის მიმართვა დამანგრეველი სისხლიანი აჯანყებისაკენ. ბევრად უფრო რთულია ასეთ ადამიანებს სრულფასოვან არსებებად აგრძნობინოთ თავი. ამის ყველაზე ეფექტური წამალი პირადი თავისუფლების შეგრძნებაა: არ იყოს ხელგაწვდილი სამათხოვროდ მთავრობისაკენ, ჰქონდეს საკუთარი მიწა, საწარმო, სახლი, ოჯახი.

სამწუხაროდ ქვეყანა სადაც ჩვენ ვცხოვრობთ ძირითადად ამ ფენის შემცველია. ეს ფენა არის ღირსებააყრილი, ნამუსშელახული, სამშობლოდაკარგული, სამათხოვროდ ხელგაწვდილი. ქვეყანა სადაც ამ ხნის მანძილზე ვერ ჩამოყალიბდა და არც შეიძლება ჩამოყალიბდეს ქვეყნის ძირითადი ხერხემალი – საშუალო ფენა. ამის დასადასტურებლად ისევ ეთოლოგებს დავესესხები და ერთ მაგალითს მოვიყვან ჩვენი უახლოესი გენეტიკური კოდის მქონე ყველაზე ახლო მდგომი ცხოველებიდან: მაიმუნები და მათთან ერთად ბევრი ცხოველი და ფრინველი აზროვნებს და შრომის იარაღის მკეთებელიც კი არის. ამ თეორიას აყალიბებდა და ცდებით ასაბუთებდა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ი. ბერიტაშვილი.

მაქს პლანკის ინსტიტუტში მაიმუნის ვოლიერის გისოსზე სინჯარა ჩამოკიდეს და შიგ კაკალი ჩააგდეს. ბუნებრივია სინჯარის ყელი იმ ზომის იყო, რომ მაიმუნი შიგ ხელს ვერ ჩაყოფდა. მაიმუნი არც დაფიქრებულა, მიირბინა წყლის ნიჟარასთან, დაიგუბა წყალი პირში, ჩაასხა სინჯარაში და კაკალი ამოატივტივა. ვნახე რა ეს ცდა, იგივე ჩემს ახლობლებში, საკმაოდ განსწავლულ საზოგადოებაში გავიმეორე. სამწუხაროდ, მრავალთაგან აღნიშნული წესით სულ ორმა ამოიღო კაკალი.

გასულ საუკუნეში იმის გაგებამ, რომ მაიმუნები საკვებს ერთმანეთს უნაწილებდნენ ზოგიერთ მოაზროვნეს გული აუჩუყა და თავის მოძღვრებას საფუძვლად დაუდო საზოგადოებაში განაწილების სამართლიანი წესი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჯგუფურად მცხოვრები იერარქიები სხვა მაიმუნებს არ უნაწილებდნენ საკუთარი შრომით მოპოვებულს. ისინი მხოლოდ სხვებისაგან წართმეულს არიგებდნენ, თანაც მხოლოდ იმას, რაც თვითონ არ სჭირდებოდათ, ასაჩუქრებდნენ მლიქვნელებს ან მათხოვრებს.

მაიმუნებში მატერიალური ურთიერთობის გარკვევის მიზნით ჩატარებული ცდებიდან განსაკუთრებით ორია საინტერესო:

თუ მაიმუნების ჯგუფს ჩაკეტილი ზანდუკით სარგებლობას ვასწავლით, დომინანტი იწყებს წართმეული ქონების ზანდუკში დაგროვებას და მას არავის უნაწილებს. თუ ყველა მაიმუნს ზანდუკს დავურიგებთ დომინანტი შეეცდება ყველა ზანდუკის მითვისებას.

მეორე შემთხვევაში მაიმუნებს შეასწავლეს ბერკეტების გარკვეული მოძრაობით (რაც შრომასთან იყო დაკავშირებული) ჟეტონის მოპოვება. ჟეტონით შესაძლებლობა ეძლეოდათ ავტომატიდან გარკვეული ნივთები და პროდუქტები ამოეღოთ. საზოგადოება წამში დაიყო; გაჩნდა მშრომელები, რომლებიც ჟეტონს მოიპოვებდნენ; სხვები ავტომატთან მათხოვრობდნენ, დომინანტები კი ძარცვავდნენ. ართმევდნენ რა ჟეტონს (რომელიც იგივე ფულის ტოლფასი იყო) და არა პროდუქტს, დომინანტებმა გამოავლინეს აზროვნების მაღალი დონე, ვინაიდან მათთვის ჟეტონის შენახვა გაცილებით იოლი იყო. ჟეტონს ინახავდნენ ყბის ქვეშ. მშრომელები თავდაპირველად ორ ტიპად გაიყვნენ: ერთნი მუშაობდნენ, ჟეტონებს აგროვებდნენ და ყაირათიანად ხარჯავდნენ, მეორენი აღებულ ჟეტონებს მყისვე ანიავებდნენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მშრომელები, რომელთაც დომინანტები ძარცვავდნენ გონს მოეგნენ და, რაკი იმედი გადაეწურათ, ზუსტად ერთ ჟეტონზე მუშაობდნენ და მასაც მაშინვე ხარჯავდნენ.

ანალოგიური სიტუაცია იყო ესპანეთში ფილიპე II-ის მეფობის დროს როცა ინკვიზიცია მძვინვარებდა. ინკვიზიცია დამსმენი მოწმეების გამოყენებით კუდიანებთან და ეშმაკებთან კავშირის საბაბით ქონებას ართმევდა და ცეცხლზე წვავდა შეძლებულ ვაჭრებს, მათ ქონებას კი ინკვიზიტორები ინაწილებდნენ. მეფემ ნახა რა დოვლათის შოვნის ეს მარტივი გზა, წილში შევიდა ინკვიზიტორებთან და უკვე წინასწარი დაკვეთით ახდენდა ხალხის ძარცვას. ბუნებრივია, ქვეყანაში ჩაკვდა ეკონომიკა. ამას ისიც დაერთო, რომ მეფემ ამ ფულით შექმნა დიდი ფლოტი და გაილაშქრა ინგლისზე. მოხდა სასწაული, ამოვარდა ქარიშხალი და გემების უდიდესი ნაწილი დაიღუპა.

თუ ჩვენი თანამოძმეების ჭკუასა და მოხერხებულობას გავითვალისწინებთ და ამას დავუმატებთ მათდამი ჩვენს გენეტიკურ სიახოვეს, ადვილი ასახსნელია თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდა ქვეყნის ხერხემალი – საშუალო ფენა. ინტელიგენცია ჩარეცხეს და წყალს გააყოლეს. გვყავდა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები და გვქონდა სამეცნიერო ცენტრები. იმ დონეზეც კი დავედით, რომ თვითონ პრემიერ-მინისტრსაც კი გაუკვირდა როცა კახეთის ერთ-ერთ ღვინის ქარხანაში ნახა შემდუღებელი, რომელიც უჟანგავი რკინის კასრს ადუღებდა. ვერ დაიჯერა თუ კიდევ ვინმე დარჩა ამ ქვეყანაში საქმის მკეთებელი. მცირე დროში მოისპო ტექნიკური ინტელიგენცია, მას მიჰყვა ტექნიკური წარმოების პერსონალი. დღეს იშვიათად თუ შეხვდებით პროფესიონალ ხარატებს, მღარავებს, შემდუღებლებს და სხვა სახის სპეციალისტებს.

რომან კენკიშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

(გაგრძელება იქნება)

# მილიონი დოლარი ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილის სანაცვლოდ – ინდური მხარე გამოსასყიდს ითხოვს



ინდური მხარე ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილის გადმოსაცემად, გამოსასყიდის სახით, ერთ მილიონ დოლარს ითხოვს. როგორც ავჭალის, წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა გიორგი რაზმაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ინდოეთის ქალაქ გოაში მდებარე დაგრასას მონასტერში არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი წმინდა დედოფალ ქეთევანის მარჯვენა ხელის ნაწილის გადმოსაცემად, გამოსასყიდის სახით, ერთ მლნ დოლარს ითხოვენ. დეკანოზი ხელისუფლებას, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილის ინდოეთიდან საქართველოში დასაბრუნებლად, აქტიურად ჩართვისა და დახმარებისკენ მოუწოდებს.

დეკანოზი ინდოეთში ამ საკითხზე რამდენჯერმე იმყოფებოდა და როგორც აცხადებს, ინდურმა მხარემ გამოსასყიდის მოთხოვნის შესახებ ბოლო შეხვედრის დროს აცნობა. ამ საკითხში ჩართული არიან საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროები; ასევე, საქართველოს საპატრიარქო, განსაკუთრებით – ამბაალავერდელი მიტროპოლიტი დავითი.

მამა გიორგის განმარტებით, კვლევებით დადასტურებულია, რომ წმინდა ნაწილი ნამდვილად ქეთევან დედოფლისაა და ახლა საქართველოზეა დამოკიდებული, რამდენად მზადაა სიწმინდის დასაბრუნებლად.

დეკანოზის თქმით, ახლახანს ამერიკის არქეოლოგიურმა კვლევითმა ცენტრმა ინტერნეტით გამოქვეყნა, რომ გოაში აღმოჩენილი ქალის მარჯვენა ხელის ნაწილი ქეთევან დედოფალს ეკუთვნის, რომლის დაბრუნებას საქართველო 400 წელი ელოდებოდა.

პრესკონფერენციაზე მამა გიორგიმ ასევე აღნიშნა, რომ კათოლიკური ორდენის წარმომადგენლების, ავგუსტინელთა მონასტერში 2006 წელს არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილ წმინდა ნაწილს **დნმ**-ის ანალიზი სამჯერ ჩაუტარდა, მათ შორის ორჯერ ევროპის ქვეყნებში. სამივე კვლევამ დაადასტურა, რომ იგი წმინდა დედოფალ ქეთევანს ეკუთვნის. მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების დროს ქალის მარჯვენა მკლავის გარდა ძვლების სხვა ნაწილები არ აღმოჩენილა.

დეკანოზის განცხადებით, წმინდა დედოფლის წმინდა ნაწილები დღეისთვის მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული. კერძოდ, დედოფლის ქვედა ყბის ძვალი რომში პეტრე მოციქულის საფლავშია ჩაბრძანებული, ასევე არსებობს ლისაბონში; რუსეთში, ზაგორსკის მონასტერში.

მისივე თქმით, დედოფლის წმინდა ნაწილების უმეტესი ნაწილი კათოლიკე ბერებმა თეიმურაზ მეფეს გადასცეს, რათა მათ აქ პატივისცემა დაემსახურებინათ; კახეთსა და გორში კათოლიკური მისიები გაეხსნათ.

მამა გიორგის განმარტებით, ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს ისიც რომ, როდესაც თეიმურაზ მეფე შემოსევის დროს სამეფო კართან ერთად გაიხიზნა, დედოფლის წმინდა ნაწილები ცხენზე იყო აკიდებული. არაგვზე გადასვლის დროს მდინარემ იგი ცხენთან ერთად წაიღო.

წმინდა დედოფალი ქეთევანი აშოთან მუხრან ბატონის ასული იყო. შაჰ-აბასის ბრძანებით წმინდა დედოფალი 1624 წლის 26 სექტემბერს ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს. თავზე გახურებული რვალის ქვაბი დაამხეს, მარწუხებით მკერდი დააგლიჯეს, მკერდიდან ზურგში გავარვარებული შამფურები გაუყარეს, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დააგლიჯეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზედაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს. წმინდანის სხეული ჯალათებმა ნადირთა სათრევად დატოვეს. მის წმინდა ნეშტს კი სამი ნათლის სვეტი დაადგა.

წამების მხილველმა კათოლიკური ორდენის წარმომადგენლებმა, ავგუსტინელებმა, წმიდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და ინდოეთში, ქალაქ გოაში არსებულ დაგრასას მონასტერში გადაასვენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭიდაობს ნესტორ ესებუა



XIX საუკუნის საუკეთესო მოჭიდავე ნესტორ ესებუა დაიბადა 1864 წელს, სოფელ სორტაში (სენაკის მუნიციპალიტეტი), 18 წლის ნესტორი როტშილდის ქარხანაში მუშაობდა ბათუმში. გაბრიელ ბარჯაძე თავის წიგნში **„საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია“** წერს: **„მევალე მედუქნეს ნესტორისათვის უთქვამს: ქარხნიდან კალა მომიტანე და ვალსაც იმაში გაგიქვითავო. იმ დღეს ნესტორს ნაბდის ქვეშ ამოუჩრია ორი ყუთი კალა და ქარხნიდან მალულად გამოუტანია. მედუქნესთან მისულს მის ცხვირწინ დაუგდია კალის ყუთები. დიდხანს ეჯაჯგურა, თურმე, მედუქნე სათითაოდ იმ ყუთებს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. თვითონ ნესტორს დაუწყვია ისინი სასწორზე, 16 ფუთი და 2 გირვანქა გამოსულა... ვალიც გაუსტუმრებია და კიდევ დიდხანს უსაუზმია იმ დუქანში მუქთად... კალის ხარჯზე“.** 1885 წელს ბათუმში ჩამოვიდა ცნობილი მოჭიდავე კულა გლდანელი რომელმაც ბათუმში იმ ხანად მოასპარეზე 12 მოჭიდავე ბეჭებზე დადო. სწორედ ამის მერე სთხოვეს ნესტორს გლდანელთან შეხვედრა. ნესტორი დათანხმდა და 1885 წლის 14 აპრილს ბათუმში ერთმანეთის წინააღმდეგ იჭიდავეს იმ დროისთვის საუკეთესო მოჭიდავემ კულა გლდანელმა და ახალბედა მოჭიდავემ სორტელმა ნესტორ ესებუამ.

გამარჯვება ახალბედა ნესტორ ესებუას დარჩა, მოგვიანებით მათი დაპირისპირება ტრადიციულ კლასიკად გადაიქცა. დაუზუსტებელი ინფორმაციით ისინი რამოდენიმეჯერ (4 ჯერ) შეხვდნენ ერთმანეთს და ყველა ამ შეხვედრიდან გამარჯვება დარჩა ნესტორ ესებუას. მათი ყველაზე გახმაურებული ჭიდაობა შედგა 1886 წლის 1 აგვისტოს თბილისში, აკაკი წერეთელმა ლექსიც კი უძღვნა ამ შერკინებას (იხ.სტატიის ბოლოს). **”იტალიელების ბაღში”** გამართულ ორთაბრძოლაზე იმდროინდელი პრესის გამოხმაურებამაც არ დააყოვნა. გაზეთი **”დროება”** კი წერდა: **”ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს მოწინააღმდეგეებმა. შეტაკებაში პირველმა გლდანელმა წააქცია ესებუა, მან ისე რიხიანად დაატრიალა ის, რომ ყველას ეგონა, მიწიდან მოწყვეტს და ჰაერში აისვრისო, მაგრამ ახალგაზრდა მოჭიდავე გამაგრდა და საპასუხოდ დასცა მოწინააღმდეგე პირქვე, მაგრამ კულა მალე წამოხტა ფეხზე, მივარდა ესებუას გამხეცებული და კისრულით დასცა მიწაზე, მხოლოდ ერთი მხარით. ესებუას დამარცხება ვერც ამჯერად შესძლო გლდანელმა, ისინი ორივენი წამოდგნენ ფეხზე და განაგრძეს ჭიდაობა. კულამ მეორედ გადმოიტანა კისრულზე ნესტორი უფრო უკეთესად, ვიდრე პირველად, მაგრამ მაინც ვერ შესძლო მისი საბოლოოდ დამარცხება. ისინი ხელმეორედ წამოდგნენ ორივენი ფეხზე და მესამედ შეეჯახნენ ერთმანეთს. ახლა კი გაცეცხლებული მეგრელი ვეფხვივით მივარდა კულას და დასცა ბეჭებზე, რითაც მოიპოვა საბოლოო გამარჯვება”.**

ნესტორ ესებუა პერსონალურად იყო მიწვეული პარიზის საერთაშორისო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც მსოფლიოს 300-მდე საუკეთესო მოჭიდავე მონაწილეობდა. დაამარცხა 10 მეტოქე, რისთვისაც ჯილდოდ გადასცეს 1000 ფრანკი და ოქროს ჟეტონი.

როგორც საჭიდაო წრეებში ამბობენ ნესტორი გამოირჩეოდა სისწრაფით, ღონით, მოქნილობით. იშვიათი ოსტატობით ასრულებდა კისრულს, ჩოქელას, შუა სარმას, გარეკაურს. მისი საყვარელი ხერხი ჭიდაობის დროს იყო დაჩოქილი შუა სარმა, ე.წ. **„ცაცია“**, ანუ გარე ფეხი და კისრული. ნესტორს დამარცხებული ჰყავს იოსებ ცერაძე, გიორგი ლურიხი, კლიმენტი ბული, კაზბეგ გარა, სარი სულეიმანი, ჰაჯიბაზ გულიკოვი და სხვები. ესებუამ სოხუმში დაამარცხა გამოჩენილი ნორკინი, თბილისში მურომეცი, კონსტან-დემარე და სხვები. სტამბოლში ჩატარებულ შეჯიბრზე ტურნირის გამარჯვებული გახდა ნესტორ ესებუა. სტამბულში გამართულ შეჯიბრზე საინტერესო ცნობა აქვს მოყვანილი გაბრიელ ბაიჯაძეს: **„საჭიდაოდ გამოდიოდნენ პოლონელი პეტლიზინსკი, ბულგარელი ნიკოლა ჰეტრე, თურქი ჰაებაშთი, ქართველი ცერაძე, მაისურაძე, მიდელაური, ესებუა, აგრეთვე ემილ ფორი და სხვები. საჭიდაოდ უხმეს ბერძენ გოლიათს, ოცი ფუთის ამწევ, 132 კილოგრამიან პანიას კუტალიანისს და ნესტორ ესებუას. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერთთავად დამრგვალებული ბერძენის პირისპირ ხმელ-ხმელი, გრძელმკლავა ესებუა ცოტა სასაცილოდ გამოიყურებოდა. დაიწყო თუ არა ორთაბრძოლა, ნესტორი იერიშზე გადავიდა. ვეფხვივით უტევდა მეტოქეს და მალიმალ ჩოგბჯენში გადაჰყავდა ბერძენი გოლიათი. მეოცე წუთზე ესებუამ ბერძენის მარჯვენა მკლავი იგდო ხელთ, უცებ შემოტრიალდა, კისრულზე წამოიღო და ორივე ბეჭით გააკრა ხალიჩაზე. ტაშის გრიალმა შეაზანზარა დარბაზი. სულთანის ვაჟმა ნესტორს 50 ლირა აჩუქა. მსაჯებმა კი ძველი დროის წესის თანახმად, ქართველ ფალავანს მკერდზე საპატიო ლენტი გაუკეთეს“.**

1887 წელს კულა გლდანელი კვლავ იწვევს საჭიდაოდ ნესტორ ესებუას. 1888 წლის **„ივერიაში“** (№ 235) ნესტორი წერს: – ოთხჯერ დავძლიე გლდანელი და მეხუთეთ ჭიდაობა საინტერესო არ იქნებაო. ხოლო გაზეთ **“ივერიის”** № 113-ში ნესტორი წერს: – “**თბილისში მას ყველა მომხრე ჰყავს, ქუთაისში თუ უნდა, იქ მობრძანდეს, როცა უნდოდესო**“. მიუხედავად გლდანელ-ესებუას მეტოქეობისა, ისინი როგორც ამბობენ ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. მრავალი წარმატებული ჭიდაობის შემდეგ ნესტორ ესებუამ საჭიდაო არენაზე გასვლა შეწყვიტა და ხელი მწვრთნელობას მიჰყო. ის სხვადასხვა დროს ჭიდაობებს აწყობდა – სამტრედიაში, სურამში, ჭიათურაში, ქუთაისში, ზესტაფონში და სხვაგან. ნესტორ ესებუა გამოირჩეოდა, ასევე, ქველმოქმედებით – 1919 წელს ჭიდაობიდან აღებული ფულიდან 400 მანეთი შესწირა სენაკის სკოლის მშენებლობას. ფულით ეხმარებოდა წითელი ჯვრის საზოგადოებას.

1931 წლის აგვისტოში მშობლიურ სოფელ სორტაში მოსახვევში ეტლი გადაუბრუნდა რის შემდეგაც მიღებული დაზიანებებით 2 თვის შემდეგ გარდაიცვალა. ის დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში.

**თემო სახურია,**
**ისტორიკოსი**

*ლექსი რომელიც აკაკი წერეთელმა მიუძღვნა გლდანელის და ესებუას ჭიდაობას იტალიელების ბაღში, ეს ლექსი აღმოაჩინა პაოლო იაშვილმა.*

**“ეს ქუთაისში შეიტყვეს შუბლში იტკლიცეს ხელია,**
**ნუთუ ქართლსა და კახეთსა ვაჟკაცი შემოელია,**
**აქ რაღაც ცბიერობაა უთუოდ საეჭველია,**
**უნდა უშველოთ როგორმე თუ სადმე მისაშველია.**
**როგორ თუ მთელი ქვეყანა მან ასე აიბუაო?**
**მოდი გავგზავნოთ აქედან მეგრელი ესებუაო.**
**ისე დაბლაგვოს, იცოდეთ, როგორც რომ დანის ყუაო.**
**მაშინ იტლინკოს გლდანელმა, მერე ისწავლოს ჭკუაო”.**
**“მაშინ წამოდგა ნესტორა სიმდაბლით მოუბარია:**
**უფროსები ხართ და ჩემგან არ გეკადრებათ ვარია.**
**თუ გავიმარჯვე აქავე ჩამოვალ მომცინარია,**
**თუ ვერა კომბალს ავიღებ და წავალ სადაც ცხვარია”.**
**“გლდანელის საპირდაპიროდ აქ ვიღაც ჩამოსულაო,**
**მაგრამ ყურებსაც არ იბერტყს ჩვენი ნაქები კულაო,**
**ამბობს, ამისი ტოლები აქ ბევრი გალახულაო,**
**და ესეც ისე გავპენტო როგორც რომ ბამბის ქულაო”.**
**“გამოდის კულა გლდანელი მხარბეჭა და შიშველია,**
**ჯეირანივით ნავარდობს, მაღლა ხტის როგორც შველია,**
**ტანზედაც ერბო წაუსვამს, რომ ვერ მოავლონ ხელია,**
**გარს ახვევია ამქრები სუყველა მისი მშველია.**
**მეორე მხრიდან მეგრელი გამოძვრა როგორც ტურაო,**
**რომ დაინახა გლდანელი ლომივით მიაშურაო.**
**მკლავებში ხელი მოავლო და ერბომ აიცურაო.**
**კინაღამ უცბად გაფუჭდა და ბედმა მოიმდურაო.**
**განზე გადუხტა მატყუარს, სისწრაფით მოიშორაო.**
**ამბობს, ხელს ვეღარსად ვკიდებ, რა ცუდათ მომაღორაო.**
**მივარდა, გულში ხელი ჰკრა, ბურთივით გააგორაო.**
**ვეფხვივით ზურგზე დაახტა, დათვივით მოიტორაო.**
**ქვეშ დევს, ფართხალობს გლდანელი, ცდილობს ზე წამოდგომასა.**
**ზემოდან მტკავლავს ნესტორა, თითქო იღებდეს ზომასა.**
**თან ეუბნება დაცინვით: კულა ნუღარ სწევ შრომასა,**
**უფრთხილდი თან არ გადაყვე შიშსა და გულისწყრომასა.**
**ფეხებში ხელი მოჰკიდა, თავდაღმა დააყირაო,**
**საცეცხლურივით დაკმევა ოთხკუთხივით დაუპირაო.**
**იმისი მაყურებელი სუყველა გააკვირაო,**
**კულა გლდანელის მომხრენიც უწყალოდ აატირაო”.**

**აკაკი წერეთელი 1886 წ.**

# იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

ებრაულ ასონიშანში פ(პ), სახელდებით **პეი** (პირი). პირის ღრუს იდეოგრამაა წარმოდგენილი. შეიძლება ასონიშნის ზედა მოხრილ თავში გველისთავი იგულისხმებოდეს.

ცხადია, ველური მდგომარეობის ტყვეობიდან ადამიანის განთავისუფლება, ხსნა პირიდან მოდის, რადგან პირით გამოითქმება სამეტყველო ბგერები, პირით ხდება მეტყველებისა და ადამიანის განვითარება, ცოდვის ჩადენაც პირთანაა დაკავშირებული, მაგრამ ებრაულ პ ბგერის აღმნიშვნელი ასონიშანი ადამიანის ამ თვისების მატარებელი აღარაა, არამედ თვითონ ასონიშნის გრაფიკული მოხაზულობაა პირის ღრუს კონტურთან მიმსგავსებული და **განთავისუფლება** და **ცოდვა** ამ ასონიშანს მხოლოდ იმიტომ ენიჭება, იმიტომ ითვლება ამ ასონიშნის თვისებებად, რომ ამ ასონიშნით იწყება სიტყვები **პდუტ** და **პეშა**.

იბერიულ ენაში ბგერა-სიტყვა **პ**, ნიშნავს **მყო**-ს. ორმაგი **პ**, – **პ,პ,**, გახმოვანების შემდეგ **პიპუ** (ბაგეები), ან კიდევ, იბერიული **პიჯი** და ქართული **პირი** პ,-დან არის ნაწარმოები (პ,რ,→პირე→პირი). დიახ, ბაგეები და პირია **მყო**ფიერებელი ველური ცხოველისა ადამიანად და ველური ცხოველის ადამიანად ჩამოყალიბების ფუნქცია ადამიანის იმ ორგანოსთვისაა დაკისრებული, რომლის სახელწოდება ღვთიური წარმოშობის ბგერა-სიტყვაში **პ**, არის ასახული.

იბერიული (მხედრული) ასონიშნის **პ** გრაფიკული მოხაზულობა პროფილში ბაგეების იდეოგრამას წარმოადგენს (იხ. კოჩა კოლხი, ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი, გვ. 166), ებრაულში კი პირის ღრუსი.

ასეთი თანხვედრაა, ღვთიური წარმოშობის იბერიული ბგერა-სიტყვა **პ**,(მყო)-ს არსსა და ებრაული ასონიშნისათვის פ (პ) დაბრალებულ ზემოაღნიშნულ თვისებას შორის.

როგორც აღვნიშნეთ, თავიდან ადამიანი ველური იყო, მაგრამ დანაწევრებული სამეტყველო ბგერების (პირით) გამოთქმის უნარმა აქცია ველური ცხოველი ადამიანად. ე.ი. **პ**,-თი (მყო-თი) დაიწყო ველური მდგომარეობიდან ადამიანის განთავისუფლება, მაგრამ, რადგანაც პირი ფიზიკური სხეულის ნაწილია, რომელიც არასრულყოფილია და, ამასთან, მიმღებია, ანუ ეგოიზმის, ცოდვის საფუძველია, შეიძლება, პირიქითაც მოხდეს. ამდენად, ბგერა-სიტყვა **პ**, გამომხატველია დადებითისაც და უარყოფითისაც, ე.ი. ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების მატარებელია.

**პ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (პ), სახელდებით **პარ**, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „**პ**[,] **ა**[ადამიანიშო] **რ**[ინელქ]” (მყო ადამიანისთვის ყოფიერმა), გრაფიკულ მოხაზურობაში სიმაღლის ბოლოს მარჯვნივ მიმართული ჰორიზონტალური ხაზი შემოქმედის მიერ ადამიანის გაჩენის ადგილს (სამოთხეს) უნდა ნიშნავდეს, ხოლო მისი მარჯვენა ბოლოდან ქვედა ზღვრამდე დაშვებული ხაზი და შემდეგ თავდაპირველ სიმაღლემდე მისი ამართვა ადამიანის ცოდვით დაცემას და ისევ სამოთხეში დაბრუნებას უნდა ნიშნავდეს, ხოლო ვერტიკალური ხაზის შემოუსაზღვრელობა – მარადიულობას.

20. ბგერა-სიტყვა **ნ**, გამოიყენება ორი მნიშვნელობით: ა) წყალი//წყარო სიცოცხლისა//უზენაესი შემოქმედი; ბ) ვნო.მაგ., „გოჩაქ ბრელი თოფური ჭკუმდო ე-**ნ**,” (გოჩამ ბევრი თაფლი ჭამა და ა-**ვნო**).

ცხადია, წყალს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის ძალზე ადვილად შეიძლება გახდეს სასიკვდილო, რადგან მასში ისე ადვილად იხსნება საწამლავი, რომ სულაც არ უცვლის ფერს.

ამდენად, ბგერა-სიტყვა **ნ**, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობის მატარებელია; ასევე, ეს რადიკალურად ურთიერთსაწინააღმდეგო თვისება ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, ე.ი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ წმინდა და არაწმინდა ძალთა მუდმივი და უკომპრომისო ბრძოლაა ადამიანის სულიერ სამყაროში.

**ნ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ნ), სახელდებით **ნარ**, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „**ნ**[,] **ა**[დამიანშო] **რ**[ინელი]” (სიცოცხლის წყარო ადამიანისთვის ყოფიერი), გრაფიკულ მოხაზულობაში ზედა ჰორიზონტალური ხაზი ის ძალა, ის ღვთიური ნათელი უნდა იყოს, რაც სასიცოცხლო პირობაა დედამიწაზე ადამიანისათვის, ხოლო ჰორიზონტალური ხაზის მარცხენა ბოლოდან დაშვებული ვერტიკალური ხაზი და ამ ხაზის შუა წერტილიდან გამოსული განშტოება – სასიცოცხლო ინდივიდები.

21. ბგერა-სიტყვას **მ**, , ბგერის გახმოვანების შემდეგ აქვს შემდეგი მნიშვნელობები: ა) **მა**(მე); ბ) **მი**(ვინ); გ) მუ(რა). ბგერა-სიტყვა **მ,**-სგანაა ნაწარმოები წინსართები:მა-,მე- და მო-, რომლებიც, თავის მხრივ, მაწარმოებელია ადამიანთა დადებითი, თუ უარყოფითი თვისებებისა და პროფესიული საქმიანობებისა: მა-ბირე (მო-მღერალი), მა-გური (მ-სგავსი), მა-გორალი (მე-ძებარი), მა—ზალი (მ-ზელელი), მა-თირალი (მ-ცვლელი), მა-კინე (მ-კავებელი), მა-ლურე (მ-ძინარე), მა-ნე (მა-ვნე), მა-ნჩურე (მ-ცურავი), მა-რკინე (მო-ჭიდავე), მა-სხაპალი (მო-ცეკვავე), მე-ტყურე (მე-ტყუილე), მა-ფურინე (მ-ფრინავი), მა-ფა (მ-ეფე), მე-ქისე, მო-ქანდაკე, მე-ღვინე, მა-რულე (მორბენალი), მო-ყვარე, მე-შხურე (მე-ცხვარე), მა-ჩინე (მ-ცნობი), მა-ჩოლარი (მ-ცლელი), მე-ჩხოულე (მე-ძროხე), მე-ცნობე, მე-ცხენე, მა-ცდური, მე-წაღე, მა-ჭალი (მ-კერავი), მახალი (მ-შობიარე), მა-ხუალი (მ-შლელი), მაჯინე (მა-ყურებელი, მე-თვალყურე), მა-„ვილარი (მ-კვლელი) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი სიტყვებიდან, უმრავლესობა დადებითია, მაგრამ არის უარყოფითი თვისებისა და საქმიანობის გამომხატველი სიტყვებიც, რაც ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, რადგან ჯერჯერობით ადამიანი არაა სრულყოფილი. აღსანიშნავია, რომ წინსართებში მა-,მე- მო პიროვნება, ადამიანი მოიაზრება.

**მ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (მ), სახელდებით მან, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „მ[აქიმინალი] ან[ი]” (მქმნელი სამყარო), გრაფიკულ მოხაზულობაში ზედა შემოუსაზღვრელი, მარცხნივ მიმართული ჰორიზონტალური ხაზი, ქვევით წრიული მრუდი და ვერტიკალური ხაზის გადამკვეთი, მარჯვნივ მიმართული შემოუსაზღვრელი ჰორიზონტალური ხაზი მუდამ არსებულ სამყაროში მუდამ არსებულის გარდაქმნისა და ახალი სახით გაჩენის უსასრულო პროცესის განსახიერება უნდა იყოს წარმოდგენილი.

22. ბგერა-სიტყვა **ლ**, გამოიყენება **ვარდება**ს მნიშვნელობით, მაგ., „ასე თოფი გო-**ლ**,” (ეხლა თოფი გა-**ვარდება**), ან კიდევ, **ვარდას** მნიშვნელობით, მაგ., „მონჭა სხულქ ქ, თო-**ლ**,” (მწიფე მსხალი ჩამო-**ვარდა**). სიმაღლიდან საგნის ვარდნა ბუნებრივი მოვლენაა. ასეთი თვისების გარეშე ვერ იარსებებდა სამყარო, ამიტომ ის დადებითია, მაგრამ დავარდნა, დაცემა, მით უმეტეს, სულიერი, ტრაგიკული მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში. ე.ი. ბგერა-სიტყვა **ლ**, ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობათა გამომხატველია.

**ლ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (ლ) გრაფიკულ მოხაზულობაში წრე მზის იდეოგრამაა, სწორი ხაზებით შედგენილი ნაწილი კი მზის დისკოს სატარებელი ღვთიური სახელური, ხოლო სახელდებაში **ლას** (შალა), მზის ვერძის ზოდიაქოში შესვლითა და წლიური მიმოქცევის თევზის ზოდიაქოთი დამთავრებით, წინა წლით გავლილი მზის წარმოსახვითი კვალის წაშლაა დაფიქსირებული.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა” და „აიას” საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

## ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ამ ჩემს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოხმობილ, არცთუ მთლად თანმიმდევრულად გადაბმულ ჩანაწერებში ერთხელაც უნდა ვახსენო დიდი პატიმარი, ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიის ყმა, დიდი მწერალი, მამაჩემის უმცროსი ძმა და ჩემი უფროსი მეგობარი ჭაბუა ამირეჯიბი. ერთხელ უკვე მომიხდა თქმა, რომ გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებმა ალაგ-ალაგ მისი **„დათა თუთაშხიას“** ეპიზოდები გამახსენა. თვით იმ ამბავმა, რომ მამაჩემის ხელნაწერი, ჩემთვის ფასდაუდებელი განძი, მისი გარდაცვალების შემდეგ გადმომეცა, უშუალოდ ამ ბრწყინვალე რომანის დიდებული ფინალის ერთი პასაჟი დამიყენა თვალწინ.

ხელმწიფის სამსახურში ჩამდგარ მამიდაშვილს, მის მადევარსა და მახეების დამგებს, ჟანდარმ მუშნი ზარანდიას დაღუპვამდე სამი წლით ადრე გააგონა, ხმა მიაწვდინა დათა თუთაშხიამ, რომ ცხენის ჩუქებას უპირებდა. საბედისწერო მომენტი ახლოვდებოდა. სანამ დათას მისივე ნაშიერი ბუხართან რევოლვერის ტყვიას დაახლიდა, აზრაგს ჩანაფიქრი თითქმის მომზადებული ჰქონდა. ბალყარეთიდან, ერთი იქაური მეგობრის ხელშეწყობით, საუკეთესო ჯიშის ულაყი ჩამოიყვანა, საიდუმლოდ ჩააბარა პოლიციასთან შეკრულ მეჯინიბეს მოსე ჯაგალიას, თან ცხენის მოსავლელად ოცდახუთი მანეთი მისცა და დაუბარა: **„კაცი მოვა შენთან ჩემი სახელით. გეტყვის, ვის უნდა მიუყვანო და როდის უნდა მიუყვანო ცხენი“.** ცხადია, ისიც დაასწავლა შეშინებულ და თან დანამუსებულ მეჯინიბეს, ცხენის გადაცემისას იმ კაცისთვის რა უნდა ეთქვა.

დათა თუთაშხია მუდამ სივერაგეს მოელოდა მუშნი ზარანდიასგან და მომაკვდავმა, კეფაგასისხლიანებულმა, გასროლისთანავე საფეთქლებზე რომ იტაცა ხელები, უმალ მიხვდა, ვისგანაც იყო დაგებული ეს ჯოჯოხეთური მახე. ისე, რომ მუშნი არც უხსენებია, გამწარებულმა, სასიკვდილო ტკივილისგან სახედაბრეცილმა, მაშინვე წამოიძახა:

**„— რამ მოაფიქრებინა ეს! მაჯობა მაინც...“**

საკითხავია, ვინ ვის აჯობა. დათა თუთაშხიას ერთი მთავარი სამოქმედო პრინციპი იყო სიგლახის, ბოროტების სიკეთედ გარდაქმნა. იგი ქრისტეს მცნებას ნერგავდა ცხოვრებაში, როცა ამბობდა: **„მტრად არ უნდა ჩათვალო ცუდი კაცები...“** ამით იგი ძალას უკარგავდა ბოროტებას. თუ გავიხსენებთ, გვანჯი ჩიქოვანიც სწორედ ასე მოიქცა, როცა უპატიებელი ზნედაცემულობა შეუნდო სინდისგარეცხილ დამსმენებს და თვითეულის სატირალში მივიდა, სამძიმარი უთხრა ჭირისუფლებს.

მახეების დაგებაში გაწაფულმა და აზარტში შესულმა მუშნი ზარანდიამ კი იმდენი ქნა, რომ ძმად კუთვნილ ბიძაშვილს, ბევრი რამით თითქმის საკუთარ ორეულს, მკვლელად თავისივე შვილი მიუგზავნა, რითაც, საბოლოოდ, თვითმკვლელობა გამოუვიდა.

ნოემბრის თვეა. სასიკვდილოდ დაჭრილი, განწირული დათა, სანამ შვილის დანაშაულის კვალის წასაშლელად ზღვაში გადავარდებოდა, მჭედელ მალაქია ნინუასთან მილასლასდება, აკაკუნებს, სამჭედლოში არც შევა, ისე უბარებს კეთილ ნაცნობს: ინახულოს მოსე ჯაგალია და გადასცეს — დეკემბერში თავისი მეგობრის, სიმონ გულიას ქორწილში ჩამოსულ მუშნი ზარანდიას მიუყვანოს ის მიბარებული ცხენი და შემონათვალიც უთხრას.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდა ქორწილში თავმომწონედ მყოფ ხელმწიფის კაცს, ხალხით, მოყვრებითა და პატივისმცემლებით გარშემორტყმულ მუშნი ზარანდიას, როცა უკვალოდ გამქრალი დათა თუთაშხიასაგან ძღვნად ასეთი შეუდარებელი სილამაზის ბედაურს მიართმევდნენ. ერთი გაფიქრება, ალბათ, იმასაც გაიფიქრებდა, რომ მკვდართა ქვეყნიდან მისგან დევნილი და დაღუპული ბიძაშვილის სული გამოეცხადა. ამის მერე მას დიდხანს აღარც უცოცხლია.

მე სრულებითაც არ მინდა, მამაჩემი, ბავშვთა ექიმი დავით კვიტაიშვილი, მისი ახლო მეგობრის რომანის უკვდავ გმირს, დათა თუთაშხიას შევადარო, მაგრამ ერთი რამით ნამდვილად გავდა — ბოროტებას ისიც სიკეთით უპირისპირდებოდა და ამარცხებდა კიდეც. თავისი ტანჯული ცხოვრების მანძილზე მრავალი მტრულად განწყობილი, ბოროტი ძალების სამსახურში ჩამდგარი კაცისთვის გაუმართავს ხელი, უშველია და ძირფესვიანად გარდაუქმნია. ამაზე მისი მეგობრებიც წერენ.

ერთი რამეც არის გასაოცარი. მამაჩემის მოულოდნელი **„ნობათიც“** მისი ამ ქვეყნიდან წასვლის მერე მივიღე და კარგად ვიცი, რასაც მეტყოდა მისი კეთილი, ყოვლის მიმტევებელი სული; მთხოვდა, ამ ჩანაწერისათვის მიმეხედა, დრო გამომეძებნა, მომევლო და მომეწესრიგებინა.

შარშანს აქეთ ვუტრიალებ, ცდა არ დავაკელი და, შეძლებისდაგვარად, მხარი შევუდგი მამაჩემის ხელით აგებულ შენობას, შეკუმშულ მონაკვეთს უძნელესი, ხიფათიანი თავგადასავლისა, **„გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრება“** რომ ჰქვია; შევეცადე, სხვა წყაროთა მოშველიებით, გუმანითაც, რამდენადმე შემევსო ნაკლოვანი, ბოლომდე უთქმელი ადგილები. ზოგი რამ, ვფიქრობ, მოგვიანებით, სამომავლოდ დაზუსტდება.

თავიდანვე აღვნიშნე — თითქმის ნახევარი საუკუნე (ორმოცდარვა წელიწადი) ინახებოდა ბატონ კიტა ბუაჩიძესთან ეს გამოხუნებული, ფერგადასული რვეულები და მხოლოდ მამაჩემის გარდაცვალებიდან ათი წლის გასვლის შემდგომ ინება განგების ძალამ, ეს მოგონებები ჩემს ხელში მოხვედრილიყო. უცნაური განცდით ვხურავ ამ კიდეებშემოცრეცილ რვეულებს და კვლავ მახსენდება თითქოსდა საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის ამოთქმული გალაკტიონ ტაბიძის ცეცხლოვანი სტრიქონები:

**მას შემდეგ ორმოცდარვა**
**უმძაფრესი წელია...**

მართლაც უმძაფრესი და უმძიმესი იყო განვლილი ორმოცდარვა წელი. ჩამოთვლაც გაძნელდება, რამდენი სისხლი, ცრემლი და უბედურება დაიტია ამ წლებმა. მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო (არც მეორეში დაგვკლებია ჭირი და ვარამი). მე მხოლოდ მკრთალად, ისიც სხვათა მიერ აღნუსხული ფაქტების უმცირესი ნაწილის დამოწმებით მოვხაზე განვლილი კოშმარული ხანა.

დედნის კეთილსინდისიერად მომზადება არ არის იოლი საქმე, მაგრამ ჩვენს დღევანდელ პირობებში არანაკლებ საძნელოა სასტამბოდ გამზადებული ხელნაწერის წიგნად გამოცემა. ამის გაკეთება ხელმოკლე კაცისათვის, როგორც ჩანს, არც ძველად ყოფილა მთლად იოლი. დიდ გერმანელ ასტრონომსა და მათემატიკოსს იოჰანეს კეპლერს (1571-1630) გამოუცემელი დარჩა ბრწყინვალე იუმორით, გონებამახვილობითა და ღრმა ცოდნით დაწერილი თავისი განთქმული მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაშრომი **„ძილი ანუ მთვარის ასტრონომია“**, რომლის დასრულებისა და დასასტამბავად გადაცემის შემდეგ უცნაური ძილქუში დაეუფლა და აღარც გამოუღვიძია, როგორც წერენ, მისი სული მთვარის მიღმა სამყაროსკენ გაეშურა.

გამოჩენილი სწავლულის ვაჟმა, მედიცინის კანდიდატმა, მაგისტრმა ლუდვიგ კეპლერმა, ჰესენის ლანდგრაფს, კეთილშობილ და განათლებულ მთავარს ფილიპეს (ასეთი ხელმწიფენი საკმაოდ იყვნენ საგრაფოებად დაყოფილ მეჩვიდმეტე საუკუნის გერმანიაში) მაინის ფრანკფურტიდან თხოვნა გაუგზავნა, რათა გულმოწყალე მმართველი გარდაცვლილი მამის ხელნაწერის გამოქვეყნებაში დახმარებოდა.

ამ თხოვნა-წინათქმაში ასეთი რამ სწერია: „რაც უნდა იყოს, შვილმა არ უნდა მიჩქმალოს განთქმული და პატივდებული სახელი მამისა. თუკი მას გამჩენმა იმდენი ნიჭი არ მისცა, რომ თავისი მამის დიდება განამრავლოს, შეძლებისდაგვარად ის მაინც უნდა ქნას, მშობლის ღვაწლს არაფერი დააკლდეს“.

მარინა ცვეტაევას ერთგან მოაქვს მარკუს ავრელიუსის სიტყვები, სადაც რომაელთა უბრძენესი იმპერატორი მამისადმი შვილის ვალდებულებაზე ლაპარაკობს და ცვეტაევა იქვე დასძენს: **„მამისადმი ამ ვალდებულების, მისადმი პასუხისმგებლობისა და მასთან კავშირის გარეშე ადამიანი — ხვადაგია“.**

წინამდებარე წიგნის გამოცემისთანავე, მამაჩემის მიერ გაკეთებულ მრავალ მადლიან საქმეს ეს ერთიც მიემატება, მაგრამ ჩემი მიზანი უფრო ის გახლავთ, თვით ამბავთა მთხრობელი, უკეთილშობილესი პიროვნება გვანჯი ჩიქოვანი და მისი დიდად საინტერესო, მართალი თავგადასავალი წარვუდგინო ჩვენს საზოგადოებას.

მარკ შაგალი ავტობიოგრაფიულ წიგნში თავის მამაზე ამბობს — რა ვთქვა, როგორ შევაფასო კაცი, რომელსაც ფასი არ დაედებაო. იგივე იყო ჩემთვის მამაჩემი. მიჭირს სიტყვის მოძებნა, მის განუზომელ სიკეთეს რომ დახატავდა. აურაცხელი სატანჯველის მნახველი, გადასახლებიდან მაინც ხალისიანი დაბრუნდა, ყველაფრისადმი ინტერესს იჩენდა.

თუმცა თოთხმეტი წელიწადი დაშორებული ვიყავით მამაჩემი და მე, მასთან ურთიერთობა ოდნავადაც არ გამჭირვებია; გაუცხოება, ასეთ შემთხვევაში რომ ხდება, არ მიგრძვნია. ჭკუის დარიგებით მამა, მაინცდამაინც, არ მაბეზრებდა თავს. გაფრთხილებით კი მაფრთხილებდა ხოლმე — ისეთი არაფერი შეგემთხვეს, საციხოდ გაგიხდეს საქმე, თორემ სინანული გვიანღა იქნება, საბჭოთა ციხეში მოხვედრილ ადამიანს პირუტყვის ბედიც სანატრელი გაუხდებაო. იმასაც მეტყოდა, კაცს მუდამ უნდა ახსოვდეს მთავარი რამე — მოვალეობის გრძნობა, უამისოდ იგი კაცად არ ივარგებსო.

მისთვის არ არსებობდა დარი და ავდარი; დღე-ღამის რა დროც უნდა ყოფილიყო (შუაღამისას, თავსხმაში), თუ საჭიროდ ჩათვლიდა და პატარა პაციენტის მდგომარეობა ამასვე მოითხოვდა, ავადმყოფს უეჭველად მიაკითხავდა. გადაყოლა იცოდა ახლობლებზე, ნათესავებზე, სრულიად უცნობ ადამიანებზეც. სულო ცოდვილო, ზოგჯერ ისიც მიფიქრია, რომ იგი გადამეტებულად, გამაღიზიანებლად კეთილიც კი იყო.

მამაჩემი იშვიათად თუ მიყვებოდა ციხის ამბებს, თავს გადახდენილს; რაღაც-რაღაცეები უფრო სხვებისგან მაქვს გაგონილი. ახალდაპატიმრებული ძალიან დაუტანჯავთ. თავი განზრახ დაიმუნჯა, ხმას არ იღებდა, ჩვენებას არ აძლევდა გამომძიებლებს. ერთ ექიმს, უფრო კი ჯალათს, გვარად რაზმაძეს, ხმა რომ ამოეღებინებინა, პატიმარს სიმწრისგან დაეყვირა, მუხლის თავზე, სადაც ზემგრძნობიარე ნერვებია განლაგებული, ვეება ნემსი დაურტყამს რამდენჯერმე. მამაჩემს არაადამიანური ტკივილისთვის გაუძლია და ის ექიმი, მისი **„კოლეგა“**, გაოცებისგან სახტად დარჩენილა. ერთ გამომძიებელს, ვინმე დოლიძეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებია. სხვას კიდევ უთქვამს, შენისთანებისთვის ჩვენ **„ცხრა გრამს“** არ დავინანებთო (მაშხანის ტყვიის წონასა და დახვრეტაზე მიანიშნა. მართლაც, ორმოცდახუთი დღე ჰყავდათ გამოკეტილი დასახვრეტ საკანში). მიუხედავად ყველაფრისა, როგორც ვთქვი, მამაჩემი ოდნავადაც არ გაბოროტებულა, მის გულში არ დაუბუდებია შურისძიების გრძნობას. გადასახლებიდან დაბრუნებულს როცა ვუთხარი, შენს მაწამებლებს მოვძებნი და სამაგიეროს გადავუხდი-მეთქი, გაფითრდა, საშინლად აღელდა, ხელები აღმართა, ამის გაკეთება არც იფიქრო, ისინი ცოდვა ხალხია, იმათი ბრალი არ იყო, ასეთ ყოფაში არაადამიანურმა სისტემამ ჩააყენა ყველანი და იმიტომ გამხეცდნენო. მე თვითონაც არაერთი მაგალითი ვიცი იმისა, საძრახი საქციელის ჩამდენებს მამა ლმობიერად რომ მოქცევია და მათზე სასურველი, კეთილი ზეგავლენა მოუხდენია. თუმცა ისიც კარგად მახსოვს, აშკარა უსინდისობას როგორ ვერ ითმენდა და სასტიკად განრისხებულიც ბევრჯერ მინახავს.

გვანჯი ჩიქოვანი მცირე წინათქმაშივე აღნიშნავს: **„... ჩემი მოკლე აღწერილობით არ ვისახავ არავითარ სხვა მიზანს, გარდა იმისა, რომ ის დავუტოვო ჩემს შვილებსა და ახლო ნათესავებს, რათა მათ მომიგონონ, როგორც მშობელი და როგორც მეგობარი“.** რაღა თქმა უნდა, ასეთ ვიწრო, საოჯახო დანიშნულებასა და ფარგლებს აშკარად სცილდება ეს მოგონებები და, დღესდღეობით, ბევრად მეტ მნიშვნელობას იძენს.

აქვე შეგვიძლია მოვიხმოთ მეორე ქართველის, საკმაოდ ცნობილი პიროვნების მაგალითი და განსხვავებული თვალთახედვა. ეს გახლავთ მეჩვიდმეტე საუკუნის ძალზე ნიჭიერი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე — რჯულგამოცვლილი, სპარსეთში, ისპაჰანში ათეული წლობით ნაცხოვრები და შაჰის თვალსაჩინო მოხელედ, მოურავად ნამსახური კაცი. ძველ აღმოსავლურ სიბრძნეს ნაზიარები, ეჭვებით, სკეფსისით შეპყრობილი, ნათესავებსა და ახლობლებზე გულგატეხილი გორგიჯანიძე თავისი თხზულების ბოლოს უნდობლად დასძენს: **„ძმა და შვილი თუ კარგი ყოფილიყვნენ, ღმერთსაც ეყოლებოდა“.**

ახლა ასეთი, რამდენადმე კაცთმოძულე თვალსაზრისის საპირისპიროდ, გავიხსენოთ მეთვრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება, იესე ბარათაშვილის **„ცხოვრება-ანდერძი“**. სამოც წელს მიტანებული, ავი წინათგრძნობით შეპყრობილი იესე (მალე იგი, ახალციხისკენ მიმავალი, კიდევაც მოჰკლეს ლეკებმა) წერს ქრისტიანული ზნეობით, სიბრძნით, ტკივილებით აღსავსე ამ მრავალმხრივ საყურადღებო და ჭკუის სასწავლო წიგნს და წასაკითხად, გვანჯი ჩიქოვანის მსგავსად, თავის შვილებს უტოვებს. ეს მოკრძალებული სურვილი **„ცხოვრება-ანდერძის“** თავშივეა გაცხადებული.

**„მე, უბადრუკმან და ჭეშმარიტად დიდად ბრალეულმან, ოსეს შვილმან იესემ ვინებე თვით ხელითა ჩემითა აღწერა ცხოვრებისა ჩემისა. ვინათგან ვიქმენ დასაწყის ქცევისა და ცხოვრებისა შვილთა ჩემთასა, ჯერ იყო, რათამცა ძეგლიცა ესე დამეტევა მე შვილთა ჩემთათვის“.**

ნიშანდობლივი, დამაფიქრებელი და საგულისხმოა ის ამბავი, რომ ჯერ კიდევ მაშინ, სახიფათო გზაზე დამდგარ იესეს აწუხებს: **„არეული ქვეყნები და რუსის მიზეზით დიდად მოძულენი ჩვენნი“.**

უთუოდ სწორი და გასაზიარებელია ის დიდი შეფასება, ხსენებულ ძეგლზე ბორის დარჩიას რომ აქვს გამოთქმული:

**„ცხოვრება-ანდერძი“** თუმცა იესემ შვილებისთვის შექმნა და მისი უმთავრესი მიზანი საკუთარი ცხოვრების ჩვენება იყო, ამ დოკუმენტურ თხზულებაში თვითმხილველის სიზუსტითა და უშუალობით XVIII საუკუნის 30-80-იანი წლების საქართველოს, კერძოდ, ქართლ-კახეთის უამრავი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტი და მოვლენაა აღწერილი — ლეკიანობა, ნადირ-შაჰისა და ომარ-ხანის შემოსევები, აღებ-მიცემა და ა.შ. ცოცხლად არის დახატული და წარმოდგენილი ცალკეული როგორც მაღალი თანამდებობის ისტორიული პირები, ჩვენი მოღვაწეები, ისე უბრალო ადამიანები, მათი საქმიანობა და ურთიერთობანი. ერთი სიტყვით, ეს ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება საუკეთესო პირველწყაროა აღნიშნული პერიოდის ჩვენი ქვეყნის შესწავლისა და გაცნობისათვის“ (ქართული მწერლობა, ტომი მერვე, თბილისი, 1990, გვ. 620).

ამერიკის შეერთებული შტატების მესამე და ყველაზე დიდი პრეზიდენტი ტომას ჯეფერსონი კოლოსალურ, მრავალი დარგის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ფლობდა; მისი თავმჯდომარეობით შემუშავდა და 1776 წელს მიღებულ იქნა საქვეყნოდ ცნობილი დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ტიტანური ძალისხმევის სახელმწიფო მოღვაწემ, მთელს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაუღალავმა დამცველმა, ოთხმოცი წლისამ დაიწყო **„ავტობიოგრაფიის“** წერა და თუმცა მშვენივრად იცოდა, რა მნიშვნელობისაც იყო მისი ნააზრევი, თავშივე განაცხადა, რომ ამ ჩანაწერებს თავისი ოჯახის წევრებს უტოვებდა. მართლაც მრავლისმეტყველი და დამაფიქრებელი ფაქტია.

კარდინალი დე რეცი თავისი სახელმოხვეჭილი **„მემუარების“** პირველსავე თავში შენიშნავს: **„ვინც საკუთარი ცხოვრების აღწერას განიზრახავს, იგი ორ წყალქვეშა რიფს — პატივმოყვარეობასა და ცრუ თავმდაბლობას უნდა აერიდოს“.**

გვანჯი ჩიქოვანის გულწრფელ, სადა მონათხრობს ამგვარი საშიშროება არ დაემუქრება; მას ბაქიაობა, ცუდმედიდობა არ სჭირდებოდა და ყმაწვილკაცობიდანვე გამოკვეთილ პირად ღირსებებზე მუდამ ზომიერად, თავშეკავებულად ლაპარაკობს. ეს ყველასათვის საცნაური გახდება, ვინც ამ მოგონებებს გულისყურით წაიკითხავს. შთაბეჭდილება მხოლოდ ასეთი იქნება — ჩვენ სამაგალითოდ აღზრდილი, ყოველმხრივ შემკული ოჯახიშვილი, ნამდვილი რაინდი გვესაუბრება.

მამაჩემის დატოვებულ რვეულებში მე ვიხილე და სხვებისთვისაც მინდოდა მეწილადებინა მართლაც განუმეორებელი პიროვნების, გვანჯი ჩიქოვანის დიდი კაცობის ანარეკლი, წლების სიღრმიდან მოღწეული სიკეთის ჩაუქრობელი შუქი.

ერთ ძალზე საინტერესო, ცხოვრებისეულ მოვლენებზე დაკვირვების უნარით გამორჩეულ რუს მწერალს კონსტანტინ ვაგინოვს ნათქვამი აქვს: მეტი წილი ადამიანებისა, თანამედროვეობიდან რომ მიდიან, სამუზეუმო ექსპონატებად იქცევიანო. გვანჯი ჩიქოვანის ტიპის კაცი, მისი აღნაგობის, ჩაცმულობის, სიტყვა-პასუხის, მიხვრა-მოხვრის და ზნეობის პიროვნება დღევანდელ საქართველოში სანთლით რომ ეძებო, წამლადაც ვერსად წააწყდები. იგი მთლიანად წარსულის კუთვნილებაა და მისი სახე, თვისებები, რამდენადმე დამაჯერებლად და სრულად, გარდასული დროის ფოტოსურათებსა და ჩანაწერებში თუ იქნება შემონახული. უეჭველია, ბევრი რამის გახსენება შეეძლებათ მათ, რომელთაც ეს გასაოცარი კაცი პირადად უნახავთ, მოუსმენიათ მისი საუბარი, მისი პიროვნული მომხიბლაობა გამოუცდიათ, ჰქონიათ ბედნიერი დღეები მასთან ახლო ურთიერთობისა და ამჟამადაც ცოცხლები არიან.

***P.S. დასასრულ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქ აბაშის მთავარ ექიმს, ჩვენი ახლო წარსულის საუცხოო მცოდნეს, შესანიშნავ მწერალსა და პიროვნებას — პაატა ქურდოვანიძეს (იგი აწ გარდაცვლილი ცნობილი ჟურნალისტის აგული დადიანის დისწულია), რომელმაც გვანჯი ჩიქოვანზე არაერთი ძვირფასი წერილობითი და ფოტო-მასალა მომაწოდა, ბევრი რამ საარქივო წყაროების მიხედვით დამაზუსტებინა.***

*31 ივლისი, 1998 წელი*

ემზარ კვიტაიშვილი

*(დასასრული)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს ახალი გუბერნატორი ლევან შონია „ნაცებს“ იბარებს და სთხოვს, რომ მომავალ არჩევნებში დაეხმარონ

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ (უკვე მეორე ნომერია) სამეგრელოში არსებული ვითარებით ინტერესდება. წინა ნომერში გაზეთი ეცადა უბრალო, ადგილობრივი მოსახლეობისგან პრობლემების შესახებ ისე გაეგო, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ ჩაერია. შემდეგ კი გადაწყვიტა „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ სამეგრელოს რეგიონის კურატორ ლერი ბელენავას გასაუბრებოდა. მანაც ზუსტად იმავე პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება, რომელზეც სამეგრელოს თითოეული მცხოვრები საუბრობს. გაზეთ “ილორის” მკითხველებს ვთავაზობთ აღნიშნულ წერილს:**

– სამეგრელოში, სახელების გარდა, არაფერი შეცვლილა; ვისაც ადრე ერქვა **„ნაცი“**, დღეს ჰქვია **„ოცნება“**. მშენებლობები საერთოდ შეჩერდა, ითიშება დენი, ყველა სოფელში გაზის შესაყვანად დაწყებული სამუშაოები შეჩერდა. ***ხალხს ზუსტად ის პერიოდი ახსენდება, სააკაშვილი რევოლუციისთვის რომ ემზადებოდა და დივერსიულ აქტებს აწყობდა. რეგიონში საგანგაშო ვითარებაა, რაც ხალხის უდიდეს გაღიზიანებას იწვევს, რადგან დღემდე ვერ ხვდებიან, ვინ არის ხელისუფლებაში – „ნაცები“ თუ „ოცნება“.***

სამეგრელოს ახალი გუბერნატორი ლევან შონია **„ნაცებს“** იბარებს და სთხოვს, რომ მომავალ არჩევნებში დაეხმარონ. ისინი ძალიან შეხმატკბილებულნი ცხოვრობენ, ხოლო ადამიანები, რომლებიც **„ნაციონალების“** წინააღმდეგ წლების განმავლობაში იბრძოდნენ, ცოტა არ იყოს, შიშით შეჰყურებენ არსებულ ვითარებას, ამას კი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს.

**– ბატონო ლერი, ზუგდიდის მკვიდრნი ამბობენ, რომ შესაძლებელია, „ნაცები“ 40%-ით მოვიდნენ რაიონულ თვითმმართველობებშიო...**

– თქვენ ასე გითხრეს? მე კი ვიცი, რომ ***„ნაციონალები“, შესაძლებელია, უმრავლესობაში აღმოჩნდნენ, თუმცა მეგრელი ხალხის გონიერების დიდი იმედი მაქვს.***

საუბარია და ზუსტად ვიცი, რომ ***მიმდინარეობს მოლაპარაკება რაიონების გადანაწილებაზე, ამბობენ, რომ ქალაქები „ოცნებას“ დარჩება, ხოლო სოფლებს „ნაცები“ მოიგებენ, რაც კატასტროფამდე მიგვიყვანს.*** ხალხი გრძნობს, რომ ახალ მთავრობას ძველები სჭირდება, მათი შესაძლებლობების გამოყენება უნდათ, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, ამ მუხანათი ადამიანების გვერდით დგომით ხალხს როგორ აფრთხობენ, ყველა ფიქრობს, რომ **„ნაცები“ „ოცნებას“** მალე ჩააჩოჩებს.

***შიში, რომელიც სამეგრელოში არსებობდა, ერთი პერიოდი მინელდა, მაგრამ ახლა კვლავ განახლდა. როლანდ ახალია, როგორც მაჟორიტარი, ხალხში კვლავ ჩნდება, რაც შიშის საფუძველს ნამდვილად იძლევა.***

თანამდებობებზე ისევ **„ნაციონალები“** არიან, თანაც აქტიური **„ნაციონალები“**. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხალხს მომავლის შიში ჩაუნერგონ, რაც თითქმის უკვე სახეზე გვაქვს – ყველა ფიქრობს, რომ ძველი დრო დაბრუნდება, დრო, როდესაც არ იყო დენი, სამუშაო, იყო ძარცვა და ყაჩაღობა.

**– ბატონო ლერი, იმაზე უარესი ვითარებაა, ვიდრე „ნაციონალების“ დროს იყო?**

– აშკარად უარესი მდგომარეობაა. თან იქაურ ხალხს ყველაზე მეტად, იცით, რა აღიზიანებთ? როდესაც მთავრობა გამოდის და ამბობს, რომ კახელ გლეხს ვეხმარებით ვენახის მოვლაში, ყურძნის ჩაბარებაში, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს და ყველა კუთხე ერთმანეთზე მდიდარი იყოს, მაგრამ მთავრობას ავიწყდება, რომ მეგრელების ერთადერთი შემოსავალი თხილია, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სამი ლარი ღირს და მეტი რა გინდათო. იმდენი უკვე აღარ იციან, რა უჯდება გლეხს თხილის მოვლა. ***მთავრობას არ ესმის, რომ სამეგრელო კონფლიქტის ზონაშია, ჩიხში იმყოფება და მას ყველაზე მეტი დახმარება, წახალისება სჭირდება. ამ რეგიონში არ არსებობს არცერთი ქარხანა, საწარმო. ასი საწარმო თუ სადმე გაიხსნა, ერთი მაინც ყოფილიყო სამეგრელოში?!***

სამეგრელოში წინა ხელისუფლება თავის დასაყრდენ ძალას ქმნიდა, რაც დღემდე იგრძნობა. ***„ნაციონალები“ ისევ მყარად არიან, მათი წელში გატეხვა „ოცნებამ“ ვერ შეძლო, ამიტომ მთავრობას ურჩევნია, რომ სამეგრელო მიჩუმებული და დაკონსერვებული ჰყავდეს.***

***ახალი მთავრობა უსუსურია.*** მოსახლეობას ხელისუფლებისგან მეტი ყურადღება რომ ეგრძნო, დარწმუნებული ვარ, **„ნაციონალები“** ამ დონეზე ვერ იბოგინებდნენ, განსაკუთრებით, სამეგრელოში. ხალხი ხედავს, რომ **„ნაციონალების“** კარნახით კეთდება ყველაფერი, ხალხი უკიდურესად იმედგაცრუებულია, მაგრამ რა ქნას, ახალი მთავრობა ყურადღებას არ აქცევს, ძველი აღარ უნდათ, სხვა მშველელი კი ჰორიზონტზე, სამწუხაროდ, არავინ ჩანს.

**– ივანიშვილმა გვითხრა, რომ „ნაციონალების“ გამოხდომებს იუმორით შეხედეთო...**

– მთავრობას ამომრჩეველი დაავიწყდა, აღარც ბიძინას უნდა მათი მოსმენა, უკვე თითის ქნევა დაიწყო, მაგრამ ხალხი და განსაკუთრებით სამეგრელო, მათ აიძულებს, რომ მოუსმინონ. ***დიდი ფულის შოვნა არ ნიშნავს ერის სათავეში იდგე და ბრძანებები გასცე, თან თუ სააკაშვილი შენი მოყვანილი და დაფინანსებული იყო და ახლა ურეიტინგო პარტიებს აღზევებ. მეგრელებს ფულით ვერავინ გააკვირვებს...***

არ მინდა გავაზვიადო, მაგრამ ხალხთან ურთიერთობისა და მათი აზრის საფუძველზე ვაცხადებ, თუ ხელისუფლება გონს არ მოეგო, უკმაყოფილების ტალღას ვერ შეაჩერებენ. შესაძლებელია, ყოფილი პრემიერისთვის სასაცილო იყოს ის ყველაფერი, რაც სამეგრელოში ხდება, მაგრამ მისი სიტყვებიც და სხვა ბევრი რამეც ილექება და, თუ მეგრელები გაბრაზდნენ, არა მგონია, ბიძინას სიცილის თავი ექნეს.

**ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი**

# გენმოდიფიცირებული საკვები და ადამიანი

უკანასკნელი სამეცნიერო მონაცემების თანახმად, საკვებად გენმოდიფიცირებული პროდუქტების რეგულარული გამოყენება იწვევს სიმსივნეთა წარმოქმნას, ზრდის სხვა სასიკვდილო დაავადებათა განვითარების რისკს და მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას.

მეცნიერებს მიაჩნიათ: თუ კაცობრიობა მთლიანად გადავა **გმ**-პროდუქტებით კვებაზე, სიკვდილიანობა 2-3-ჯერ გაიზრდება. მაგრამ **გმო**-ის (გენმოდიფიცირებული ორგანიზმები) მწარმოებელ კორპორაციათა სპეციალისტები კვლავინდებურად დაჟინებით ადასტურებენ მათ უსაფრთხოებას – როგორც ადამიანებისათვის, ასევე მთელი პლანეტისთვისაც. მაინც ვინ არის მართალი? ღირს კი საკვებად **გმო**-ის გამოყენება? ამაში ჯერ დამოუკიდებლად ვცადოთ გარკვევა.

### ხენდროსა და კამბალას ნარევი

სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში გმო – გენმოდიფიცირებული ორგანიზმები – აღნიშნავს ორგანიზმებს, რომელთა გენოტიპი ხელოვნურად არის შეცვლილი გენური ინჟინერიის მეთოდების მეშვეობით. საწყისი ორგანიზმის **დნმ**-ის ჯაჭვში ჩასმულ **დნმ**-ის ფრაგმენტს ტრანსგენი ეწოდება. ეს კეთდება მოდიფიცირებული ორგანიზმების, პირველ რიგში კი მცენარეების, ამა თუ იმ თვისების შეცვლის მიზნით, რათა ისინი უფრო გამძლე გახდეს მავნებელთა და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ. მაგალითად, ჩვეულებრივი კარტოფილის გენოტიპში მორიელის გენის ფრაგმენტის ჩანერგვით მიიღეს კარტოფილი, რომელსაც არავითარი მავნებელი აღარ აშინებს, ხოლო პომიდვრისა და ხენდროს დნმ-ის ჯაჭვში ჩასვეს პოლარული კამბალას გენი და ახლა ეს კულტურები ლამის უკიდურეს ჩრდილოეთშიც კი შეიძლება მოვიყვანოთ.

ტრანსგენური პროდუქტები პირველად გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ყოფილმა ამერიკულმა სამხედრო-ქიმიურმა კომპანიამ **“მონსანტომ”** შეიმუშავა. 1992 წელს ჩინეთში თამბაქოს მოშენება დაიწყეს, რომელსაც მავნე მწერები ვერაფერს აკლებდა. მაგრამ **გმ**-პროდუქტების მასობრივი წარმოება **აშშ**-ში დაიწყეს 1994 წელს, როდესაც დახლებზე ისეთი პომიდვრები გაჩნდა, რომლებიც ტრანსპორტირების დროს არ ფუჭდებოდა. დღეისათვის მსოფლიოში **გმ**-კულტურათა რამდენიმე ათეული ხაზი არსებობს, მათ შორის სოიის, კარტოფილის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბრინჯის, პომიდვრის, ხორბლის, ნესვის, პაპაიას, ყაბაყის, ბამბის, სელისა და იონჯის.

ამასთან მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ კარტოფილი ისევ კარტოფილად რჩება, ხოლო პომიდორი – პომიდვრად. და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ დედამიწის მოსახლეობა იმდენად გაიზრდება, რომ უკვე არა მარტო აფრიკაში, არამედ უფრო ბედნიერ ქვეყნებშიც თავს იჩენს კვების პროდუქტების დეფიციტი, ეს ძალზე აქტუალურია.

თითქოს მოიძებნა შიმშილის არსებული პრობლემის მარტივი გადაწყვეტა პლანეტის ჭარბმოსახლეობის პირობებში. ამასთან **გმო**-ის მომხრეები აცხადებენ, ჩვენ ისედაც უკვე დიდი ხანია გენმოდიფიცირებული სურსათით ვიკვებებითო – პრაქტიკულად ხომ ყველა ხილი და ბოსტნეული, რაც ჩვენს მაგიდაზე ხვდება, გენეტიკურად განსხვავდება თავიანთი ველური წინაპრებისგან, ოღონდ ეს მოხდა არა გენური ინჟინერიის ზემოქმედებით, არამედ სელექციისა და ძველი თანამედროვე აგრონომების მიერ ჩატარებული ხელოვნური გადარჩევის შედეგად, რომლებიც მცენარეთა ამა თუ იმ სასარგებლო თვისებას ნერგავდნენ. და ამ დროს საშინელი არაფერი ხდება, ასე რომ, საგანგაშოც არაფერია. მიირთვით, ძვირფასებო, ღმერთმა შეგარგოთ. თუმცა, ყველაფერი მთლად ასე როდია.

არადა, რა კარგად დაიწყო ყველაფერი!

შეიძლება ითქვას, რომ უფრო პირიქითაა: ყველაფერი საკმაოდ რთულადაა, თუნდაც იმიტომ, რომ აფრიკის უღარიბესმა ქვეყნებმა უკვე ხუთი წელია, რაც **გმ**-პროდუქტების შეტანა აკრძალეს, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ მათი გამოყენებით მიღებული ზიანი შიმშილზე უარესია. ევროპაში უკვე დიდი ხანია, მოქმედებს პროდუქტებში **გმო**-ის შემცველობის ნორმა – არა უმეტეს 0,9%. შვედეთში ის საერთოდ აკრძალულია. მაინც რატომ კრძალავენ მრავალ ქვეყანაში **გმო**-ს, ტრანსგენურ ორგანიზმთა უსაფრთხოების შესახებ გამოქვეყნებულ მონაცემთა მიუხედავად?

დავიწყოთ იქიდან, რომ **გმო**-ის უვნებლობის თაობაზე ყველა ადრინდელი მონაცემი ეფუძნებოდა ხანმოკლე გამოკვლევებს, რაც მაქსიმუმ სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ეს ვადა, უბრალოდ, არასაკმარისია: **გმო**-ის გამოყენების სახიფათო შედეგები სრული მოცულობით მხოლოდ 18 თვის შემდეგ მჟღავნდება.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტორი: აბა, გამოიცანით, ვინ აფინანსებს **გმო**-ის აბსოლუტურად ყველა გამოკვლევას, რომლებიც მათ უსაფრთხოებას ადასტურებს? თავად მწარმოებლები! ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ მომხმარებლამდე მხოლოდ დადებითი შეფასებები მიდის. მაგრამ ამჟამად **გმო**-ს მრავალი დამოუკიდებელი ლაბორატორია იკვლევს და მათი დასკვნები ძალზე შემაშფოთებელია.

ბოლო დროს გამოკვლევათა თანახმად, **გმო**-ის შემცველმა პროდუქტებმა საკვებად ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა, დიდი დარტყმა მიაყენონ ადამიანის ორგანიზმის იმუნიტეტს, დაარღვიონ საჭმლის მონელება, გამოიწვიონ ალერგია და ა.შ. მკვლევართა აზრით, ინგლისელ ბავშვებში მენინგიტის ეპიდემია იმუნიტეტის შესუსტების შედეგია, რაც თავის მხრივ, განაპირობა **გმ**-შემცველი რძიანი შოკოლადისა და ბისკვიტების გამოყენებამ.

სტატისტიკურ მონაცემთა მიხედვით შვედეთში, სადაც ტრანსგენები აკრძალულია, ალერგიული დაავადებები მოსახლეობის 7%-ში გვხვდება, ხოლო **აშშ**-ში, სადაც **გმო** მარკირების გარეშეც კი იყიდება, მოსახლეობის 70,5% ალერგიით იტანჯება.

გარდა ამისა, დამოუკიდებელ ექსპერტთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ გენმოდიფიცირებულ მცენარეებს 1.000-ჯერ მეტი ტოქსინების გამოყოფა შეუძლიათ, ვიდრე ჩვეულებრივ ორგანიზმებს, ასევე, უნდა აღინიშნოს **გმო**-ის ნეგატიური ზეგავლენა რეპროდუქციულ ფუნქციაზე. უკვე დამტკიცებულია ლაბორატორიული ცხოველების შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება, რომლებსაც **გმ**-საკვებით კვებავდნენ.

ამასთან, ყოველ მომდევნო თაობაში არა მარტო მცირდებოდა შობადობა, არამედ იზრდებოდა სიცოცხლესთან შეუსაბამო მუტაციების რაოდენობა. მესამე-მეოთხე თაობა უკვე მთლიანად სტერილური ხდებოდა. ადამიანებზე შესაბამისი ექსპერიმენტები, ცხადია, არ ჩატარებულა, მაგრამ მრავალი მეცნიერის აზრით, უშვილო წყვილთა რაოდენობის ზრდა კვების ტრანსგენური პროდუქტების მოხმარების ზრდას უკავშირდება.

ფრანგი მეცნიერები ორი წლის განმავლობაში კვებავდნენ ორას ვირთაგვას ამერიკული ფირმა **“მონსანტოს” გმ**-სიმინდით. ძალიან მალე მღრღნელებს უზარმაზარი სიმსივნეები გაუჩნდათ, ზოგიერთ მდედრს კი – ერთბაშად სამი სიმსივნე. ამის შედეგად საბრალო მხეცუნების სიკვდილიანობა 70%-ით მეტი იყო მათ იმ თანამოძმეებთან შედარებით, რომლებიც ჩვეულებრივი, ჰერბიციდული სიმინდით იკვებებოდნენ.

### ფარული საფრთხე

**გმო**-ის მესამე საფრთხე არც ისე აშკარაა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგანაც ეკონომიკასა და პოლიტიკას უკავშირდება! დიახ, ნუ გაგიკვირდებათ. როგორც ცნობილია, ადრე გლეხი მოსავლის აღების შემდეგ მის ნაწილს ყიდდა ან ამუშავებდა, ხოლო ნაწილს სათესლედ იტოვებდა მომდევნო წელს დასათესად. თანამედროვე ფერმერს ამის გაკეთება არ შეუძლია: **გმ**-კულტურა არასიცოცხლისუნარიან თესლსა და ნაყოფს იძლევა, ანუ მომავალი წლისთვის ფერმერი იძულებულია, შეისყიდოს ახალი სათესი მასალა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს ევროკავშირის ექსპერტებმა გამოაქვეყნეს მოხსენება, რომელშიც ნათქვამია: ათი წლის განმავლობაში **გმ**-კულტურებმა ვერ მოუტანეს დაპირებული ეკონომიკური სარგებელი მომხმარებლებს. მათ ვერ გაზარდეს ფერმერთა შემოსავალი მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, ვერ გააუმჯობესეს პროდუქტების სამომხმარებლო თვისებები და ვერავინ დაიხსნეს შიმშილისგან. **გმ**-კულტურების გამოყენებამ მხოლოდ გავრცელებული ქიმიური საშუალებების (ჰერბიციდების, პესტიციდებისა და სასუქების) რაოდენობის ზრდა გამოიწვია და არა მათი შემცირება.

იმავე 2008 წელს გაერომ და მსოფლიო ბანკმა პირველად გაილაშქრეს მსხვილი აგრობიზნესისა და **გმო**-ის წინააღმდეგ. ერთობლივ მოხსენებაში, რომლის მომზადებაშიც ოთხასამდე მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა, ნათქვამია, რომ მსოფლიოში იწარმოება იმაზე მეტი საკვები, რაც პლანეტის მთელი მოსახლეობის გამოსაკვებად არის საჭირო. გაეროს ექსპერტები დარწმუნებული არიან: ასობით მილიონი ადამიანის შიმშილში მსხვილი აგრობიზნესია დაინტერესებული, რომელიც თავის პოლიტიკას სურსათის ხელოვნური დეფიციტის შექმნაზე აგებს. გაერომ, ფაქტობრივად, პირველად დაგმო სოფლის მეურნეობაში **გმო**-ის გამოყენება, რადგან ისინი, ჯერ ერთი, ვერ წყვეტენ შიმშილის პრობლემას და, გარდა ამისა, საფრთხეს უქმნიან მოსახლეობის ჯანმრთელობასა და პლანეტის მომავალს.

მაშ, რა გამოდის – **გმო** აბსოლუტური ბოროტებაა და ისინი დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს? რა თქმა უნდა, არა. გონიერი და საპასუხისმგებლო მიდგომით **გმ**-ტექნოლოგიებს დიდი სარგებლობა შეუძლიათ მოუტანონ მედიცინას, ტრანსპლანტოლოგიას. **გმო**-ის მეშვეობით შესაძლოა შეიქმნას ახალი მაღალტექნოლოგიური მასალები და ბიოსათბობი, რომელიც შეცვლის ნავთობსა და გაზს. ასე რომ, **გმო**-ს ნამდვილად აქვს მომავალი. მთავარია, ეს უდიდესი აღმოჩენა არაკეთილსინდისიერმა პოლიტიკოსებმა და კომერსანტებმა კაცობრიობის საზიანოდ არ გამოიყენონ.

**პ. ბებელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა რამ კოლხებსა და კოლხურ დამწერლობაზე

**"...ცხადია, არც ერთი ზემოთ დასახელებული ავტორისთვის მაშინ ცნობილი არ იყო, რომ ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებითობა. კერძოდ, ხმაბაძვითობა. მეტიც, ხმაბაძვითობის თეორია იმ დროისათვის საერთოდ უარყოფილი იყო. აი, რას ამბობდა კარლ მარქსი მის შესახებ: "რომელიმე ნივთის სახელწოდებას არაფერი აქვს საერთო მის ბუნებასთან. მე სრულებით არაფერი ვიცი ამა თუ იმ ადამიანზე, თუ მხოლოდ ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია"** (კ. მარქსი, კაპიტალი I 1936. გვ.59) **ის, უთუოდ, იგივეს არ იტყოდა ხმაბაძვითი სახელების (სიტყვების, მაგალითად: ბაყაყი, გუგული, ზუზუნი და სხვა) შესახებ. მაგრამ რადგანაც მისი ასეთი გამონათქვამი არსებობდა, მსოფლიო მაშტაბით ისედაც უარყოფილი და ტაბუდებული ხმაბაძვითობის თეორია ყოფილ საბჭოთა (მთლიანად სოციალისტურ) სივრცეში ლამის კანონ გარეშე იყო გამოცხადებული".** (მ.ძაძამია, გაზეთი **"ილორი"** 16-23ივლისი 2013წ,).

საინტერესოა, რატომ არ იცავს სიზუსტეს ბატონი მ. ძაძამია როცა ამბობს: 1) **"...ხმაბაძვითობის თეორია იმ დროისათვის საერთოდ უარყოფილი იყო"**... შემდეგ: **"ყოფილ საბჭოთა (მთლიანად სოცილისტურ სივრცეში ლამის კანონგარეშე იყო გამოცხადებული"**. ე.ი. ხმაბაძვითობის თეორია იმ დროისათვის საერთოდ უარყოფილი იყოო. შემდეგ გამოდის რომ ლამის კანონგარეშე ყოფილა გამოცხადებული. ის კი არადა, ეს ხმაბაძვითობის თეორია მსოფლიო მაშტაბით ყოფილა უარყოფილი. მაშ რა გავლენა ჰქონდა მარქსის გამონათქვამს მსოფლიო მაშტაბით? მთელი მსოფლიო ხომ სოციალისტური სივრცე არ იყო? სწორედ რომ აქ მარხია ძაღლის თავი. მაგრამ ბატონი მამანტი ძაძამია ამაზე დუმს, ან არ ესმის საქმის არსი, ან განზრახ მალავს საქმის ვითარებას. შემდეგ დავაკვირდეთ მარქსის ციტატის ბოლო ნაწილს **"მე სრულებით არაფერი ვიცი ამა თუ იმ ადამიანზე, თუ მხოლოდ ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია"**.

თუ ბატონი მამანტი ძაძამია უპასუხებს – კი მე ვიცი ამ ადამიანზე ყველაფერი, რადგან მხოლოდ ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვიაო. მაშინ რა გაეწყობა, ბატონ მამანტი ძაძამიას უნდა დაუჯეროთ და იმედი მრჩება, რომ საპასუხო წერილში გასცემს პასუხს. დიდ ბოდიშსაც მოვუხდი შეწუხებისათვის და უდიდესი მადლობელიც ვიქნები, რამეთუ შეიძლება მეც შევძლო ასეთი საიდუმლოებების ახსნა.

ახლა დავაკვირდეთ ამ ციტატის პირველ ნაწილს **"რომელიმე ნივთის სახელწოდებას არაფერი აქვს საერთო მის ბუნებასთან"**.

როგორც ცნობილია ყოველი მეცნიერება საწყისი მსჯელობით იწყება. საწყისი მსჯელობა ამ მეცნიერებისათვის საწყისია იმიტომ, რომ იგი მის შინაარსში იგულისხმება. **"ფიზიკა არის მეცნიერება სხეულების მოძრაობის შესახებ"**, ეს ყველა შემდგომ მსჯელობებში იგულისხმება, ვინაიდან ფიზიკის ყველა კანონები ანუ კანონების გამომთქმელი მსჯელობები მიგვითითებენ იმაზე, თუ როგორია სხეულის მოძრაობის კანონები. ასევე პოლიტიკური ეკონომია იწყება საქონლის ცნებების გამომთქმელი მსჯელობით. **"საქონელი არის შრომის პროდუქტი, რომელიც შეიძლება გაიცვალოს"**. ამ მსჯელობაში მოცემულია საქონლის ყველაზე უზოგადესი და პირველადი ნიშანი. ამის შემდგ წარმოებული მსჯელობები ამ პირველი მსჯელობის ახსნას, მის დასაბუთებას და გამართლებას ემსახურება. ეს მსჯელობა იმდენად ღარიბია, რომ ძალიან მცირეს გვეუბნება საქოლის შესახებ, ხოლო იმდენად აუცილებელია, რომ თუ უარვყოფთ ამ მსჯელობას, მაშინ მთელი ამ მსჯელობათა ქსელი, რომელიც შემდეგ უნდა გაიბას, დაიშლება. მეცნიერებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ცნებები რომლებიც ამ მეცნიერების საზღვრებს სცილდება და იქ არ შეისწავლება, მაგალითად საქონლის ცნება გარკვეულია ისეთი ცნებით, როგორიცაა **"ნივთი"**, რომელიც თეორიულ-პოლიტიკურ ეკონომიკაში არ შეისწავლება, ის სხვა მეცნიერების საქმეა. ისტორიაში გამოყენებულია დროისა და სივრცის ცნებები, მაგრამ მათი ბუნება იქ არ შეისწავლება. ეს ყველაფერი მე კი არ მომიგონია, ასე წერია სამეცნიერო ლიტერატურაში და თუ ვინმე ამას არ ეთანხმება შეუძლია უარყოს.

ბატონი მამანტი ძაძამიამ კი, რაკი მარქსმა პოლიტიკურ ეკონომიკაში **"ნივთის"** ცნება იხმარა, ერთი ხელის მოსმით უარყო მარქსის შეხედულებები ამ მეცნიერებაზე?!

მინდა მოვიყვანო მარქსის ზემოთხსენებული ციტატა იგივე პირველი ტომიდან, რომელიც გამოცემულია 1954 წელს. აი რა წერია იქ: **"ამა თუ იმ ნივთის სახელწოდება სრულიად გარეგნული რამაა მისი ბუნებისთვის"...** და შემდეგ, როგორც ტექსტშია, რა თქმა უნდა აქ სიტყვიერი განსხვავებაა და ახლა იგივე აზრის გამოტანა შეიძლება თუ არა. მაგრამ ამაში მამანტი ძაძამია არაფერ შუაშია, რაც იქ წერია ის გადმოწერა.

**"ადამიანი ბუნების ქმნილებაა. იგი სხვა ცხოველებისაგან გონიერების, აზროვნების, მეტყველების უნარით გამოირჩევა. ე.ი. ადამიანი, როგოც მოაზროვნე, გონიერი არსება, წარმოუდგენელია მთელი მისი მთლიანობის და კერძოდ მეტყველების გარეშე. მეტყველება კი, ჩვეულებრივ, ხორციელდება სიტყვებით – ენობრივი ნიშნებით. ამდენად ის ვინც უარყოფს ენობრივი ნისნის ბუნებითობას და აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მის პირობით(ხელოვნურ) საფუძველს, ნებსით თუ უნებლიეთ ამტკიცებს, რომ ადამიანი სანახევროდ ხელოვნურია, რობოტია".** (მ. ძაძამია, **"აია"** №2 1998წ.).

**"სავსებით სწორია სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული განმარტება, რომ ადამიანი – ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება"** (მ. ძაძამია, გაზეთი **"ილორი"** 9-16 ივლისი 2013წ.). აქ ამ ორ განმარტებას შორის თითქოს არავითარი განსხვავებაა, მაგარამ საქმე იმაშია, რომ არის განსხვავება და თუ განსხვავებაა, მაშინ რომელი მივიჩნიოთ სწორად და რის საფუძველზე? თუ სწორია მეორე გაზეთში მოცემული განმარტება, მაშინ სავსებით სწორი არ ყოფილა ჟურნალში მოცემული განმარტება. მაინც რაშია აქ განსხვავება? აქ ემატება **"...წარმოუდგენელია მთელი მისი მთლიანობის და კერძოდ, მეტყველების გარეშე"**. კი მაგრამ რა საჭიროა ორჯერ განმეორება **"მეტყველების"**? და მთელი მისი მთლიანობა ამით ამოიწურება? და შემდეგ: **"ადამიანი ბუნების ქმნილებაა"**. აქ მოცემული არც ერთი და არც მეორე განმარტება იმისა თუ რა არის ადამიანი, არ არის სწორი. სხვა ცხოველებისაგან ადამიანი მარტო აქ მოცემული ნიშნებით კი არ განსხვავდება, არამედ აქ მთავარი ის არის, რომ ადამიანი არის სოციალური არსება. ადამიანი სხვა ცხოველებისაგან იმით განსხვავდება, რომ მან შექმნა იდეოლოგია. იდეოლოგიის მქონე ცხოველი ჯერ არავის უნახავს. ე.ი. ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, რომელიც ბუნებიდან მოცემულ საშუალებას ხელოვნურად აგრძელებს და ხელოვნური იარაღის საშუალებით იმორჩილებს და იყენებს ბუნების ძალებს...

თუ ადამიანი ბუნების ქმნილებაა, მაშინ ენის წარმოშობის ბუნებითობის (ხმაბაძვითობის) თეორია ყალბი იქნება.

**"გუგუ! გუგუ!"** იძახისო გუგული და მის ხმას ბაძავსო ადამიანი, ამბობს მ. ძაძამია. კი მაგრამ როგორ, საიდან აქვს ადამიანს ამის შესახებ ცოდნა? რა თქმა უნდა იქიდან, რომ ადამიანს აქვს გრძნობის ორგანოები. ე.ი. პირველ რიგში ადამიანმა ინფორმაცია მიიღო სმენის ორგანოს საშუალებით. აზროვნების ორგანომ ანუ ტვინმა ეს შეგრძნება დააფიქსირა, აღიქვა, ხოლო როცა თვალით ანუ მხედველობის ორგანოს საშუალებით ნახა ამ საგნის ანუ გუგულის ფორმა, მივიღეთ ამ საგნის აზროვნებითი სახე, ანუ ხატი. ე.ი. ადამიანი ხედავს საგანს, ესმის ხმა. ამ ხმას ეს საგანი გამოსცემს თუ მისგან დამოუკიდებლად არსებობს? ვფიქრობ, რომ ხმა ამ საგნისგან დამოუკიდებლად არ არსებობს, ამაში ბატონი მ. ძაძამიაც დამეთანხმება. ახლა ერთი კითხვაც უნდა დავსვა: ეს საგანი (გუგული) ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს? ვფიქრობ, რომ ამაშიც დამეთანხმება ბატონი მ. ძაძამია, რომ შესამეცნებელი ობიექტი – გუგული, შემმეცნებელი ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. მაშინ, ხმაბაძვითობის თეორია არ არის სწორი.

**"განა შემთხვევითია, რომ ენების ძალზე დიდი ნაწილები, საუკუნეების მანძილზე უმთავრეს სამეტყველო ორგანოს – ენას და მეტყველების საშუალებას ენას, ერთი და იგივე სახელები ჰქვია"...** (მ. ძაძამია)

რა თქმა უნდა ეს სწორია და თუ ეს სწორია, რატომ აუკულმართებთ საქმეს? მაგალითად ბატონი გიორგი სიჭინავა წერს **"ნანაშ ნინა"** და აქედან გამოდის, რომ მთვარე ყოფილა დედაღვთაება, მაშინ როცა, როგორც მე ვამტკიცებ დედაღვთაებაა დიხა, დედამიწა. განა მიწა არ შობს მცენარეებს და განა უფრო სწორი არ არის დია ვინემ ნანა? მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ბატონო მამანტი თქვენი ადამიანი, მეგრულად რომ ვთქვა ხეკულეა. თქვენ მოკვეთეთ მარჯვენა იმ დიდოსტატს ვინც სვეტიცხოველი ააშენა. რა გენიალურადა ნათქვამი: **"დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო"**. აი ამაშია ხალხური ფოლკლორის გენიალობა, ხალხი ბრძენია. ეს ბრძენი ხალხი კი დღეს მონებად (ნივთებად) არის ქცეული. გამოიყვანს ამ ხალხს ქუჩაში ვიღაცა რეგვენი პოლიტიკოსები, ხალხს მუსრს გაავლებენ, იმდენს დახოცავენ რამდენიც უნდათ. ეს პოლიტიკოსები კი საღსალამათი, ერთი განაკაწრიც რომ არ ამჩნევიათ **"გაიქცევიან"**.

მინდა კიდევ უფრო ნათელი ვიყო თუ რა იგულისხმება შემდეგ სიტყვებში: **"დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო"**. აქ ისეთი ღრმა აზრია ჩაქსოვილი, რომ თვით შოთა რუსთაველსაც შეშურდებოდა. აქ მარტო ის კი არ არის ნათქვამი, რომ კარგი ააგო და ვიღაცა შურიანებამ მოკვეთეს ის მარჯვენა, არამედ სულ სხვა, ძირითადი აზრიც იგულისხმება რა თქმა უნდა ამაზე აქ პირდაპირ პასუხს ვერ გავცემ, არა იმიტომ, რომ მეშინია ვთქვა, არამედ იმიტომ, რომ ამას ვერ გამოაქვეყნებენ! ხოლო თუკი **"ილორის"** მთავარი რედაქტორი ბატონი როლანდ ჯალაღანია აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას და ჩემს მომდევნო წერილს გამოაქვეყნებს, მაშინ მეც ვიტყვი სათქმელს. კი მაგრამ მაინც რაშია საქმე? (არ ვიცი ამას გამოაქვეყნებთ თუ არა, ბატონო რედაქტორო) მე სულ მოკლედ ვიტყვი: ჩვენმა წინაპრებმა, წარმართებმა, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლებმა ბუნება, ბუნების საგნები გააღმერთეს. ჩვენ კი ადამიანი გავაღმერთეთ. მაგალითად, ნუთუ შემთხვევითია, შევარდნაძე მოინათლა და გიორგი დაარქვეს? რა თქმა უნდა არა. თურმე ეს რეგვენი შევარდნაძე ის ღვთაებაა, წმინდა გიორგის რომ ვეძახით და ხალხს ქვეყნის მფარველ ღვთაებად რომ მიაჩნდა. გავაღმერთეთ ვიღაც ნარკომანი კიტოვანი!!! აბა როდის იყო კიტოვანი გენერალი, მაშინ როცა ეფრეიტორიც არ ყოფილა მისდღემში.! სამი იდიოტი მართავდა საქართველოს – კიტოვანი, სიგუა და იოსელიანი. განა ეს არ ნიშნავს ამ იდიოტთა გაღმერთებას? აბა ვინ დაწერა **"მითი და სინამდვილე"** მხედრიონლეთა აღვირახსნილობის გასამართლებლად? ვინ და რატომ უწოდეს მეგრულ ენას ძაღლის ენა? ვინ იყო ამ ბანდიტების მთავარი იდეოლოგი? ვინ და ჭაბუა ამირეჯიბი, შევარდნაძე და კიდევ ერთი დედაბერი – მარიამ ლორთქიფანიძე.

აი მოკლედ რისი თქმა მინდა.

თუ გამოაქვეყნებთ ეს თქვენი საქმეა. ხოლო რაც შეეხება მე თუ მომჭრიან ენას, მომჭრან მერე. მაინც რისთვის მინდა ეს ენა, თუკი ერთ კაცსაც ვერ დავარწმუნებ, რომ 2X2 ოთხია, თუკი ამას ვიღაც-ვიღაცეების აზრი დაუპირისპირდება – არა 2X2 ოთხი კი არა 27-იაო და მაშინათვე იხუვლებს მასა ხალხისა, 2X2 27-იაო!!!

ახლა სულ ორიოდე სიტყვით დამწერლობის შესახებ. თუ გია კვაშილავას **ბშფ** ნიშნავს ჭაბუკნო, ანუ ჭაბუკებს, რაც მრავლობითშია, ხოლო ჩემი **ბშ** ანუ ბოში იგივე არ არის? ანდა **"ბჟა"** **"დიხა"** და სხვა მეგრული სიტყვები არ არის? მე ამის შესახებ ცოტა შეცვლილი სახით, მაგრამ გაზეთ **"დარჩელში"** გამოვაქვეყნე 1998-1999 წწ.

**გურამ კორკელია**
**სოფ. დარჩელი**

# ღვთისა და ერის რჩეული – დავით აღმაშენებელი



ჯერ მხოლოდ 16 წლისა იყო, მაგრამ მისმა გამზრდელმა და აღმზრდელმა სულიერმა მამამ, გიორგი ჭყონდიდელმა, კარგად იცოდა, რა ტვირთის ზიდვას შეძლებდა ჭაბუკის სული და გონება. ამიტომაც ურჩია მის მშობელ მამას, გიორგი მეორეს, თავის სიცოცხლეშივე ეთქვა უარი სამეფო ტახტზე და გვირგვინი საკუთარი ძისათვის გადაეცა.

მას წილად დამცირებული და შეურაცხყოფილი საქართველო ერგო, რომლის მიწა-წყალსაც გალაღებული თელავდა ყველა ჯურის მომხვდური. ყველაზე ცუდი ის შიში იყო, რომელიც ხალხის სულსა და თვალებში ჩაბუდებულიყო – საკუთარ ფუძეზე უარი ეთქვათ და ტყე-ღრეებში გახიზნულიყვნენ, რათა თურქ-სელჩუკთაგან დაეცვათ თავი. ჰოდა, ფუძე ნაფუძრად ქცეულიყო, სახლი – ნასახლარად, სოფელი – ნასოფლარად... ფიზიკურ განსაცდელსა და გაჭირვებას სულიერი სიდუხჭირეც მოჰყოლოდა: უზნეობა, უვიცობა და უსულგულობა გამეფებულიყო ირგვლივ.

ის კი ჯერ მხოლოდ 16 წლისა იყო, როცა ასეთი საქართველოს მეფედ აკურთხეს. რამდენიმე წელიწადში თანამედროვენი **"მესიის მახვილს"** უწოდებენ, ხოლო შთამომავალნი **"აღმაშენებლად"** სახელსდებენ. მაგრამ იქამდე უამრავი სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ბრძოლაა მოსაგები.

ის ჯერ 16 წლის იყო. და, საქართველოს მეფედ წოდებულს, მომხვდურთა გამო, ქუთაისსა და გეგუთს გაცილება არ შეეძლო. მაგრამ ეს მხოლოდ დროებით – დავითი არ გახლდათ გიორგი მეორე, რომ მასავით შეგუებოდა და აეტანა. ითმენდა, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ მოიწეოდა ჟამი.

ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ მძიმე ტვირთის აწევა და ზიდვა ადამიანისათვის შეუძლებელი იყო. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ რაც შეუძლებელია კაცისათვის, შესაძლებელია ღვთისათვის. მთელი გულით ენდობოდა უფალს და მასაც არასოდეს მიუტოვებია თავისი რჩეული. ღვთის ნების აღმასრულებელი მადლისა და წყალობის წყაროდ იქცა ქვეშევრდომთათვის: სნეულებისათვის საავადმყოფოები ააშენა და თავად ამოწმებდა ხოლმე, როგორ უვლიდნენ და რას აჭმევდნენ მათ. ეკლესია-მონასტრები აღადგინა და ააგო. მტერი განდევნა ქართული მიწა-წყლიდან და ააღორძინა დაცარიელებული სოფელ-ქალაქები; საკადრისი მიუზღო ღვთისა და ერის ორგულთ.

იცოდა, რომ უფლის შეწევნის გარეშე ვერაფერს შეძლებდა. ამიტომაც თავადაც სწორად ცხოვრობდა და ერისგანაც და ბერისგანაც იმავეს მოითხოვდა. სიბრძნით განაგებდა ქვეყანას და მისი მოღვაწეობის გადმოსაცემად სამი რამის დასახელებაც კმარა: რუის-ურბნისი, გელათი და დიდგორი.

არა მარტო აწმყოს ქმნიდა საკუთარი ქვეყნისას, არამედ მომავალსაც – დააარსა აკადემიები, რათა ნიჭიერ ახალგაზრდებს საქართველოშივე შესძლებოდათ უმაღლესი განათლების მიღება. სწორედ მის დაარსებულ იყალთოს აკადემიაში ისწავლა შოთა რუსთაველმა და თამარის დროინდელი საქართველოც სწორედ დავითის დამსახურებაა. ამიტომაც დაამთხვიეს მისი ხსენების დღეს პირველი უნივერსიტეტის გახსნა საქართველოში.

ძალიან კარგად იცოდა, რომ ჭეშმარიტი განათლება უფლისმიერ ნათელს ამკვიდრებს ადამიანის გულსა და გონებაში, რაც განათლების ერთადერთი დანიშნულებად მიაჩნდა. თავადაც საოცრად უყვარდა წიგნი – ერთხელ, თბილისის დასაზვერად წასული, ისე გაერთო კითხვაში, კინაღამ მტრის რაზმს ჩაუვარდა ხელში. სადაც გინდა წასულიყო, ყოველთვის თან დაჰქონდა თავისი სამგზავრო ბიბლიოთეკა.

მაგრამ მთავარი მაინც მისი ცხოვრების წესი იყო, მისი რწმენა და სულის წყურვილი... **"ვითარცა სურინ ირემს წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრეთვე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო..."** უფლის, ჭეშმარიტების, სამშობლოს სიყვარული განაპირობებდა და განსაზღვრავდა მის პიროვნებას. არასოდეს რცხვენოდა თავისი ღმერთის, არასოდეს უარყოფდა მას. არც იმის აღიარებისა რცხვენოდა, რომ თავად, სხვებივით უბრალო მოკვდავს, ყველაფერი მხოლოდ უფალმა შეაძლებინა.

მან ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმა საქართველო. და ეს სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვით მოახერხა, რადგან ბრძენი იყო და კეთილისა და ბოროტის გარჩევის ნიჭი მიჰმადლა უფალმა.

იგი წმინდა გიორგისთან ერთად იბრძოდა დიდგორის ველზე. და ეს ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებით დაიმსახურა.

მან დაწერა **"გალობანი სინანულისანი"** და თავისი სულის ღაღადისი დაგვიტოვა, რათა არასოდეს დაგვავიწყდეს, რომ ყველანი ღმერთმა შეგვქმნა და მასთანვე მივდივართ.

ის იყო **"მახვილი მესიისა"**, შემოქმედი ახალი და ძლიერი საქართველოსი.

აღესრულა 8 თებერვალს და სწორედ ამიტომ დააწესა ქართულმა ეკლესიამ 8 თებერვალს მისი ხსენება.

წმინდა დავით აღმაშენებლის ლოცვამ ააღორძინოს საქართველო!

**საკ.ინფ.**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# “თვეში 10 000 მანეთს და მოსკოვის ცენტრში ბინას გვპირდებოდნენ, მაგრამ...”



...1980 წლის 26 მარტს საბჭოთა კავშირის ნაკრები ამხანაგურ მატჩში ბულგარეთს შეხვდა. ამ დღეს შედგა თენგიზ სულაქველიძის დებიუტი საბჭოელთა შემადგენლობაში და მურთაზ ხურცილავას შემდეგ ქართველებიდან ყველაზე ბევრჯერ მოირგო ამ ნაკრების ფორმა.

ეს ძალიან რთული და პრობლემური იყო, თუკი რუს ან უკრაინელ კონკურენტს ქართველი ორი თავით არ სჯობდა.

თბილისის **“დინამოს”** ოქროს თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა თავისი წარსულიდან საინტერესო ამბებს იხსენებს...

– მარადონას წინააღმდეგ სამჯერ ვითამაშე: ორჯერ – საბჭოთა ნაკრებში, ერთხელაც თბილისში, ამხანაგურ შეხვედრაში.

აქ ხისტად ვეთამაშებოდი და ბევრმა მკითხა, რას ერჩოდიო. მას კი არ ვერჩოდი, როგორც ყოველთვის, მოედანზე მონდომებული გავედი და მაინტერესებდა, რა შემეძლო ამ ასაკში...

მარადონამ გამაოცა, ისე კარგად ითამაშა. მეორე ტაიმში ახალგაზრდები გავიყვანეთ და მაინც გადაგვირბინეს.

მატჩის ორგანიზატორმა ნიკო პატარქალიშვილმა ჩემსა და საშა ჩივაძეზე უთხრა, ამათ შენ წინააღმდეგ უთამაშიათო. შევნიშნე, ვერ გაგვიხსენა. ისე გვიყურებდა, თითქოს ამბობდა – ბუნდოვნად მახსოვს ჩემი ახალგაზრდობაო...

– მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დანიელებს შევხვდით. მაშინ ნაკრებს ედუარდ მალოფეევი ავარჯიშებდა და მინსკის **“დინამოდან”** ბევრი მოთამაშე დააწინაურა, ქართველებს კი არ გვწყალობდა.

დანიელებში აშკარად გამოირჩეოდა ელკიაერ-ლარსენი, რომელთანაც ყველაზე მეტად გამიჭირდა. მე, პირადად, ფიზიკურად ასეთი ძლიერი მოთამაშე არ მინახავს. კოპენჰაგენში 4:2 წავაგეთ და მატჩის შემდეგ, მოსკოვში დაბრუნებულებს, კრება მოგვიწყვეს. დიდი ამბავი ხდებოდა, მთავრობიდან და სპორტკომიტეტიდან მოვიდა ხალხი.

ფიზიკურად მეც ძლიერი ვიყავი და ხშირად მეტოქის ყველაზე სახიფათო მოთამაშის **“ჩაკეტვა”** მევალებოდა. მალოფეევს ამიტომაც ჰკითხეს, ელკიაერ-ლარსენი თუ ასეთი მაგარი იყო, სულაქველიძე პერსონალურად რატომ არ დაუყენეთო. რა დავალება, თამაშამდე თქვა, ლარსენი თამაშობს და ელკიაერი არ იქნებაო – ისინი სხვადასხვა მოთამაშეები ეგონა.

მაინც უტიფრად თქვა, სულაქველიძე როგორ არ დავუყენე, მაგრამ ვერ **“ჩაკეტაო”**. აშკარად ხელებს მაწმენდდა და ვთქვი – იტყუება, ასეთი დავალება არ მოუციამეთქი. დასაევმა, ბლოხინმა და კიდევ რამდენიმე მოთამაშემ ამიბა მხარი.

– 1988 წელს, როცა 32 წლის ვიყავი და კარიერას ვამთავრებდი, ლობანოვსკიმ ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანა. მანამდე, შესარჩევ ციკლში, ისლანდიასთან ვაგებდით და პირველი ტაიმის დასრულებამდე 15 წამით ადრე ანგარიში გავათანაბრე. ეტყობა, არც ეს დამივიწყა და არც ძველი დამსახურებები.

ლობანოვსკი ძალიან მაფასებდა, ევროპის ჩემპიონატზე 2 მატჩი მათამაშა და ვერცხლის მედალიც ჩამოვიტანე. სხვათა შორის, მასაც ძალიან სურდა ჩემი და საშა ჩივაძის წაყვანა და ბესკოვსაც, მოსკოვის **“სპარტაკში”**. რუსები თვეში 10 ათას მანეთს და მოსკოვის ცენტრში ბინას გვპირდებოდნენ.

იმ პერიოდისთვის ეს ზღაპრული პირობები იყო. თბილისის **“დინამოში”** მაშინ 250-300 მანეთს ვიღებდით, მოგებაზე კი პრემია 100 მანეთი იყო, ბინას და მანქანას გვაძლევდნენ. ესეც ნოდარ ახალკაცის დამსახურება იყო, თორემ ჩვენამდე ეს პირობებიც სანატრელი ჰქონდათ...

მაგრამ მაშინ კონკურენტ გუნდში წასვლა სირცხვილი იყო და დაუფიქრებლად უარს ვამბობდით.

ალბათ, დღეს ამაზე ბევრს გაეცინება, მაგრამ დრო უკან რომ მიბრუნდეს, იმავეს გავაკეთებდი – იმიტომ, რომ თბილისის **“დინამო”** ჩემთვის მსოფლიოში პირველი გუნდი იყო და დღემდე ასეთად რჩება. მოსკოვსა და კიევში შეპირებული უზარმაზარი ხელფასებიც ვერ გადაწონიდა იმ დიდ სიყვარულს, რასაც საქართველოში ხალხისგან ვგრძნობდით.

ეს უბრალო სიტყვები არაა, ასეთი აზრებით ვცხოვრობდით.

– ვალერი ლობანოვსკი კიევის **“დინამოში”** რომ დაბრუნდა, ძველი თაობის გამორჩეულ ფეხბურთელებს საბჭოთა პერიოდში სათანადო პატივი ვერ მივაგეთო და ახალი **“მერსედესებითა”** და 200-200 ათასი დოლარით დააჯილდოვა.

ასე დააფასეს ვეტერანები. თბილისის **“დინამოში”** კი ცუდი ტრადიცია იყო დამკვიდრებული – მოთამაშე უნდა გაეგდოთ, იშვიათად, რომ ვინმე საკუთარი ნებით წასულიყო. მე და რამაზ შენგელია კი მართლა საკუთარი ნებით წავედით.

1988 წელს, როცა ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე, ჯანი კიდევ მქონდა, მაგრამ დროული წასვლა ვამჯობინე. მაგრამ არასწორი დამოკიდებულება იყო – 30 წელს მიახლოებულს უკვე **“ბებერს”** ეძახდნენ. ფეხბურთელი პასპორტით არ უნდა შეაფასო, თუ ფორმაშია, გამოიყენე, რა! ახალგაზრდაც, შემადგენლობაში ნიჭით უნდა მოხვდეს და არა ასაკის გამო. არადა, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატიდან ჩამოსულს, 26 წლისას, უკვე მესმოდა – სულაქველიძე ვეტერანიაო და გული მიკვდებოდა...

– **“დინამოდან”** გაგვაცილეს და 1989 წელს შვედეთიდან მოწვევა მოვიდა. მე და რამაზი **“ჰოლმსუნდში”** გადავედით, რომელიც პირველ ლიგაში თამაშობდა. საბჭოთა კავშირი უკვე იშლებოდა, უცხოეთში გასვლები დაიწყო და ასე გავხდით პირველი ქართველი ლეგიონერები მე და შენგელია.

...შვედეთის პირველ ლიგაში მაღალი დონე არ იყო და იოლად შევეგუეთ, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავით, რადგან ფეხბურთიდან, ფაქტობრივად, წასულები ვიყავით და აქ სამსახურებიც ვერ ვიშოვეთ. იქიდან დაბრუნებულებიც ლამის ერთი წელიწადი უმუშევრები დავდიოდით.

კიდევ კარგი, ქვეყანამ და ფეხბურთის ფედერაციამ დამოუკიდებლობა მოიპოვა – ნოდარ ახალკაცმა დაგვასაქმა მე, ჩივაძე, შენგელია, კოსტავა, გაბელია, მუჯირი და იმ პერიოდისთვის საკმაოდ ნორმალურ ხელფასსაც ვიღებდით, თორემ, კაციშვილი არ იყო ჩვენი პატრონი.

– მე, თამაზ კოსტავა, რამაზ შენგელია და ზაურ სვანაძე ქუთაისში ერთად გავიზარდეთ და ფეხბურთშიც თითქმის ერთად მოვედით. რამაზისთან მაინც განსაკუთრებული სიახლოვე მქონდა: მეზობლადაც ვცხოვრობდით, ნაკრებშიც ლამის ერთად მიგვიწვიეს და – უცხოეთშიც.

ბავშვობაში რამაზს ქუჩისკენ ჰქონდა მიდრეკილება, მაგრამ ფეხბურთმა გვიშველა. მოედანზე მსგავსი ღირსეული საქციელით ბევრი მოთამაშე არ გამოირჩეოდა. რასაც რამაზს ფეხებში ურტყამდნენ, წესით, ბევრჯერ პასუხი უნდა დაებრუნებინა, მაგრამ თავშეკავებული გახლდათ და საკუთარ თავს გუნდზე მაღლა არ აყენებდა.

**“ტორპედოში”**, **“დინამოსა”** და საბჭოთა კავშირის ნაკრებში ერთად ვთამაშობდით და მისი უხეშობა არ მახსენდება.

ამ დონის თავდამსხმელი არა მხოლოდ საქართველოში, მთელ პოსტსაბჭოეთში ერთი ანდრეი შევჩენკო თუ იყო. ამიტომაც მიხარია, **“საბურთალომ”** გლდანში, **“ამერის”** სტადიონს რამაზის სახელი რომ უწოდა. მე თუ მკითხავთ, რამაზ შენგელიამ საქართველოსთვის იმდენი გააკეთა, თბილისში მისი სახელობის ქუჩაც უნდა იყოს.

რამაზი ძალიან დამაკლდა... არა მხოლოდ დიდი ფეხბურთელი, დიდი პიროვნებაც იყო.

**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322**




## ნასას ტელესკოპმა “ღმერთის ხელი” დააფიქსირა



**“ღმერთის ხელი”** – ასე უწოდეს **”ნასას”** მეცნიერებმა ვარსკვლავის აფეთქების შედეგად წარმოქმნილ ღრუბელს, რომელიც დაახლოებით 17 ათასი სინათლის წელიწადით არის დაშორებული დედამიწიდან.

კოსმიური **“ღმერთის ხელის”** გამოსახულება მაშინ გამოჩნდა, როდესაც ვარსკვლავი აფეთქდა და გამოტყორცნილი ღრუბელი **”ნასას”** სპექტროსკოპულმა ტელესკოპმა NuSTAR-მა დააფიქსირა. **“ნასას”** მიერ გავრცელებულ ფოტოზე ცისფრად წარმოდგენილია მატერია, რომელიც ვარსკვლავის აფეთქების შემდეგ გამოიტყორცნა, ხოლო მწვანე ფერებში რენტგენული კოსმოსური ობსერვატორიის მიერ მიღებული მონაცემებია. წარმოქმნილი ღრუბლის ნაწილაკები მატერიის გარშემო არსებულ მაგნიტურ ველებთან ურთიერთქმედებენ, რაც რენტგენის სხივებში გატარების შემდეგ, ნათებას იწვევს. შედეგად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ღრუბელი გაშლილი ხელის ფორმისაა.

მეცნიერების ნაწილი დარწმუნებული არაა, გამოტყორცნილ ნივთიერებას ნამდვილად აქვს თუ არა ხელის ფორმა.

**“ზუსტად არ ვიცით, შეიძლება ეს უბრალოდ ოპტიკური ილუზიაა. NuSTAR-ის ფოტოთი თუ ვიმსჯელებთ, მუშტის ფორმა იკვეთება”**, – ამბობენ McGill-ის უნივერსიტეტის მეცნიერები.

საინტერესო ეპოქაში უწევთ ცხოვრება ჩვენი თაობის ადამიანებს – დღე არ გავა, რომ ზემძლავრმა კოსმოსურმა ტელესკოპებმა ახალ-ახალი საოცრებები არ დააფიქსირონ, იქნება ეს ე.წ. **“კოიპერის სარტყელი”**, ახალი გალაქტიკა თუ ნეიტრონული ვარსკვლავი, რომლის სიმკვრივე იმდენად დიდია, რომ ერთი კოვზი მისი მატერია ასეულ მილიარდობით ტონას იწონის. ყოველივე ამის გააზრების შემდეგ ძნელი წარმოსადგენი არ იქნება ის, თუ რაოდენ დიდი გრავიტაცია იქნება ამგვარ პლანეტაზე (ადამიანი სულ რაღაც წამის მემილიონედში ქაღალდის ფურცელივით გაბრტყელდება) და რაოდენ მომაკვდინებელი იქნება მისგან წამოსული გამა-სხივები იმ ობიექტებისთვისაც კი, რომლებიც რამდენიმე ათასი სინათლის წლითაც კი არიან დაშორებული ამ ციური სხეულისაგან.

ახლახან კი, უნიკალური ხელსაწყოების დახმარებით, **“ნასას”** მეცნიერმა ასტრონომებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ ჩვენს, ე.წ. **“ირმის ნახტომის”** გალაქტიკაში მანათობელი ციური სხეულის რაოდენობა 100 მილიარდს აჭარბებს, სულ კი ჩვენი პლანეტიდან ხილულ კოსმიურ სივრცეში დაფიქსირებულია ასევე 100 მილიარდი გალაქტიკა. ახლა, ამ მანათობელ ციურ სხეულებს თუ მათ გარშემო მბრუნავ (არამანათობელ) პლანეტებსაც მივუმატებთ, წარმოიდგინეთ, თუ რამდენი ციური სხეულია მხოლოდ ჩვენს მიერ ხილულ კოსმოსში.

## იუმორი

**ქალები ფულს გონებით ხარჯავენ... შედეგად, არც გონება რჩებათ, არც ფული.**

* * *

**ეს პატრულები ნამდვილი ძაღლები არიან.**

**– რატომ?**

**– გუშინ “პრავა” ჩამომართვეს.**

**– რატომ?**

**– სულ ტყუილად. მერე რა, რომ აფთიაქი არ მქონდა, გვერდით მანქანას ოდნავ გავკარი და ოდნავ მთვრალი ვიყავი.**

* * *

**– რამდენი დაგჭირდა ფრენა რომ გესწავლა?**

**– ასე, შვიდი-რვა, აღარ მახსოვს.**

**– წელი?**

**– არა, თვითმფრინავი!**

* * *

**– რომელ სტადიაში იმყოფება ალკოჰოლიზმთან ბრძოლა?**

**– პირველი სტადია წარმატებით დავძლიეთ! “ზაკუსკა” ლიკვიდირებულია...**

* * *

**სომეხს ეკითხებიან: – როგორ უნდა გააგიჟო რუსი?**

**– უნდა შეაგდო მრგვალ ოთახში და უთხრა, რომ კუთხეში არაყია დამალული.**

* * *

**ამ წელს ჰოლანდიის მთავრობამ ალკოჰოლიზმთან ბრძოლისათვის 20 ტონა მარიხუანა გამოჰყო.**

ISSN 1987-8966 ilori

9 771987 896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge